140
1979/2

ISSN 0132 — 5973

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# პიონერი

10
1979

# თემურელები 5 000 000 ვართ!

## თემურელთა მეორე საკავშირო შეკრების დელეგატების მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა თემურელისადმი

ძვირფასო მეგობრებო!

თემურელთა მეორე საკავშირო შეკრება გაიმართა უკრაინის ლეგენდარულ მიწაზე — ჩერკასში, კანევსა და ლებლიავოში — იქ, სადაც იბრძოდა და გმირულად დაიღუპა მწერალი, მეომარი, წინამძღოლი — ჩვენი საყვარელი არკადი გაიდარი. შეკრებაზე ერთმანეთს ვუამბეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვასრულებთ სვლაგეზ „თემურელის" დავალებებს მარშზე — „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები". გავმართეთ ოპერაცია „აჩუქე ადამიანებს სიხარული!" საზეიმო ფიცი დავდეთ, უფრო მეტად შევიყვაროთ და გავუფრთხილდეთ ჩვენს შესანიშნავ ქვეყანას.

ჩვენ, თემურელები, ხუთი მილიონი ვართ. „ისტორიული ბრძოლების ვეტერანების პატივისცემა, მათზე მზრუნველობა ჩვენი ცხოვრების მორალური კანონია". — ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ეს სიტყვები ყველა თემურელს უნდა ახსოვდეს და წმინდად ასრულებდეს ცხოვრებაში. ჩვენ, შეკრების დელეგატები, მოვუწოდებთ ყველა პიონერს, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ თემურულ საქმიანობაში.

ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 35 წლისთავის აღსანიშნავად ვაცხადებთ საკავშირო ოპერაციას „ვეტერანი ჩვენს გვერდით ცხოვრობს". ამ ოპერაციაში ყველა რაზმეული, რაზმი და თემურელთა გუნდი უნდა ჩაებას.

ვიკისროთ საბავშვო ბაღების, მოედნების, საბავშვო სახლების შეფობა, ყველა ქუჩა გავხადოთ საინტერესო და სასარგებლო დასვენების კერად.

მტკიცედ აღვუდგეთ წინ ყველას, ვინც დისციპლინას არღვევს, პატარებს ცუდად ექცევა, სახალხო ქონებას აზიანებს. ყოველი თემურელი პატიოსანი, დისციპლინირებული, წელში გამართულია, კარგად იცნობს გაიდარის წიგნების გმირებს და მათ კეთილშობილ თვისებებს ჰბაძავს.

თემურელებო!

დავიცვათ და ვამრავლოთ საბჭოთა ხალხის სახელოვანი რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. ყოველთვის და ყველაფერში მხარი ვუსწოროთ კომუნისტებსა და კომკავშირელებს! წინ, თემურელებო!



### ჩანაწერები დელეგატების უბის წიგნაკებიდან

ამ ზაფხულს უკრაინის ქალაქ ჩერკასში თავიანთ მე-2 საკავშირო შეკრებაზე შეიკრიბნენ ჩვენი ქვეყნის თემურელები. მათ ერთმანეთს უამბეს თავიანთ მუშაობაზე, იმ კეთილ საქმეებზე, რომლებშიაც თავს იჩენს უფროსი მეგობრებისადმი პატივისცემა თუ უმცროსებისადმი ყურადღება.

თემურელებმა ჩერკასის ოლქში არკადი გაიდარის სახელთან დაკავშირებული ყველა ადგილი მოინახულეს. შეკრებამ მიიღო მიმართვა ჩვენი ქვეყნის ყველა თემურელისადმი.

შეკრების მონაწილეებს ესტუმრნენ ისინი, ვინც პირადად იცნობდნენ გაიდარს; მათ შორის აღსანიშნავია პარტიზანთა მეკავშირე აფანასია სტეპანეცი, პარტიზანულ რაზმში გაიდარის გვერდი-გვერდ მებრძოლი ვასილი სკრიპნიკი, აგრეთვე მწერლები, ჟურნალისტები.

პიონერთა ყველაზე სასურველი სტუმარი იყო არკადი გაიდარის შვილი თემურ გაიდარი.

ჩვენი რესპუბლიკის თემურელთა სახელით შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ოჩამჩირის მე-2 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე საიდა არშბა, გორის მე-10 საშუალო სკოლის მოსწავლე დალი ქელეხსაშვილი, თბილისის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის თემურელთა შტაბის უფროსი, თემურელთა პირველი შეკრების დელეგატი მზია ოსკანოვა, ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ტამერლან ღზუცოვი, ბათუმის მე-4 სკოლიდან მაია ფხაკაძე, ფოთის მე-10 სკოლიდან პაატა მურვანიძე, თელავის რაიონის სოფელ ფშავლიდან გაგი ოთიაშვილი, ქუთაისის 23-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე, პიონერთა რაიონული შტაბის თავმჯდომარე ბექან მესხი და რუსთავის მე-17 სკოლიდან პიონერთა საქალაქო შტაბის წევრი მერაბ ხვედელიძე.

საქართველოს თემურელთა წარგზავნილებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეკრების მსვლელობაში. მათ მიერ გამოშვებულმა საბრძოლო ფურცელმა შეკრების შტაბის სიგელი მიიღო, სპეციალურ საგამოფენო დარბაზში ქართველ თემურელთა ნამუშევრები გამოიფინა.

მეორე რაზმი, სადაც ქართველი თემურელები ირიცხებოდნენ, „სვიტანოკის" პიონერთა ბანაკში აქტიურობით და სიყოჩაღით გამოირჩეოდა. შეკრების ცხრავე მონაწილე უბის წიგნაკში ინიშნავდა შთაბეჭდილებებს, წერდა დღიურებს.

გთავაზობთ საიდა არშბას, ბექან მესხისა და მზია ოსკანოვას ჩანაწერებს.



თემურ გაიდარი თემურელთა მეორე საკავშირო შეკრების დელეგატებთან.

### შეხვედრა კოცონთან

ბანაკი „სვიტანოკი", სადაც თემურელთა მე-2 შეკრების დელეგატები ვიყავით დაბანაკებული, სულ ფიჭვნარშია ჩაფლული. ყველა რაზმს თავისი მოედანი ჰქონდა კოცონისათვის. ერთ საღამოს ანთებულ კოცონს შემოვუსხედით ჩვენს სასურველ

გამოდის 1926 წლიდან

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

# პიონერი

10 ოქტომბერი 1979

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

სტუმართან თემურ გაიდართან ერთად. იგი ჩვენს გულახდილ საუბარში მონაწილეობდა. როცა ვთხოვეთ პირველ თემურელებზე მოეთხრო, გვიპასუხა, პირველი თემურელი თვითონ გაიდარი იყოო, და გვიამბო, თუ როგორ შექმნა გაიდარმა ბავშვთა გუნდები, როგორ აძლევდა მათ განკარგულებებს, როგორ დააარსა ბიჭუნების შტაბი და ა. შ.

— თემურელთა ამოცანა, — გვითხრა მან დამშვიდობებისას, — დღემდე უცვლელად რჩება. — დავეხმაროთ ადამიანებს!

ჩვენ ძალიან, ძალიან გვინდოდა წარმოგვედგინა ცოცხალი გაიდარი, ამაში კი იმ ადამიანებთან შეხვედრა დაგვეხმარა, ვინც მას ახლოს იცნობდა.

გარდა ამ შეხვედრებისა, მწერალი გაცოცხლდა თემურელთა კონფერენციაზე „ჩვენ თემურელები ვართ!“ კონფერენციაზე, სადაც ყველა რესპუბლიკის წარმომადგენელმა თავისი საქმეები გააცნო თანატოლებს.

ბევრი რამ საინტერესო შევიტყეთ. შევიტყეთ, რომ ყოველწლიურად უკრაინელი თემურელები ბანაკ „მოლოდაია გვარდიაში“ იკრიბებიან დასასვენებლად. ამ ბანაკში რჩება მათი მისამართები, ჩანაწერები მათი საქმიანობის შესახებ. ბანაკის შტაბში არსებულ ალბომებში, დღიურებში, უბის წიგნაკებში, საბრძოლო ფურცლებზე და ა. შ. შეიძლება გაეცნოთ თემურელთა მუშაობის უდიდეს გამოცდილებას. როგორც კი უკრაინის რესპუბლიკაში თემურელთა ახალი რაზმი დაიბადება, შეუძლია რჩევისათვის ამ შტაბს მიმართოს.

დღეს სსრ კავშირში 5 მილიონი თემურელია.

— თითოეული პიონერი თავისთავად თემურელი უნდა იყოს! — ასეთი იყო შეკრების დელეგატთა გადაწყვეტილებაც.

შეკრების დელეგატები
საქართველოდან

## სოფელი გაიდარი ყაზახეთში

განსაკუთრებით დაგვამახსოვრდა ყაზახეთიდან ჩამოსულთა მონათხრობი. საინტერესოა, თუ როგორ დაერქვა ამ რესპუბლიკაში ერთ სოფელს გაიდარი. ეს თურმე ნორჩმა ფოსტალიონებმა — თემურელებმა გააკეთეს. ამ სოფელში „პიონერული ფოსტა“, როგორც მას ეძახიან, უკვე 17 წელია მუშაობს.

ფოსტა თამაში როდია, ეს ნამდვილი სერიოზული მუშაობაა და თემურელი ფოსტალიონების მეშვეობით სოფლის მშრომელები დროზე იღებენ დეპეშებს, წერილებს, ჟურნალ-გაზეთებს.

სოფელ გაიდარის კეთილმა პიონერებმა დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭეს მთელ რესპუბლიკაში. მათი მისამართია: ყაზახეთის სსრ, სოფელ გაიდარის რვაწლიანი სკოლა, თემურელთა შტაბი.

## ბაიბუზელ ბიჭუნებს დავუმეგობრდით

შეკრების ერთი დღე უკრაინის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მუშაობას დაეთმო. ჩაგვიყვანეს სოფელ ბაიბუზში. კოლმეურნეობა „ისკრის“ თავმჯდომარემ გრიგორი სკლოვსკიმ თბილად მიგვიღო. სტუმრების საზეიმო მიღების ცერემონიალის შემდეგ ამ სოფლის ბიჭებმა კარტოფილის ნათესების გასამარგლად წაგვიყვანეს. 5 ჰექტარი კარტოფილი გავმარგლეთ. საქართველოს ჯგუფიდან გაგი ოთიაშვილმა იმარჯვა, პირველი მივიდა ფინიშთან და ბაიბუზის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მადლობა დაიმსახურა. ამ სოფელში ფართოდ მისდევენ სელის კულტურის მოყვანას.

უკრაინელმა ბიჭებმა ვადიმ გერმაშმა და ლიონია მახლაიმ შემდეგ იმ მოხუცთან მიგვიყვანეს, რომლის ჭიშკარზე თემურის ვარსკვლავია მიკრული. უკრაინაში ასეთ ვარსკვლავებს ბევრ ჭიშკარზე შენიშნავთ, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ ოჯახზე თემურელები ზრუნავენ.

პერსონალური პენსიონერი გრიგორი ნედენკო კმაყოფილია ბაიბუზელი თემურელების ყურადღებით. ძია გრიგორი ლენინგრადის განთავისუფლების მონაწილეა. არასოდეს დაგვავიწყდება მის ოჯახში გამართული გულთბილი მიღება, სუფრასთან საუბარი.

საიდამ, დალიმ და ტამერლანმა გრიგორი სკლოვსკისთან გადაიღეს სურათი. ვადიმმა და ლიონიამ ბეჟანი ჩაიყენეს შუაში, ძმობა შეფიცეს ერთმანეთს და სურათიც გადაიღეს.

საერთოდ, შეკრებიდან ბევრი მი-



სამართი წამოვიღეთ. ჩვენი დელეგაცია ძალიან დაუმეგობრდა პეტროზავოდსკელ პიონერებს, ჩავინიშნეთ მიხეილ შანტას, იური პანტელეევის, სვეტლანა იანის და სხვების მისამართები.

### გამოფენამ მოგვითხრო

„სვიტანოკის“ დიდ საკონცერტო დარბაზში მოეწყო თემურელთა მუშაობის ამსახველი გამოფენა. მხოლოდ სათაურების ჩამოთვლაც კი მიგანიშნებთ მონაწილეთა სიმრავლეზე, ჩვენს ქვეყანაში თემურელთა მუშაობის მრავალფეროვნებაზე.

„მოქმედებენ არზამასელი თემურელები, მათ რიგებში 1600 პიონერია გაერთიანებული.“

„შევქმენით გაიდარის მუზეუმი. ტამბოვის მე-8 სკოლა“.

„როვნოს ოლქში 1247 თემურქელთა რაზმია, რომელთა რიგებშიც გაერთიანებულია 22 240 თემურელი — კეთილი და მამაცი ბავშვები“.

„ვორონეჟის ოლქში 150 ათასი თემურელია“.

„მოსკოვის ოლქში უკვე რამდენიმე წელია მუშაობს შრომისა და დასვენების ბანაკი „გაიდარგრადი“.

გამოფენაზე წარმოდგენილმა ათასობით ექსპონატმა გაგვაცნო ჩვენი ქვეყნის თემურელთა ცხოვრება.

გამოფენის გახსნის შემდეგ ამავე დარბაზში მოეწყო გაიდარული კითხვა, რომელსაც საკავშირო ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი ს. ფურინი წარმართავდა.

### გაიდარს ესალმებიან..

საოცრად ლამაზია დნეპრი და მისი სანაპიროები. მდინარე დნეპრის ერთ მხარეს დიდი უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს, მეორე მხარეს — არკადი გაიდარის ძეგლებია აღმართული, თითქოს დნეპრის დინებას მიჰყვებაო ორივეს ფიქრი...

უკრაინაში ამბობენ, როცა დნეპრს თვითმფრინავი გადაუქროლებს, ქვეყნის ყველაზე პირველ თემურელს ციდან ჩამოსძახიან: — გამარჯობა, გაიდარ!

როცა დნეპრზე ხომალდები ჩაივლიან, საყვირები ეხმიანებიან: — სალამი, გაიდარ!

ძეგლთან ჩამვლელი ბავშვები უსათუოდ ჩერდებიან: — სალამი, გაიდარ! — ეს უკრაინელი ბავშვების,



ჟურნალ „პიონერის“ რედაქტორი ფურინი შეკრების დელეგატებთან

საერთოდ ყველას წმიდათა წმიდა ტრადიციაა, ისე, როგორც დნეპრის სანაპიროდან 400-საფეხურიანი კიბის ავლით უკრაინელი ხალხის საყვარელი შვილის, დიდი კობზარის ძეგლთან ცოცხალი ყვავილების მიტანის ცერემონიალი.

### ხიდი — რელიქვია

ქალაქ კანევში გაიდარის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი გვმასპინძლობდა. სწორედ აქ არის აღმართული დნეპრის სანაპიროზე არკადი გაიდარის ძეგლი. მრავალათასიან კოლონასთან ერთად ჩვენც მოწიწებით ჩავუარეთ მას, შევჩერდით და მივესალმეთ მწერალს: — სალამი, გაიდარ!

კანევი იმითაც არის ცნობილი, რომ აქ სწავლობდა ოლეგ კოშევოი.

აქ გვიჩვენეს ყველაფერი, რაც კი გაიდარის სახელთან არის დაკავშირებული. ამ ქალაქიდან ორი პიონერის მისამართი წამოვიღეთ. ირა შოკალენკომ და ტანია კაროლმა უბრალოდ გვითხრეს, ასე მოგვწერეთო: „კანევი, არკადი გაიდარის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, ექსკურსიამძღოლებს ირასა და ტანიას“. ჩვენ ყველა გვიცნობსო.

...შემდეგ იმ ადგილისაკენ წაგვიყვანეს, სადაც პარტიზანებთან ერთად მამაცური სიკვდილით დაეცა მწერალი.

სანამ სოფელ ლეპლიავოში ჩახვალ, დნეპრზე ახალი განიერი ხიდი უნდა გადაიარო. ახლის გვერდით კი ძველი ხიდი-რელიქვიაა, მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტების მიერ დანგრეული. ფრონტის წინა ხაზზე დაწერილი მოთხრობა „ხიდი“ არკადი გაიდარმა სწორედ ამ ხიდის შესახებ შეთხზა. ხიდი-რელიქვია დღეს თითქოს ყველას აფრთხილებს: — არა, ომი არ არის საჭირო, მას ნგრევა მოაქვს, ქვეყნად მშვიდობამ უნდა დაისადგუროს!

ომის დამთავრების შემდეგ გადაუსვენებიათ მწერალი ლეპლიავოდან კანევში.

კანევიდან დაბრუნებულებს ბანაკ „სვიტანოკში“ კიდევ ერთი სიხარული გველოდა — ბანაკში საზეიმოდ გაიხსნა გაიდარის ბარელიეფი...

საკავშირო ჟურნალ „პიონერის“ თაოსნობით ჩერკასში გამართული თემურელთა მე-2 შეკრება დამთავრდა, მისი ცხრა ქართველი მონაწილე თვითონაც ძალიან დამეგობრდნენ. ისინი ხშირად დაუკავშირდებიან ერთმანეთს, მოაწყობენ თემურელთა გადაძახილს; მომავალ წელს, გაიდარის დაბადების დღეს, მათ შეხვედრაც დათქვეს.

**ნათელა ფაილოძე,**

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი.

უკრაინის სსრ.

# სათიბის მარწყვი



ეროვნული ბიბლიოთეკა

კარლო კობერიძე

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

მოთხრობა*

სოფელში რომ შევედით, ცაზე უკვე ვარსკვლავები ენთო.

მაღაზიასთან გაგვიჩერა ურემი.

ჩვენ დავასწარით მადლობის თქმა.

გაიხარეთ და გამრავლდითო.

წინ ვაჟა მიდიოდა და პირველიც ის გაჩერდა კეკე ჯავახიძის სახლთან. იმ სიბნელეში ვერ დავინახეთ, ვის ელაპარაკებოდა კეკე — ქალი კი იყო:

— წაიყვანა იმ ბელეშა ტასომ, მთელი ეს ამსიგრძე დღე ჯანი გაულახა იმ გაშარავებული ვენახის თოხნით და კილონახევარი სიმინდის ფქვილი კი მისცა! მაშ, არ მივვარდნოდი? არ მივვარდნოდი?! არ მოგცემსო?.. დანარჩენი სამკილონახევარი სწორედ თავისი გასახმობი ხელებით ავაწონინე!.. უპატრონოსა და უთვისტომოს დაჩაგვრა ყველაზე დიდი ცოდვაა, შვილო!

რა ძნელი ყოფილა, ადამიანს კარგად რომ არ იცნობ და ძვირს კი ამბობ მასზე!

შეწუხებული დაგვხვდა დედაჩემი, შეწუხებულიცა და გაბრაზებულიც: ცოტაც რომ დაგეგვიანათ, ვენახში მოვდიოდიო.

6

მე და ვაჟა ჩვენი სახლის კიბეზე ვისხედით და მერაბს ველოდით, ქვევით უნდა ჩაგვევლო — მარწყვს გადავხედოთ ტყის პირებზე, იქნებ უკვე დამწიფდაო. როგორც გვახსოვდა, შარშან ამ დროს წითლად ღუოდა ბალახებში. თუმცა შარშან მშრალი გაზაფხული იდგა. და მარწყვმაც ადრე ჩაიგუბა სიტკბო... ჩავივლიდით და დამწიფებული თუ არ დაგვხვდებოდა მარწყვი, იმას მაინც გავიგებდით, საროდისოდ აპირებდა ფერის ამღვრევას.

მერაბს ველოდი და მზია კი გამოჩნდა.

— კახა!... ვაჟა! — გზიდან გვეძახის.

მივიხედეთ.

— რა ამბავია? — ჰკითხა ვაჟამ.

— საქმე მაქვს!

დედაჩემი აივანზე იყო: თვითონ დაბალ სკამზე იჯდა, საკერავი მანქანა ტახტზე დაედგა და ვიღაცის კაბით იწყალებდა თვალებს.

მივდივართ მზიასთან, ვხედავ: ჩვენი სახლის კედელთან ნუნუ დგას, ხელაშვილი. ნუნუც ჩვენს კლასშია, ზევითა უბანში ცხოვრობს. კლასში ჩურჩულებენ — ვაჟა უყვარსო, უყვარს თუ მოსწონსო.

ხელი ჩამოვართვი.

— რაც დაგვითხოვეს, აღარ მინახიხარ.

— ვერ მოვიცალე.

— ეზოში შევიდეთ, — მხარზე ხელი მოვხვიე.

— დიდი ხნით არ გამოვსულვარ სახლიდან...

მალე ვაჟამაც იკადრა გარეთ გამობრძანება. ერთმანეთს შეხედეს და ნადული ენდროც წაისვეს ლოყებზე.

მზიამ ორივე თვალი რიგრიგობით ჩამიკრა.

— როგორა ხარ? — ჰკითხა ვაჟამ და ლელვის ფოთოლი მოწყვიტა.

— უსკოლოდ მომეწყინა, — ნუნუმაც ფოთოლი შეაწყვიტა ლელვს.

კიდევ კარგი, მზიამ დაარღვია დუმილი, თორემ აღარ იცოდნენ, სად წაეღოთ თვალები და ხელები.

— ნუნუ ბალზე ეპატიჟება ანუცას, ის კი არ მისდევს.

— რას ამბობ?! — გავიოცე.

— ახლა იქიდან მოვდივარ.

ნუნუს მივხედე:

— ვინ გაგაგებინა იმათი ამბავი?

— მზიამ. მითხრა თუ არა, მაშინვე წამოვედი.

— ასეც ვიცოდი! — თქვა ვაჟამ, — მთელი კვირა რომ ეხვეწოთ, მაინც არ გამოგყვებათ.

— ვითომ მოლდავეთში ბლის ჭამა აკრძალულია? — გაეღიმა მზიას.

— შეიძლება იქ უკეთესი ბლები უდგათ, უფრო ტკბილი, უფრო გემრიელი, მაგრამ, გეუბნები, არ წამოვამეთქი.

— ბარემ ჩვენც გაგვაგებინე, რატომ?

— რცხვენია.

— რისა, ჭამისა?!

— სად უნდა წამოვიდეს — ფეხსაცმელი იმას არა აქვს და თანაც ძონძები აცვია! როგორ უნდა წამოვიდეს?

— აქამდე მაგ კაბით არ მოვიდა? მოლდავეთიდან წამოსვლაზე არ გეუბნები, საგარეჯოდან აქამდე მაგ კაბით არ მოვიდა?

— სოფელ-სოფელ მოდიოდნენ, არავინ იცნობდა და მაინცდამაინც არ რცხვენოდა, ახლა ჩვენ გვიცნობს, ჩვენს უბანს, სოფელმაც გაიგო მაგათი ამბავი და ერიდება, გაიგე?

—როგორ ვერ მივხვდი?! — ხელები მომუჭა მზიამ და თავზე მსუბუქად შემოიკრა. — წამოდით, ნინო დეიდასთან ავიდეთ.

აივანზე ავედით.

* გაგრძელება, იხ. „პიონერი“ № 8, 9.

დედაჩემმა სათვალის ზემოდან ახედა მზიას, მერე ნუ-ნუც დაინახა.

— რომლისა ხარ, შვილო?

— ხელაშვილისა.

— აბა, ხელაშვილი?

— ვახტანგი.

— ღმერთმა დაგაქალოს! — ჴელში შერჩენილი ნემსი კაბის საყელოში გაირჭო და სათითეც წაიძრო. — რა ისმის მამაშენისაგან?

— ჯერჯერობით არაფერი.

დედაჩემმა ამოიოხრა და სკამიდან ტახტზე გადაჯდა.

— ჩამოსხედით.

— არა გვცალია, — თქვა მზიამ და დაბალ სკამზე კი დაჯდა. — იმ შიშველ-ტიტველ ხალხს რა ვუშველოთ? იქნებ ტანსაცმელი გამოუძებნოთ იმ საცოდავებს.

— შეიძლება, რატომაც არა? — თქვა დედაჩემმა, წამოდგა, ოთახში შევიდა და მალევე გამობრუნდა, დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი გამოიტანა, ცოტა უფრო ახალი ფეხსაცმელი სხვაც ჰქონდა. — წაუღეთ და, დიდი მოუვა? ჩაუფინოს რამე. პატარა იქნება და, ისევ უკან წამოიღეთ — სხვას რამეს გამოვუნახავ... ახლა, შვილებო, მძიმე დროა და, ერთმანეთი თუ არ გავიტანეთ, გაგვიჭირდება სულის გაღწევა!

— მე კაბას მივუტან, — წამოიძახა მზიამ.

— ყველაზე კარგად თქვენ ცხოვრობთ და ასე იაფად ვერ გადარჩები! — უკბინა ვაჟამ.

— ჯერ დამაცადეთ, — ყველას გასაკვირად მშვიდად თქვა მზიამ, — ფეხსაცმელსაც ვაჩუქებ ანუცას, თავშალსაც, წინდებსაც... ყველაფერი არ მათქმევინოთ.

— ეგრე, შე კაი ქალო! — შეაქო ვაჟამ. — მე კიდევ პაპაჩემის შარვალს წამოვიღებ, როგორც მახსოვს, მარტო ორჯერ ეცვა.

— ვის რად უნდა იმოდენა შარვალი? — გამიკვირდა.

— უნდა.

— თანახმა ვარ, — ფეხსაცმელი ფანჯრის რაფაზე შემოდო დედაჩემმა.

ვერ გავიგე, რაზე იყო თანახმა.

— წავალ და მოვიტან ბარემ, — შეტრიალდა ვაჟა და კიბე ბრაგა-ბრუგით ჩაათავა.

ახლა კი ყველაფერს მივხვდი.

ვაჟას წასვლა და მერაბის მოსვლა ერთი იყო.

მზიამ უთხრა, რაც გადავწყვიტეთ, და მერაბმაც მოიქექა თავი:

— მე კიდევ საქალამნე შოლტს მოვიტან, ხარისაა, ქალამნები ამოვუსხათ ბიჭებს.

— ვინ ამოუსხამს, აჩაკუნე?

— ჩვენი უფროსი ძმაკაცი, საბა პაპა.

ხან ესა ვთქვით, ხან ისა და ვაჟაც დაბრუნდა. შარვლის გარდა დედისეული კაბაც მოიტანა — ისეთი ფერი დაჰკრავდა, თითქოს უხეიროდ გაავლესო ლილაში, მაგრამ იასამნის ყვავილის ფიფქი ეყარა გალა-გალა და ეს აცოცხლებდა.

დედაჩემმა გადააბრუნ-გადმოაბრუნა და ამოიოხრა:

— ამისი გამეტება როგორ შეიძლება, შვილო, გასახსენებლად უნდა შეინახო!

— ხუთი კიდევ სხვაა და საკმარისია... ამას, თურმე, იშვიათად იცვამდა.

— ჰო, ეს კაბა რომ ცმოდა, არ მახსოვს, — თქვა დედაჩემმა და წამოდგა, კისერზე ჩამოკიდებული, თავისი გაკეთებულ-დახაზული ტილოს შეტრიანი მოიხსნა, დახვია და კიბისკენ გაიხედა. — ახლავე დავბრუნდები. თქვენ მანამდე, გოგოებო, შარვალი დაარღვიეთ. — კაბის საყელოდან ნემსი გამოიძრო, მზიას მიაწოდა, — ეგე, მაკრატელი მანდ არის... კახა, შენი ნამლევა ფანქარი მომიძებნე, რვეულის ფურცელიც გამოაყოლე.

შევედი ოთახში და გამოვუტანე.

—მალე დავბრუნდები.. ფრთხილად იარეთ, შვილო, ამ კიბეზე, საფეხური არ ჩაგიტყდეთ და რამე არ დაიშავოთ.

დედაჩემი რომ წავიდა და გოგოებმა შარვლის დარღვევა დაიწყეს, მერაბმა მუჯლუგუნი წამკრა:

— ამათ რა ჩვენი ყურება უნდა, წამო, წავიღოთ შოლტი და მივადგეთ საბა პაპას ვედრებით!

— რა შოლტი და საბა? — იკითხა ვაჟამ.

— გზადაგზა აგიხსნით...

ბედად საბა პაპა შინ დაგვხვდა, საქალამნე შოლტი მივაჩეჩეთ, მერე შორიდან მოვუარეთ ხვეწნა-მუდარით: ოღონდ ეს სიკეთე გვიყავი, ოღონდ თავს ნუ მოგვჭრი, ოღონდ ახლა არ გაგვაპანღურო მკვახე უარით და შენი დანა და ჩვენი კისერიო.

ვაჟა უფრო ეფონებოდა გულზე და, როგორც გზაში მოვილაპარაკეთ, სათქმელიც მან უთხრა.

— მე მეგონა, გერმანიის გაბრუნებასა მთხოვდით! — გაეღიმა პაპას. — მომიცადეთ აქა. — საჩეხში შევიდა, რაღაცას დასწვდა კართან, აიღო და, რომ მოტრიალდა, მაშინ დავინახეთ: ნაგვის ასაღები მუყაოს ნაჭერი იყო; ვაჟას მიაწოდა. — წაიღეთ ესა, ორივე ბიჭს მარტო მარჯვენა ფეხი დაადებინეთ ზედ, სიგანეზე დაადებინეთ, სიგრძივ იქნება არ ეყოს, შემოხაზეთ ნახშირით და მომიტანეთ. მანამდე გადავფხეკავ ტყავსა და, ფეხს ფეხზე თუ გამოიბამთ, ჩალბობასაც მოვასწრებ.

●

მთელი სოფლის მკერავი დედაჩემი იყო და ნაჭერ-ნაკუწიც ბევრი რჩებოდა. ზოგი ნაწიბურსაც არ დატოვებდა ხოლმე, ზოგს კი თავშლისოდენა ნაჭერიც არ მიჰქო-





ნდა, რაში გამოვიყენებო. გამოყენებით როგორ ვერ გამოიყენებდა, მაგრამ ძალიან რომ გვიჭირდა, ამითი გვეხმარებოდა, თანაც ისე, ჩვენი თავმოყვარეობა რომ არ შეელახა.

ასეთი ადამიანი, საბედნიეროდ, ბევრი იყო მაშინ და სწორედ მათი წყალობით ვახერხებდით თავის გატანას.

დედაჩემმა მეორე დღეს ფერად-ფერადი ნაჭრებისაგან საცვლები შეუკერა ბიჭებს და ქალამნებიც მზად იყო. ჩვენ ვაპირებდით მიტანას, გვინდოდა გვენახა, როგორ გაიხარებდნენ რადუ და დანუ, მზიამ კი არ დაგვანება — მე წავილებ და თავის დროზე მევე დაგიძახებთო.

რა გეჩქარებათ, დაგიძახებთო, გვითხრა დედაჩემმაც, მაგრამ რაღა რა გვეჩქარებოდა! — შუადღე უკვე გადასული იყო და როდისღა უნდა გაგვეხარებინა ნუნუ ხელაშვილი, როდის რა უნდა მოგვესწრო: აკი ბალზე ვიყავით დაპატიჟებული!

ვიფიქრეთ, იქნებ დაავიწყდაო, ავდექით და ჩვენ მივაკითხეთ.

მარნის გვერდით, ზედადგარზე, ვეება ყურიანი ქვაბი შემოედგათ, მაგრამ აღარც ცეცხლის ენები ლოკავდა, აღარც ბოლი ჰქონდა შემოხვეული, ეტყობოდა, კარგა ხნის განელებული იყო.

— მზია! — დაუძახა ვაჟამ.

— მზია კი არა, ნუნუ-თქო, — შეუსწორა მერაბმა.

— ანუცა, — ახლა მე დავუძახე.

მარნიდან ჯერ ბიჭები გამოცვივდნენ, მერე მზია გამოვიდა ღიმილით, მერე ნუნუ, სულ ბოლოს ანუცა — მასაც ეღიმებოდა.

გავშრით!

— ეს რა ლამაზი გოგო ყოფილა! — ჩაილაპარაკა მერაბმა და თვალებზე ხელი მოისვა. მერე ამბობდა, თქვენ მომიგონეთ, ასეთი რამ არ მითქვამს და არც ნამძინარევივით თვალებზე მომისვამს ხელიო.

ანუცას მზიასეული, მოყვითალო, ღიღილოს ყვავილივით დაწინწკლული კაბა ეცვა და მზიასეული ყავისფერი ფეხსაცმელი. მოკლედ შეკრეჭილი თმა კოხტად ჰქონდა დავარცხნილი; მოდიოდა ჩვენკენ და მოაბრიალებდა მსხვილ, შავ თვალებს.

წინ ვიდექი და ჯერ ჩემთან მოვიდა. ხელი რომ გამომიწოდა, არ ვიცი, რა დამემართა — უკან დავიხიე.

კარგად აღარ მახსოვს: მგონი არავის გაუცინია, არც უთქვამთ რამე, მხოლოდ მაშინ შევიშმუშნე უგერგილოდ, დანუ ქამარზე რომ წამეპოტინა. ანუცას ხელი ჩამოვართვი, მერე დავიხარე და დანუს ვაკოცე. რადუსაც ვაკოცე.

ბიჭებს საოცრად უხდებოდათ დედაჩემის შეკერილი შარვლები, მოკლესახელოიანი ხალათები და საბა პაპას ამოსხმული ქალამნები. მალიმალ იხედებოდნენ ტანსაცმელზე, ფეხებზე; დახტოდნენ, დაკუნტრუშებდნენ, სიცილ-თამაშით იკლებდნენ იქაურობას.

იდგა ანუცა და მზრუნველად მისჩერებოდა ძმებს.

— კაჰა! — ხელები გამომიწოდა დანუმ.

ხელში ავიყვანე, მერე მხარზე შევისვი. რადუ საწყლად მომაჩერდა. ვაჟამ დასტაცა ხელი, აიქნია და კისერზე შეიგდო.

— მე რაღა ვქნა? — სიცილით იკითხა მერაბმა.

მერაბის ნათქვამი ანუცამ გაიგო და გაიცინა.

— თუ ასეა, — უთხრა მზიამ და დანუ გამომართვა. — აჰა, შენ ეს აიყვანე!

ვიდრე თვითონ მზია მეტყოდა, ჩემით მივხვდი — ამით მიმანიშნა, ანუცა შენკენ უფრო იხედებაო.

სტუმარი ბავშვების სიხარული მეც სიხარულად უნდა გადამდებოდა, პირიქით კი მოხდა: უარესი სინანული

ვიგრძენი, უფრო უარესი, ვიდრე მათი პირველი დანახვა-გაცნობისას. ფიქრში რომ ჩავღრმავდებოდი ხოლმე, ადვილად ვარკვევდი: მაინცადამაინც არც ჩვენ გვიჭირდა ნაკლებად, არც ჩვენ გვალაღებდა ცხოვრება. მიგვეხედ-მოგვეხედა — აქეთ გვჭირდა შესაცოდი, რა გვეცვა და რას ვჭამდით! სხვათა სილატაკეზე კი გვეწვებოდა გულმუცელი... მაგრამ ახლა, ჩვენ რომ ვიკლებდით და სხვას ვაძლევდით, ერთი უმთავრესი რამ გვაიძულებდა და ერთბაშად მოთხოვნილებადაც გვექცა: ჩვენ შინ ვიყავით, ჩვენს ეზო-ყურეში, უბანში, სოფელში, ჩვენი ღრუბლიანი თუ უღრუბლო ცის ქვეშ; ჩვენი ხალხი ტრიალებდა ირგვლივ, ჩვენი ნიავი ქროდა, ჩვენი თოვლი თოვდა, ჩვენი ქართული ისმოდა; ტირილიც, ოხვრაც, ქვითინიც ისმოდა, მაგრამ ეს ტირილიც, ეს ოხვრაც, ეს ქვითინიც ჩვენი იყო, მშობლიური და თითქოს აუცილებელიც, ურომლისოდაც ვერ წარმოგვედგინა სიცოცხლე... გვასწავლიდნენ და ვიცოდით ჩვენი ქვეყნის საზღვრები: სადაც უნდა გადავეგდეთ ბედსა თუ უბედობას, არსად არ უნდა გვეგრძნო თავი უცხოდ, ამიტომ ამ მოლდაველებისთვის რაღად იქნებოდა სხვათა მხარე საქართველო, ჩემი სოფელი, ან ჩვენთვის — მოლდავეთი?.. ცოდნა ცოდნად, თუმცა თავი არ მოიტყუო — შენი მაინც სხვაა, შენი ფოთლის შრიალი თუ შენი ეზოს ვასაკას ყიყინი. ეს სიყვარული შენი ჭერის მერცხალსაც კარგად მოეხსენება: სიკვდილმა თუ არ დაავიწყა, არასოდეს ივიწყებს თავის ბუდესა და ხის იმ ტოტს, რომელზედაც ხშირად უყვარს ჯდომა...

— ნულარ დავიგვიანებთ, — თქვა ნუნუმ, — დედაჩემი გველოდება.

ანუცა გაიქცა, მარნის კარი დაკეტა და გასაღები მზიას მიაწოდა: მზიამ ცხვირსახოცში გაახვია, ჯიბეში ჩაიდო და გვითხრა:

— ბიჭებო. ეს ქვაბი და ზედადგარი ნაზო ბებიასია, კედელზე მიყუდებული სარებიც. აბა, მოჰკიდეთ ხელი, წავუღოთ.

ზედადგარს მერაბმა გაუყარა სარი და მხარზე მოიგდო. ქვაბს მე და ვაჟამ გავუყარეთ სარი ყურში.

ხმაურით მივდიოდით გზაზე.

— ხვალ კინოა კლუბში, წამოხვალ, ანუცა? — ეუბნება ვაჟა.

— ჰო.

— ბიჭებიც წავიყვანოთ?

— ჰო.

— მართლა, დედაშენი, მარია, სად არი?

— არ ვიცი, — თან მორცხვობს.

— დილაადრიან ვიღაცას წაუყვანია სათოხარში, — ამბობს მზია, — ქალი იყოო. ჩვენც ვერ ვიცნობთ ყველა ჩვენ სოფლელს და ამას საიდან ეცოდინება?

— მაგას ვინ ედავება?.. ცოდოა ქალი, ყოველდღე თოხის ქნევა ადვილია?

— მაშ რა ქნას შენი ჭკუით?

— მე ისა ვთქვი, როდემდე გაუძლებს-მეთქი.

— ეგეც კია!.. ვერ უყურებ, რა თვალდათვალ მოფერიანდნენ ბიჭები?

— ჯერ სადა ხარ, — ვეუბნები, — ჯერ საზამთრო და ნესვიც გაჩნდეს!

ფეხი უკანა რჩება ვაჟას:

— ბარემ აქა ვარ და, მივალ იმ ჩემს მოზიარესთან, გავიგებ, როდის უნდა გამოვბარდოთ ლობიო.

— იქიდან რომ გამოვივლით, ერთად ვნახოთ, — ურჩევს მერაბი, — მე და კახასაც გვაწუხებს ეს საქმე. — წლეულსაც ჩვენ არ უნდა გამოვბარდოთ? წამოდი, თორემ მე გაგალობიებ შენა!

მივდივართ. დანუ და რადუ წინ მიგვიხტიან.

ანუცა გზის აქეთ-იქით იყურება დაკვირვებით: სოფელს ათვალიერებს.

მზია ნუნუს ეჩურჩულება რაღაცას, ნუნუ მორცხვად უქნევს თავს.

ამასობაში ნუნუს სახლსაც მივადექით, ეზოს მოვავლეთ თვალი და ტაშიც შემოვკარი:

— აი, ბალი და სხმა!

ბალს ერთნაირად აესხლიტა ვეება ტოტები და აქა-იქ ნიავი რომ მიაწყდებოდა ხოლმე, ისე ანათებდა წითლად, თითქოს იცინისო.

ჭამა იქით იყოს და, ერთ ყურებად ღირდა!

ვიდექით და ისეთი სიხარულით მივჩერებოდით, უცხო იფიქრებდა, ბალი ჯერ არ უნახავთო.

ანუცა ნაღვლიანად გაჰყურებდა.

— თქვენთან იცის ბალი? — ჰკითხა ნუნუმ.

— დიახ

— ასეთი ბალი? — თითი გაიშვირა.

— დიახ.

დანუ და რადუ ეზოში შეცვივდნენ, ბეღლისაკენ გაუხვიეს, მაგრამ ნუნუს დედა გამოვიდა მარნიდან და მის დანახვაზე უცებ გაჩერდნენ, უკან გამოაპარეს თვალი და, გაღიმებული რომ დაგვინახეს, თვითონაც გაიღიმეს.

— მობრძანდით, შვილებო! — შეგვიპატიჟა ცაცა დეიდამ და საჩეხის სამსაფეხურიან კიბეზე ჩამოვიდა, დანუ და რადუ გულში ჩაიკრა, ანუცასაც აკოცა და ჰკითხა:

— რა გქვია, შვილო?

— ანუცა

— ეს ა რაღაა?.. ჩვენებურად ნუცა უნდა დაგიძახო, — მერე ჩვენ ჩამოგვართვა ხელი, — დამაწყდა თვალები თქვენს გზაზე ყურებით!.. წამოდით, — საჩეხში შეგვიძღვა. — ნუნუ, შვილო, მოდი, მომეხმარე... ბიჭებო, მაგიდა ტახტთან მიიტანეთ, სკამები შემოუწყვეთ... მზია, შვილო, შენც აქ მოდი..

უცებ გაიშალა პურ-მარილი: ყველი, ძროხის წვნიანი და, რაც მთავარი იყო — გამტკიცული შოთები.

— ბალი? — იკითხა მერაბმა.

— ბალი ხილია და მერე, — უპასუხა ცაცა დეიდამ.

ხელები დავიბანეთ და მაგიდას შემოვუსხედით.

შოთი ავიღე, ვაჟას მივაწოდე:

— გამიტეხე.

გატეხა და მაშინვე ჩაკბიჩა·

— ამასა ჰქვია პური!

ცაცა დეიდა შეკრთა, მაგრამ დროზე მოარიდა თვალი, მარანში შევიდა და შოთები შემოუმატა სუფრას.

ბავშვებს ცაცა დეიდამ გადაუღო საჭმელი, დიდ-დიდი თიხის ჯამები ერთიანად მოუპიპინა, კოვზები მიაწოდა, პურიც. ბიჭებმა ჯამებში ციმციმ ჩააპარეს კოვზები, მერე კი, ცაცა დეიდამ თავზე რომ გადაუსვათ ხელი, თქლაფა-თქლუფით დაიწყეს ჭამა. ანუცამ რაღაც გადაულაპარაკათ მწყრალად და მათაც მოუკლეს თქლაფა-თქლუფს.

გვშიოდა და მადიანადაც ვილუკმებოდით.

— როცა მშია, რას მიქვია დახათრება, — ვთქვი და ამით ცაცა დეიდა მოვახედე, თვალით ვანიშნე ანუცაზე, ცოტა გადაიღო-მეთქი.

— ეს როგორ შეიძლება! — გაჯავრდა ცაცა დეიდა, — საჩვენებლად კი არ მომიტანია ეს სავსე ქვაბი! — ანუცას ჯამი აართვა, აიღო საწვნე და მარტო ხორცი ამოურჩია, — მიირთვი, შვილო, ისიამოვნე.

ანუცა გაწითლდა.

— ცოტა მოვუმატოთ ჭამას, ბიჭებო, — ვამბობ ხმამაღლა. — ჩვენი ერიდება.

— მართალია, — დამეთანხმა მზია.

მალეც ავიწიეთ ბიჭებმა.
— მოიცათ! — შეგვაჩერა ცაცა დეიდამ, — დასხედით... აგრემც მოვკვდები, ღვინო დამავიწყდა! — მარანში შევიდა.
ნუნუ წამოხტა, ოთახიდან ღვინის ჭიქები გამოიტანა, წყალი გადაავლო, რადუსა და დანუს გარდა ყველას ჩამოგვირიგა...
ჭიქები შევავსე წითელი ღვინით, წამოვდექი:
— შენ გაგიმარჯოს, ანუცა, დედაშენს გაუმარჯოს, მშვიდობით გენახოთ მამა. ჩვენს რადუსა და დანუს გაუმარჯოს; სიკეთით დაბრუნებულიყავით თქვენს მშვენიერ ქვეყანაში!
ანუცა წამოდგა და თავი დამიქნია:
— მადლობა, კახა.
მისგან პირველად გავიგონე ჩემი სახელი.
სხვებმაც ადღეგრძელეს.
ისევ შევავსე ჭიქები.
— ამ ოჯახს გაუმარჯოს! ხშირად გვექეიფოს ამ საჩეხშიც, ამ ეზოშიც, და იმ ოთახებშიც! — ალავერდს ვაჟასთან გადავედი.
ვაჟა არ ელოდა, დაიბნა და, ამინო, — ესეც ძლივს მოახერხა.
ამ ორ ჭიქაზე მეტი არ დაგვილევია.
გოგოებიც და ბიჭებიც ერთად ავიშალენით.
გოგოები სუფრის ალაგებას აპირებდნენ, ცაცა დეიდამ უთხრათ, თქვენ ბალს მიხედეთ, ამას მე მივხედავო.
ბლისკენ გავწიე, მაგრამ ნუნუმ შემაჩერა:
— ბიჭები აქ დარჩით. გოგოები უნდა ავიდეთ ბალზე.
— ჩვენ კიდევ, წავუძინოთ?
— ნარდი ითამაშეთ...
გვერდით დამხობილი, მურით ძირგამოლესილი ქვაბი გვიდგას, ზედ ძაფის კოჭი დევს: მარსს წააგებ, ორჯერ უნდა დაგაბეჭდონ სახეზე, ოინს წააგებ — ერთხელ. მე და მერაბმა მოვილაპარაკეთ და სულ ჩვენ ვაგებთ. იმდენი მარსი და ოინი წავაგეთ, გაზანგულები ვართ.
ბლის კუნწულებით დანუ და რადუ გვამარაგებენ.
— კუნწულები დაამტვრიეთ, შვილო, თორემ მერმის აღარ დაისხამს! — ეძახის ცაცა დეიდა, თან ჭურჭელს რეცხავს.
გოგოები სიცილ-კისკისით იკლებენ იქაურობას, ჩვენ კიდევ აქ ვიხოხობით.
სიცილი მერე უნდა გენახათ, როცა გოგოები ჩამოვიდნენ ბლიდან და მე და მერაბი დაგვინახეს.
ყველაზე უფრო ანუცა იცინოდა.
მერე დავემშვიდობეთ მასპინძლებს და წამოვედით.
დანუ და რადუ ძლივს ჩანდნენ ბლის კუნწულებში.
მეორე დილით ნუნუმ ანუცას შოთები და დათავიანებული ნედლი ნიორი გამოუტანა.

8

ერთ საღამოს მზიას დედა — ნენე მოვიდა ჩვენსა და თავისი უფროსი შვილი, მეათეკლასელი ეკა მოიყოლა.
— რატომ თელავს არ გაგიგზავნია ეკა? — ჰკითხა ნენეს დედაჩემმა, — აკი ყოველ წელს აგზავნი მულთან?
დიდი კაცი გაუხდა ქმარი და საწყალი ხალხისთვის ველარ იცლის.
— ისევ ეს რძალ-მულობანა! გამგები, კეთილი ქალია, შენ ეტყუები, — საკერავ მანქანას მაქო გაუკეთა, ოდნავ დაატრიალა და ძაფი ამოიღო.
ეკას ჩაეღიმა.
— რათ იცი ეგეთი ლაპარაკი! — ეწყინა ნენეს. — სხვა ვიღასთან ვტყუი, თუნდაც ერთი დამისახელე ვინმე!
— ეგე, ეკასთან, — თან საკერავი მიუმარჯვა მანქანას, აჩხრიალებს, — მზია სადღაა, რამდენი ხანია არ გამოჩენილა!
— კეკე ჯავახიძის მდგმურებთან იქნება.
— ხომ არ უწყრები?
— რას ამბობ?.. კაბაც მე გავატანე, ფეხსაცმელიც და სხვა რამეც — მადლია!.. საქმეზე მოველ.
— რა გაგჭირვებია? — სათვალე მოიხსნა დედაჩემმა და ისე ახედა.
— საბან-ლეიბი უნდა გამიწყო და დამილიანდავო, ამ ქალბატონის სამზითვო საბან-ლეიბი.
— ღმერთმა სიკეთით გადმოგხედოთ, მაგრამ რომ არა მცალია?
— უნდა მოიცალო!
— აბა, შედი ოთახში და მაგიდას გადახედე, რა ამბავი საკერავია!
— მე რაღა ვქნა?
— კეკეს მდგმურთან ჩადი, მარიასთან — წამოგყვება, მაგ გაწყობა-დალიანდაგებაზე მითხრა, ვიცი და იქნებ საქმე გამომიჩინოო. გასაკეთებელსაც გააკეთებ და სიკეთეშიც ჩაგეთვლება. არც მე წამოგყვებოდი მუქთად. ჩემსავით გიჭირდეს, სხვა ამბავია. დროით ჩააკითხე, თორემ ვისაც თოხის მოქნევა ემკვლელება, ყველა მაგას ეძახის... თურმე ვახშმად არავისთან არ რჩება, თუ რამე გემეტებათ, შინ გამატანეთო... შენ იცი და შენმა კაიქალობამ, როგორ გაახარებ!..
მეორე დილით დეიდა მარია მზიას აივანზე საბნისა და ლეიბის მითელებს კერავდა; ჩვენ კი მარწყვზე წასვლას ვაპირებდით. ვაჟა ვერ წამოვიდა, მისი ადგილმამულის მოზიარემ წაიყვანა, ვენახში რომ ლობიო გვითესია, ის უნდა გამოვბარდოო, შენი მოხმარება არ მინდა, ისედაც ბევრნი ვიქნებით, მარტო იქ იყავი და მოსავალი თვალში გაატარეო. ვაჟამ თქვა, სანდო კაცია, პატიოსანი, არ წავიდოდი, მაგრამ ადრეულა ჭერამი დამწიფებულა და იმის მოსატანად უფრო მივდივარო.
ანუცამ დედას რომ უთხრა, მარწყვზე მივდივართო, ნენე დეიდამაც დაინახა: მზიას სათუთე, პატარა კალათა ეჭირა ხელში, გვკითხა, საით გაგიწევიათო.
— მარწყვზე, — ისე უპასუხა მზიამ, თითქოს თვითონ არ მიდიოდა.
— ამისი შვილები სადილად აქ მოიყვანე, — მარიასკენ გადაიქნია თავი.
— მე და კახაც რომ დაგვპატიჟო, აუნაზღაურებელი ზარალი მოგივათ, ხომ იცით, — გაიცინა მერაბმა.
— ნეტა, თქვენ რაღა დაპატიჟება გინდათ! — თქვა ეკამ.
ეკა მითელის შეკერვაში ეხმარებოდა დეიდა მარიას, მაგრამ როგორც შევატყვე, უფრო ხელს უშლიდა: ორჯერ გაატარა მანქანა და ორჯერვე დეიდა მარიას დასარღვევი გახდა.
გვეგონა, რაკი დაიგვიანა ნუნუმ, აღარ მოვაო, მაგრამ მარანთან დაგვხვდა. ძალიან ვახარებული იყო.
— მამაჩემის წერილი მივიღეთ! — ვიდრე მივესალმებოდით, მანამდე გვითხრა.
ხელის ჩამორთმევით მივულოცეთ.
ანუცამ ვერ გაიგო, რაზე ჩამოვართვით ხელი.
— ამისი მამა ომშია, ფრონტზე, — აუხსნა მზიამ, — წერილი მიიღო.
ანუცამაც ჩამოართვა ხელი.
— მამაშენი სად არის, ანუცა? — ჰკითხა მერაბმა.
— იქ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე მამა არა მყავს. — ვუთხარი ანუცას და თხრილზე გადახტომაში ხელი შევაშველე.

— ვიცი.

— ვაჟას მამაც ფრონტზეა.

— ვიცი.

დანუ და რადუ წინ მიგვიხტოდნენ. წამოვეწიე, დანუს ხელი წავავლე:

— ახლა აქეთ უნდა წავიდეთ, — ტყისკენ მიმავალ ბილიკზე შევაბრუნე.

— კახა, — მეუბნება ანუცა. — დანუს და რადუს უყვარხარ.

— შენ არ გიყვარს? — გაუცინა მერაბმა.

— მიყვარს.

შევკრთი. ვიფიქრე, არ იცის, რას ამბობს-მეთქი.

— იცი, რას ნიშნავს „სიყვარული“? — ისევ მერაბმა ჰკითხა.

— ვიცი.

— საიდან იცი?

— მე ვასწავლე, — თქვა მზიამ, — მაგრამ შენ თუ იცი, შე დოყლაპიავ!

— გამიგია.

— ვისგან გაიგე?

— ნუნუმ მითხრა... მართლა, ნუნუ, რას იწერება მამაშენი?

— ორჯერ დავიჭერი და ახლა კარგად ვარო... მალე დამთავრდება ომი და მალე ჩამოვალო... ყველანი მომიკითხეთო... ჩემი დარდი ნუ გექნებათო...

ანუცა დაფიქრებული მოდიოდა. მზიამ ხელი გადახვია:

— მამა წერილს არ გიგზავნით?

— არ ვიცით.

— რატომ არ იცით?

— აქა ვართ.

— ზოგჯერ გიჟი მგონიხარ! — გადაირია მერაბი, — სად უნდა გაუგზავნოს, გოგო: ამათი მამა გერმანელებს ებრძვის, ცოლ-შვილი მოლდავეთში დატოვა და ახლაც იქ ეგულება. მოლდავეთი კიდევ გერმანელებს აქვთ დაპყრობილი! ერთი გამაგებინე, როგორ და რანაირად გაუგზავნოს წერილი!.. მასწავლებლებიც სულ ამას არ გეუბნებიან: ჯერ დაფიქრდი და მერე თქვიო?

— იქ ეგულება, მაგრამ აქ რომ არიან?

— როგორ გაიგოს?

— უბრალოდ — მოძებნოს!

— ჰმ?! — ხელები აღაპყრო მერაბმა, — ომშია, ომში, გაიგე!.. ის ხომ არ არის, ქორწილი, რა მექეიფება, ცოლ-შვილი დავკარგეო, ადგეს და წამოვიდეს!..

— კარგი, გეყოფა, მხარზე ხელი დავარტყი მერაბს, — ხომ ხედავ, არ გისმენს.

ასეც იყო: არ უსმენდა. ტყიდან გავედით უკვე, გავიმინდვრეთ და აქეთ-იქით იხედებოდა, არ იცოდა, საით წასულიყო.

— მარცხნივ წადი, — ვუთხარი და ანუცას ამოვუდექი გვერდით.

— მამა სად მუშაობდა?

— მატროსია.

— დედა?

— დედა — სკოლაში...

— მასწავლებელია?

— დიახ.

— რას ასწავლის?

— ფიზიკას...

— ჰაუ, ჰაუ! — ხელის მტევანი აიქნ-დაიქნია მზიამ და მარწყვს დასწვდა.

— მერაბ, შენ რადუს მიხედე, — დანუს მკლავში ჩავავლე ხელი.

— რა ჩემი მიხედვა უნდა?

— დამპალი ან გვერდგამოჭმული მარწყვი არ შეჭამოს, ხომ იცი, როგორი სატკივარია!

ანუცამ, რასაც ვთხოვდით, თავიანთ ენაზე აუხსნა ძმებს.

მთელი ტყის პირი მარწყვით იყო მოფენილი, მარწყვითა და ბალახ-ბულახის ყვავილით.

სადღაც მწყერჩიტა გალობდა, სადღაც სახლჩიტები ჟივჟივებდნენ.

დასასრული შემდეგ ნომერში

# პატარა მონები

როცა 9 თვის რაშელს სურდო დაემართა და ხველა დააწყებინა, ეს ჩვეულებრივი გაციების ბრალი ეგონათ. მალე ბავშვს ძლიერი პიროლებინება აუტყდა — ლამის გაგუდულიყო. დაფეთებულმა მშობლებმა იგი ჰოსპიტალში მიიყვანეს, მაგრამ გოგონა რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

ასამდე ბავშვი იმსხვერპლა ნეაპოლში ამ გამოუცნობმა ეპიდემიამ. გაზეთი „პაეზე სერა“ კი თვლიდა, რომ ეს ეპიდემია არცთუ მთლად გამოუცნობი იყო. გაზეთი ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ დაავადებულ ბავშვთა უმეტესობა ღარიბთა შვილები იყვნენ. სიბინძურე, სილატაკე, შიმშილი იყო გაზეთის აზრით „გამოუცნობი“ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი. ნეაპოლელთა ნახევარი ისეთ ბინებში ცხოვრობს, რომლებსაც არც კანალიზაცია აქვთ, არც წყალგაყვანილობა. ქალაქის ბევრი რაიონი სრულიად მოკლებულია სამედიცინო მომსახურებას. პატარების ერთადერთი სათამაშო ადგილი ქუჩების ბნელი შესახვევებია, სადაც ვირთაგვები დათარეშობენ.

ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ბევრი ნორჩი ნეაპოლელი მძიმედ ავადდება. ტყუილად როდი ეკუთვნის ნეაპოლს ტრაგიკული რეკორდი ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ არა მარტო იტალიაში, არამედ მთელ ევროპაშიც. აქ ყოველი ათასი ახალშობილიდან 70 ერთი წლის შესრულებამდე იღუპება.

თუმცა იტალიის არც სხვა ადგილებშია უკეთესი მდგომარეობა. სიცილიაში, მაგალითად, ბევრი ბავშვი ვერ ხვდება საავადმყოფოში საწოლების ნაკლებობის გამო და ზოგჯერ წლობით ელის თავის რიგს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1959 წლის 20 ნოემბერს მიღებულ ბავშვთა უფლებების დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ბავშვი დაცული უნდა იქნას ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმისაგან; იგი არ შეიძლება იყოს ვაჭრობის ამა თუ იმ ფორმის ობიექტი; მას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაევალოს მავნე სამუშაოს შესრულება. იტალიაში კი აი, რა ხდება.

მიქელ კოლონა 15 აგვისტოს დილით, ყოვლად წმინდა მარია ასუნტას დღეს გაყიდეს. ეს მოხდა პატარა ქალაქ ალტამურაში ეკლესიის მოედანზე. გარიგება ყოველგვარი ვაჭრობის გარეშე მოხდა. ცალ მხარეს იყო საძოვრების მფლობელი, რომელსაც მწყემსები სჭირდებოდა, მეორე მხარეს კი — თავის რჩენის იმედგადაწურული ღატაკი ოჯახი.

მეპატრონემ ფული გადაიხადა და მიქელის ბატონ-პატრონი გახდა. გავიდა რამდენიმე ხანი და მწყემსი ბიჭუნა მკვდარი იპოვეს. დარდისა და სასოწარკვეთისაგან თავი მოეკლა.



რომი. ღარიბთა უბნის ბავშვები.

რამდენი ასეთი მიქელია აპენინის ნახევარკუნძულზე? ერთი გაზეთის გამოანგარიშებით — მილიონამდე. მათგან 500 ათასი სოფლის მეურნეობაში მუშაობს, 200 ათასი — ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში, 100 ათასი — წვრილ საფეიქრო ფაბრიკებში, 150 ათასზე მეტი — მშენებლობაზე.

აი სხვა ციფრიც: 100 ათასი იტალიური ოჯახისათვის მოზარდის შრომა შემოსავლის ერთადერთი თუ არა, ძირითადი წყარო მაინც არის.

— სხვა რა გზა გვაქვს? — შესჩიოდა კორესპონდენტს ერთ-ერთი ყმაწვილის დედა. — ჩვენ ხომ ხშირად ვშიმშილობთ. გვრცხვენია, ჩვენს შვილს რომ ასე ნაადრევად უხდება მძიმე შრომა, მაგრამ რა გაეწყობა. ასეთია ღარიბთა ხვედრი.

ნეაპოლის პლასტმასის სათამაშოების ფაბრიკის 12 წლის მუშა გოგონამ, ანა დ.-მ კითხვაზე, იცი თუ არა, რომ ბავშვების შრომა კანონით აკრძალულიაო, უპასუხა.

— კანონი მდიდრებისთვის არსებობს, ჩვენ კი ღარიბები ვართ. ჩვენს სახლში მხოლოდ მაშინ იშლება სუფრა, როცა ყველანი ვმუშაობთ.

მილანის ყოველკვირეული გაზეთი „ეპოკა“ წერს, რომ ბავშვთა ჯოჯოხეთური შრომის გამგონე ადამიანს ჯერ გაოცება იპყრობს, შემდეგ — განრისხება, ბოლოს კი — უძლურების დამამცირებელი გრძნობა. ეს არის დამახინჯებული, გაქურდული ბავშვობა, რომლითაც ნაკლებად არის დაინტერესებული ოფიციალური სტატისტიკა, პოლიციის მესვეურები, შრომის სამინისტროს ინსპექცია.

კორნატდ ადაში ორმოცი მოზარდი დღეში 11-11 საათს მუშაობდა, თითოეული მათგანი 400-650 ლირას (ჩვენი კურსით 35-40 კაპიკს) იღებდა. ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ადგილობრივი მრევლის მღვდელი არ ჩაერია საქმეში. მან მეპატრონეს მოაგონა, რომ ამ ქვეყნად სინდისიც არსებობს. მეპატრონეს „შერცხვა“ და მცირეწლოვან მონებს ნება დართო უქმე და დღესასწაულების დღეებში „მხოლოდ“ 8 საათს ემუშავათ, დარჩენილი სამი საათი კი „ღვთის სიტყვა ესმინათ...“

უკვე კანონზომიერებად იქცა ის ამბავი, რომ მუშა ბავშვების რიცხვი უმუშევრობის ზრდასთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატულობს. მეწარმეები ხალისით იღებენ სამუშაოზე ბავშვებს — ისინი ხომ იმავე საქმეს აკეთებენ, რასაც დიდები, გასამრჯელოს კი რამდენჯერმე ნაკლებს იღებენ. ამასთან დამქირავებელი ჩვეულებრივ არავითარ რისკს არ ეწევა. თუ მას ბავშვთა შრომის ექსპლოატაციაში ამხილებენ, 2-დან 10 ათას ლირამდე (1,5-დან 7 მანეთამდე) ჯარიმას გადაიხდის — ეს არის და ეს. მაგრამ ასეთი რამ აქ ისე იშვიათად ხდება, როგორც, ვთქვათ უდაბნოში რომ თოვლის ქარბუქი ამოვარდეს. შრომის ინსპექტორები ძალზე ცოტანი არიან. მათი გამოჩენისას, მოზარდ მუშებს რომელიმე ბნელ ოთახში მალავენ.

მუშა ბავშვები ყოვლად უუფლებონი არიან. მათზე არ ვრცელდება სოციალური დაზღვევა. ავადმყოფობის ან შვებულების დროს მათ არაფერს უხდიან, თუ მეპატრონეს უკვე აღარ ესაჭიროება რომელიმე მათგანი, იოლად დაითხოვს მას — მუშა ბავშვი არც აჯანყდება, არც გაფიცვას მოაწყობს.

იტალიაში 1967 წელს მიღებულ მცირეწლოვანთა შრომის დაცვის კანონში ჩამოთვლილია სამუშაოს სახეები, რომელთა შესრულება ბავშვებს კატეგორიულად ეკრძალებათ. მაგრამ სინამდვილეში ათიათასობით ბავშვი მუშაობს თუთიისა და ტყვიის გამოდნობაზე, ლითონების შედუღებასა და ჭრაზე, ასანთისა და ორგანული საღებავების დამზადებაზე, ტყავეულისა და ლაქსაღებავების წარმოებაში; მუშაობს ხარაჩოებზე, ან ამწეებზე, სადაც ზოგჯერ უსაფრთხოების ტექნიკა სრულებით არ არსებობს.

და აი ამის შედეგები:

კალატოზის თანაშემწე 12 წლის ბიჭი ხარაჩოდან გადმოვარდა და დაიმტვრა... ნეაპოლელი მუშა გოგონა მძიმედ მოიწამლა სინთეტიკური ოხშივრით... პორტო ემპედოკლეში მუშა-მოზარდი ჩაუმქრალი კირის ორმოში ჩავარდა... რომში 10 წლის ელექტრიკოსი მაღალი ძაბვის კაბელს შეეხო და დაიღუპა... 12 წლის მშენებელი მარმარილოს ლოდმა დაიტანა...

მსგავსი ცნობა-ნეკროლოგები ხშირად გაიელვებს ხოლმე იტალიური პრესის ფურცლებზე.

გაზეთებმა ერთხელ ასეთი ტრაგიკული ამბავი ამცნეს ქვეყანას.

ნეაპოლის მახლობლად მდებარე ჩერკოლის მცხოვრები, 14 წლის ჩირო ლეტერი დღისით სკოლაში დადიოდა, საღამოობით კი სახელოსნოში მუშაობდა. მას დედა და ოთხი და-ძმა ჰყავდა. ჩირო და-ძმებში ყველაზე უფროსი იყო. სკოლაში სწავლა უფრო იზიდავდა, ვიდრე მუშაობა, მაგრამ გაკვეთილებზე დასწრებისათვის ხომ ფულს არავის უხდიან. სახელოსნოს მფლობელი ჩიროს დღეში 2 ათას ლირას აძლევდა. ეს დიდი თანხა არ არის, მაგრამ ღარიბი ოჯახისათვის თითოეული ლირა ძვირფასია.

ერთ დღეს ჩირო სკოლიდან დაბრუნდა, საჩქაროდ წაიხემსა და სახელოსნოში წავიდა. რამდენიმე საათის შემდეგ დედამისს შეატყობინეს, რომ მისი შვილი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა — ჩიროს თურმე თავი წნეხის ქვეშ მოჰყვა..

იტალიაში სხვადასხვა სამუშაოზე ყოველწლიურად 15 წლამდე ასაკის ათასზე მეტი ბავშვი იღუპება.

**ლ. მაკარევიჩი**




აი როგორ „ზრდიან" ბავშვებს ერთ-ერთ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოში — გფრ-ში. ეს ბავშვი ქურდობამდე მიიყვანა მძიმე ცხოვრებამ, შემდეგ კი აი, ქურდობისათვის ასე დასაჯეს.

აისი
ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი № 10

## ვისწავლოთ „ესპერანტო“

1978 წლის სექტემბერში გავიგე, რომ ქუთაისის პიონერთა სასახლეში მუშაობს ესპერანტოს შემსწავლელი წრე. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი, რა იყო ესპერანტო. ახლა კი ვიცი, რომ ეს ძმობის, მშვიდობისა და მეგობრობის ენაა.

ხელოვნური ენა „ესპერანტო“ საუკუნის წინ ევროპულ ენათა საფუძველზე შექმნა პოლონელმა გიმნაზიელმა ლაზარ ლუდოვიკ ზამენჰოფმა. სახელწოდება წარმოსდგება ფრანგული სიტყვიდან „ესპერო“ — იმედი; ამ ენას მტრედივით უნდა ეფრინა ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის დასამყარებლად.

ქუთაისის პიონერთა სასახლის ესპერანტოს შემსწავლელ წრეს ხელმძღვანელობს ჩვენი საყვარელი მასწავლებელი, ესპერანტისტი ქ. ქაჯაია.

სასახლის ინტერკლუბი მსოფლიოში პირველი კოსმონავტის იური გაგარინის სახელობისაა და 13 წელიწადია არსებობს. კლუბის პატარა ოთახი სავსეა ინტერნაციონალური მეგობრობის ამსახველი სტენდებით, ფოტოსურათებით, წერილებით, ალბომებით, საჩუქრებით, სუვენირებით და სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული ბარათებით.

ესპერანტოს მეშვეობით ჩვენ მეგობრობა დავამყარეთ 20-მდე ქვეყანასთან: გ დ რ-თან, ჩეხოსლოვაკიასთან, იუგოსლავიასთან, კუბასთან, ვიეტნამთან, იაპონიასთან, ბრაზილიასთან, კორეასთან და სხვ. ამ მოკლე ხანში მსოფლიოს ხალხთა ანბანების გამოფენას მოვაწყობთ. უკვე ხელთა გვაქვს მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური რესპუბლიკების და ოლქებისა და ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების ანბანები.

27-31 მარტს მონაწილეობა მივიღეთ საქართველოს ესპერანტისტთა III რესპუბლიკურ შეკრებაში, რომელიც ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. შეკრებას ესწრებოდნენ ქართველი ესპერანტისტები: გიორგი ტყეშელაშვილი, აკაკი შამელაშვილი და, როგორც ყოველთვის, პროფ. ილია ტაბაღუა.

შევიმუშავეთ ესპერანტოს ქართული სახელმძღვანელოს და ლექსიკონის ვარიანტი. სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ საფუძველზე უნდა შევადგინოთ.

ყველა პიონერს მოვუწოდებთ, ისწავლოს ესპერანტო.

**ალეკო სანდუხაძე,**
ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე.

## თანავუგრძნობთ

„პიონერის“ მე-7 ნომერში დიდი გულისტკივილით წავიკითხე „კაპიტალიზმი — ბავშვების მტერი“. საერთოდ ძალიან მაინტერესებს საზღვარგარეთელი თანატოლების ცხოვრება, მათი ბედი. დიდი ინტერესით ვკითხულობ გაზეთ „ნორჩ ლენინელში“ გამოქვეყნებულ წერილებსაც, რომლებიც კაპიტალისტურ ქვეყნებში მცხოვრებ ბავშვთა უუფლებობას ასახავენ.

ამ ზაფხულს საკავშირო პიონერულ ბანაკ „არტეკში“ მსოფლიოს 73 ქვეყნის წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ შორის იყვნენ მოზარდები იმ კაპიტალისტური ქვეყნებიდან, სადაც ბავშვებს ბავშვობა აქვთ წართმეული. და აი, ერთ მშვენიერ დღეს არტეკელებს სტუმრად ეწვიათ ბავშვების დიდი მეგობარი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელმაც გულში ჩამწვდომი სიტყვით მიმართა იქ მყოფთ: „...თქვენ სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობთ, მაგრამ ერთმანეთისა გესმით, იმიტომ, რომ გამონახეთ საერთო ენა — მეგობრობის ენა... უმშვიდობოდ ბავშვობა არ არსებობს. უმშვიდობოდ მომავალი არ არსებობს. არადა, მილიონობით ადამიანს ხომ ომებმა წაართვა ბავშვობა. და ეს არავის არ უნდა დაავიწყდეს“.

ლ. ი. ბრეჟნევი ყველა ჩვენთაგანის სათქმელს ჩასწვდა. მან გვირჩია, რომ პატივს ვცემდეთ ყოველ ადამიანს. მიგვაჩნდეს იგი ჩვენს ტოლად, სულ ერთია, რა ენაზე ლაპარაკობს, ან რა ფერის კანი აქვს მას.

საბჭოთა ბავშვები თანავუგრძნობთ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მცხოვრებ თანატოლებს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი მარტონი არ არიან, რომ ჩვენ, საბჭოთა ქვეყნის პიონერები, მათი მეგობრები და ქომაგები ვართ.

**ნონა ჭადაგიშვილი,**
გურჯაანის რაიონის კარდანახის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე, კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი.



ოქროსფერი შემოდგომა. ლეილა კალატოზიშვილი.
კავთისხევის საშუალო სკოლა, VI კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა




ბოლო ხანს მოსახლეობის ყველა ფენაში გაიზარდა ასტრონომიისადმი ინტერესი. ამას, კერძოდ, რედაქციაში შემოსული თქვენი წერილებიც გვიდასტურებენ. ჩანს, რომ გაინტერესებთ და გიტაცებთ ციური სამყაროს მოვლენები. ჟურნალის რედაქციამ გადაწყვიტა თქვენი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად შემოიღოს განყოფილება „დედამიწა და სამყარო“ და პერიოდულად მოგითხროთ ციურ სხეულთა და ასტრონომიულ მოვლენათა შესახებ. თქვენი გამოხმაურება, აგრეთვე შეკითხვები ან თქვენი მოწოდებული თემები დაგვეხმარება, რაც შეიძლება მიმზიდველი გავხადოთ ეს განყოფილება. მაშ, ველით თქვენს შთაბეჭდილებებს...

# რას აძლევს ასტრონომია ადამიანს?

**შალვა საბაშვილი**

დღეს გაგაცნობთ იმ წარმოსახვითი კამათის ფრაგმენტებს, რომელიც ჩემსა და ერთ-ერთ მკითხველს შორის „გაიმართა“.

კამათი დიდხანს გაგრძელდა. მე ვამტკიცებდი, რომ ასტრონომია ყველა პროფესიის ადამიანს სჭირდება. მკითხველს არა სჯეროდა, მერე კი თანდათან დამეთანხმა, თუმცა გულის სიღრმეში იმედოვნებდა, რომ მაინც აღმოაჩენდა ასტრონომიისაგან სრულიად განზე მდგომ პროფესიებს. ასე „გავიარეთ“ ბიოლოგია (მაგალითი: დედამიწაზე ზოგიერთი დიდი ზომის ცხოველის გადაშენება რომელიმე ახალი ვარსკვლავის ანთების შედეგად; მზისა და ვარსკვლავთა ნაწილაკებით გამოწვეული ბიოლოგიური მუტაციები), ქიმია (ხომ საინტერესოა ციურ სხეულთა ქიმიური სტრუქტურის შესწავლა და დედამიწასთან შედარება? ელემენტების წარმოშობის პრობლემა ვარსკვლავების ევოლუციას უკავშირდება), ფიზიკა (ციურ სხეულთა შორის გვხვდება როგორც უაღრესად მკვრივი, ისე უაღრესად გაიშვიათებული სხეულები; ნეიტრონული ვარსკვლავის ნივთიერებისაგან დამზადებული „ხორბლის მარცვალი“ მილიონ ტონას აიწონის; გალაქტიკებს შორის ყოველ დედამიწისოდენა მოცულობის სივრცეში გაბნეულია სულ 1 მილიგრამი ნივთიერება; გვხვდება მილიარდობით გრადუსამდე გაცხელებული თუ მინუს 270 გრადუსამდე გაცივებული არეები, უზარმაზარი გრავიტაცია და მაგნიტური ველები...), გეოლოგია და მეტეოროლოგია (დედამიწაზე კლიმატურ სარტყელთა გადანაცვლებანი, ე. ი. პერიოდული გამყინვარება და დათბობა შეიძლება უკავშირდებოდეს გალაქტიკაში დედამიწის მოგზაურობას), მათემატიკა (მაგალითი: აინშტაინის ფარდობითობის თეორია, რომელიც სამყაროს მოდელთა შესწავლის საფუძველია, ერთნაირად მოიცავს გეომეტრიასაც, ასტრონომიასაც და ფიზიკასაც) და სხვ. მკითხველმა თანდათან ჰუმანიტარულ პროფესიებზე გადაინაცვლა. ყველაზე ხანგრძლივად ისტორიაზე გავჩერდით. პირველყოფილ ხალხთა შეხედულებები რომ ციური სამყაროს ზეგავლენით ჩამოყალიბდა და შემდეგში ეს რელიგიაშიც აირეკლა, ამაში შევთანხმდით. „ოღონდ კონკრეტულად ისტორიკოსებს ასტრონომია რაში დაეხმარებაო“, — მკითხა. ამაზე ვუპასუხე, ისტორიულ მოვლენათა დათარიღებაში-მეთქი. წინათ ხომ ერთნაირი კალენდარი არ არსებობდა, ამიტომ მოვლენებს ამა თუ იმ მეფის სახელთან აკავშირებდნენ. მოდი და გაიგე, როდის მეფობდა ის მეფე! მაგრამ საკმარისია მატიანეში შეგხვდეს ცნობა — ამა თუ იმ ბრძოლის დროს შუადღისას მზე დაბნელდაო, რომ ჩვენ უკვე გასაღები ჩავიგდოთ ხელში: ასტრონომებს ხომ შეუძლიათ გამოითვალონ მომავალი დაბნელებანი. ხოლო თუ რომელიმე გამოთვლა მცდარი აღმოჩნდებოდა, ე. ი. დანიშნულ დროს მზე არ დაბნელდებოდა, ან, პირიქით, მოულოდნელად დაბნელდებოდა, ასტრონომს სასჯელი ელოდა. ძველ ჩინეთში იმპერატორს თავის კარზე ყოველთვის ჰყავდა ასტრონომები, რომელთა ძირითადი მოვალეობა იყო ცის თვალთვალი, მზისა და მთვარის მოძრაობათა შესწავლა და მათი დაბნელებების წინასწარმეტყველება. მოუსმინეთ, რა ამბავს აგვიწერს ჩინური მატიანე.

„ასტრონომებმა ხიმ და ხომ დაივიწყეს ყოველგვარი წესიერება, მიეცნენ უზომო ლოთობას, მიატოვეს მოვალეობა და თავის მაღალ წოდებაზე დაბლა აღმოჩნდნენ. მათ პირველად დაარღვიეს ცის მნათობთა წლიური გამოთვლები და შემოდგომის ბოლო თვეს, თვის პირველ დღეს მზე და მთვარე, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, შეხვდნენ (თანავარსკვლავედ) „ფანგში“. უსინათლოებს ეს ამბავი დოლმა აუწყა; ფრთხილი ადამიანები შეცბუნდნენ; უბრალო ხალხი გარბოდა. ხის და ხოს, რომელთაც თავიანთი თანამდებობა ეკავათ, არაფერი გაუგიათ და არაფერი იცოდნენ!“.

დიახ, მზე დაბნელებულა და თანაც ისე, რომ წინასწარ არ ელოდნენ. და ეს საშინელ შეურაცხყოფად აღიქვეს. ასტრონომებს, ხის და ხოს, ძვირად დაუჯდათ ლოთობა — ისინი სიკვდილით დასაჯეს.

მართლა მოხდა ეს ამბავი? ავსტრიელმა ასტრონომმა თეოდორ ოპოლცერმა (1841-1886) 8000 მზის დაბნელებისა და 5200 მთვარის დაბნელების ელემენტები გამოთვალა ძვ. წ. 1207 წლიდან ახ. წ. 2163 წლამდე შუალედში. მან ისიც დაადგინა, რომ ძველი ჩინეთის ხიას დინასტიის მეფეების სატახტო ქალაქ ივანიიში მზის სრული დაბნელება ძვ. წ. 2137 წლის 22 ოქტომბერს მომხდარა. დაბნელება დაიწყო მზის ამოსვლიდან 19 წუთის შემდეგ, მაქსიმალურ ფაზას მან მიაღწია 7 საათზე, და ამ დროს მზის დისკოს 85 პროცენტი იყო დაფარული. აი, რა ფანტასტიკური სიზუსტით შეიძლება თურმე წარსულის ამბების აღდგენა!

მკითხველი დავარწმუნე. კიდევ ბევრი ვისაუბრეთ. შემდეგ ფიქრებმა წამიღეს.

# ფიქრები, რომლებიც მკითხველთან საუბარმა აღმიძრა

დავა შეწყდა, გონებაში კი დამატებითი არგუმენტების ძებნას ვაგრძელებდი. ისტორიას ასტრონომია რაში სჭირდებაო! საოცარია! ბოლოს და ბოლოს, ნუთუ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რაც თვითონ გვინახავს? ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობებში არც ერთი ჩვენთაგანი არ ყოფილა, მაგრამ მხილველებმა აგვიწერეს ისინი და ჩვენი ისტორიის ნაწილად აქციეს. დედამიწიდან გაგზავნილმა რაკეტებმა მარსის დეტალური ფოტოსურათები გადაიღეს და ჩამოგვიტანეს. ამ სურათებზე 10 სმ-იანი ქვებიც კი ჩანს. მარსზე ამჟამად ცივილიზაცია, როგორც ირკვევა, არ არსებობს, მაგრამ თუ იგი გაჩნდება და ოდესმე დაინტერესდება თავისი პლანეტის წარსულით, დედამიწის ცივილიზაციის წარმომადგენლებს (ე. ი. ჩვენს შთამომავლებს) შეეძლებათ სიამაყით წარუდგინონ მარსელებს ეს ფოტოსურათები. მიხვდით, რის თქმა მინდა? დედამიწის სხვადასხვა უბნების, მაგალითად, ქალაქების დაწვრილებითი ფოტოსურათები შესაძლოა შორეულ წარსულში უკვე გადაიღეს შემთხვევით თუ სპეციალურად ჩაქროლილმა სხვა ცივილიზაციათა რაკეტებმა. შესაძლოა, ეს ფოტოები ფაქიზად ინახება შორეულ ვარსკვლავთა ცივილიზაციების მუზეუმებსა და არქივებში, და მათ ოდესმე ჩვენი დედამიწის მკვიდრებს გვაჩვენებენ! ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ კოსმოსიდან მოფრენილ „დელეგაციებს“ შეიძლებოდა კინოფირზედაც აღებეჭდათ ჩვენი ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთები. ხომ საუცხოო პერსპექტივაა, მოვაწყოთ კოსმოსური ექსპედიცია, ვთქვათ, ვეშაპის ვარსკვლავზე, რომლის მესამე პლანეტის მცხოვრებნი თურმე შორეულ წარსულშივე დაინტერესებულან ჩვენი პლანეტით და, შესაძლოა, ზონდიც კი გამოგზავნეს აქ (არის ასეთი ჰიპოთეზაც!)? რაოდენ განვცვიფრდებოდით, ამ პლანეტაზე რომ დაგვახვედრონ, მაგალითად, თამარ მეფის ეპოქის ამსახველი დოკუმენტური ფილმები!

ზემონათქვამიც, ცხადია, ფანტასტიკაა. მაგრამ არცთუ მთლად უიმედო ფანტასტიკა. იგი არ ეწინააღმდეგება მეცნიერების კანონებს და ჩვენს ცოდნას კოსმოსის აგებულების შესახებ. ახლა კი ცოტა უფრო თამამი ფანტასტიკის ნიმუშს გაგეცნოთ.

ჩვენ ვიცით, რომ ინფორმაცია სინათლეს გადააქვს (მხედველობით ინფორმაციაზე მოგახსენებთ). სინათლეს კი გარკვეული სიჩქარე აქვს — სიცარიელეში 300 000 კილომეტრი წამში. წარმოვიდგინოთ, რომ საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონი თბილისის „დინამო“ საფეხბურთო მატჩს ატარებს, ვთქვათ, მოსკოვის „სპარტაკთან“ თბილისში, „დინამოს“ სტადიონზე. დავუშვათ, რომ ამ მატჩს ტელევიზიით თვალს ადევნებენ ქართველი კოსმონავტებიც, რომლებიც მზის სისტემის სხვადასხვა პლანეტებზე ან სხვა ვარსკვლავთა სისტემებშიც კი იმყოფებიან.

ჩვენს დედაქალაქში გაზაფხულის საღამოა. ყველამ ერთდროულად, 7 საათზე ჩართო ტელევიზორი და ელოდება მატჩის დაწყებას. მსაჯმა სასტვენს ჩაჰბერა და ყიფიანმაც ბურთი პარტნიორს გადააწოდა.

როდის დაინახავს მაყურებელი ეკრანზე ფეხბურთელის ამ მოძრაობას? ე. ი. როდის დაიწყება მისთვის მატჩის რეპორტაჟი?

თბილისელი მაყურებელი, რომლის ბინა დაახლოებით 3 კილომეტრით არის დაშორებული სტადიონიდან, ფეხბურთელის დარტყმას შეამჩნევს წამის მეასეათასედით გვიან, ვიდრე იგი სინამდვილეში შესრულდა. რას წარმოადგენს წამის მეასეათასედი? ცხადია, იგი ძალზე მცირეა, მაგრამ უსაზღვროდ მცირე კი არა: უკანასკნელი კონსტრუქციის ზებგერითი თვითმფრინავი ამ დროში 1 სმ-ით გადაადგილდება. ქუთაისელი მაყურებელი დარტყმას დაინახავს წამის მეათასედით გვიან (ამ დროში იგივე თვითმფრინავი 1 მ-ს გაივლის), მოსკოველი გულშემატკივარი კი თითქმის წამის მეასედით უფრო გვიან (თვითმფრინავის 7-მეტრიანი გადანაცვლების პერიოდი). მთვარეზე მყოფი კოსმონავტი საშუალოდ 1,3 წამში მიიღებს გამოსახულებას, ხოლო მარსზე მყოფი (თუ მარსი ამ დროს პირისპირდგომაშია) — 4 წუთის შემდეგ. იგივე მარსი მაქსიმალურად შორს, ე. ი. მზის იქითა მხარეზე რომ იყოს ჩვენგან, გულშემატკივარს 21 წუთის ცდა მოუწევს, ვიდრე მისი ტელევიზორი ტრანსლაციას დაიწყებდეს (გამორიცხული არ არის, რომ ამ დროს ანგარიში უკვე 2:0 იყოს); იუპიტერის მახლობელ კოსმოსურ ხომალდში (იუპიტერს მყარი ზედაპირი არა აქვს და ხომალდი მასზე ვერ დაეშვება) ტელევიზორმა შეიძლება თითქმის 59 წუთის შემდეგ დაიწყოს მატჩის ჩვენება (ამ დროს თბილისში პირველი ტაიმი უკვე დამთავრებული იქნება), სატურნზე — 88 წუთის დაგვიანებით (მატჩი მთავრდება), ურანზე — თითქმის სამი საათის შემდეგ, პლუტონზე კი მხოლოდ ღამის პირველის ნახევარზე — მთელი 5,5 საათის დაგვიანებით.

პლუტონელი გულშემატკივრის მოუთმენლობა ჩვენთვის ადვილი წარმოსადგენია, მაგრამ იგი ვერ შეედრება იმ კოსმონავტის მოუთმენლობას, რომელიც ჩვენი მზის უახლოესი ვარსკვლავის გამოსაკვლევად მიფრინავს და ჯერ მხოლოდ გზის მეხუთედი აქვს გავლილი. როცა მისი ტელევიზორი მატჩის გადაცემას დაიწყებს, თბილისში მატჩი კი არა, ჩემპიონატიც დამთავრებული იქნება და ადგილებიც — განაწილებული. ეს კიდევ არაფერი: მისი კოლეგა, რომელიც უკვე გამოსაკვლევი ვარსკვლავის სისტემაშია, რეპორტაჟს 4 წლისა და 3 თვის დაგვიანებით მიიღებს! რა ფასი აქვს ასეთ რეპორტაჟს? თქვენ იტყვით, რომ ის კოსმონავტი ტელევიზორს გამორთავს, რადიოთი უკანასკნელ ცნობებს მოისმენს და პირდაპირ გაიგებს შედეგს (ყურება ჯობდა, მაგრამ ამდენ ლოდინად არ ღირს!). ეს „ბუნებრივი“ აზრია, მაგრამ... რადიოს უკანასკნელი ცნობებიც, ეჭვი არ შეგეპაროთ, იქამდე ზუსტად 4 წელიწადსა და 3 თვეში მიაღწევს.

საოცრად ლამაზი ვარსკვლავია ვეგა. ალბათ სიამოვნებით ესტუმრებოდით მას, მაგრამ თუ იქიდან აქაური ფეხბურთის მატჩის ყურებას მოინდომებთ, 27 წლის ლოდინი მოგიწევთ!

ორიონის ულამაზესი თანავარსკვლავედის ზედა მარცხენა კიდეში კაშკაშებს ვარსკვლავი ბეთელჰეიზე. ვთქვათ, გულშემატკივარი იქიდანაც უყურებს „დინამოს“ თამაშს. აი, თავდამსხმელი გაიჭრა მარცხნიდან, ჩააწოდა ცენტრში. გოლი? ყველაფერი თითქოს წესების ფარგლებშია, მაგრამ მსაჯი არ თვლის ბურთს. ბეთელჰეიზელი გულშემატკივრები ბობოქრობენ — ისინი სიამოვნებით გაუსწორდებოდნენ მსაჯს. მაგრამ შეგიძლიათ დამშვიდდეთ: მსაჯს არავითარი საშიშროება არ ელის, რამეთუ დედამიწაზე 650 წელი გავიდა მატჩის დამთავრების მომენტიდან...

აი, რა საოცრებები ახლავს სინათლის სიჩქარის სასრულობის ფაქტს... განვაგრძოთ: როცა ასტრონომები მზეს აკვირდებიან, მას 8 წუთის წინანდელ მდგომარეობაში

ხედავენ... პლუტონი რომ აფეთქდეს, ამას ჩვენ 5,5 საათის შემდეგ შევნიშნავთ, ვეგას ჩაქრობას — 27 წლის შემდეგ, ბეთელჰეიზესას კი — 650 წლის შემდეგ (ვინ იცის, ეგებ რომელიმე ხილულ ვარსკვლავთაგანი ჩამქრალიც არის, ჩვენ კი მას ისევ მოკაშკაშეს ვხედავთ). მაგრამ აქედან ხომ ისიც გამომდინარეობს, რომ ვეგელი ასტრონომებიც, თუ ისინი ახლა, როცა თქვენ ამ წერილს კითხულობთ, დედამიწას აკვირდებიან, მასზე 26 წლის წინანდელ, ე. ი. 1953 წლის მოვლენებს ხედავენ, ანტარესის „მცხოვრებნი“ — 190 წლის წინანდელს (1789 წელი, საფრანგეთის რევოლუციის პერიოდი), ხოლო ბეთელჰეიზეს „მცხოვრებნი“ — 750 წლის წინანდელს (მე-14 საუკუნე). თუკი მათ ძალიან ძლიერი ტელესკოპები ექნებათ, ხომ დაწვრილებით შეიტყობენ მაშინდელ ჩვენს ამბებს და, საჭიროების შემთხვევაში, კიდევაც გვაცნობებენ?

ამრიგად, ასტრონომია ისტორიის შესწავლის საუკეთესო საშუალება ყოფილა?.. ძველ პოპულარულ წიგნებში ეს იდეა ასე აღიწერებოდა: დედამიწიდან თითოეული მოვლენის (ბრძოლების, ქალაქთმშენებლობის) ამსახველი ცნობები სხივებს კოსმოსში ყოველ მხარეს მიაქვთ, საკმარისია ამ სხივებს გავუსწროთ და დედამიწის მხარეს მოვიხედოთ, რომ იგივე სხივები ისევ დაგვეწევიან და წარსულის სურათებში ჩაგვახედებენო. მაგრამ ეს განუხორციელებელია, რადგანაც, აინშტაინის მოძღვრების თანახმად, ვერავითარი სხეული სინათლეზე სწრაფად ვერ იმოძრავებს, ე. ი. სხივებს ვერ გავასწრებთ. იქნებ უმჯობესია სხვა ვარიანტი: გადასწრებას ნუკი ვეცდებით, არამედ გამოვიყენოთ შორს მყოფი ცივილიზაციები, სანამდეც დედამიწიდან წასული ის სხივები ჯერ არ მისულან. ვთხოვოთ მათ, არეკლონ და უკან დაგვიბრუნონ ეს სხივები ან „წაიკითხონ“ ისინი და „შინაარსი“ გვაცნობონ. მაგრამ ასე არ გამოვა: ჩვენი თხოვნა ხომ სიგნალებით უნდა გავგზავნოთ, ეს სიგნალები კი, ცხადია, იმ ცივილიზაციებამდე მაშინ მიაღწევენ, როცა „ძველი დროის“ სხივები უკვე ჩავლილი იქნებიან! სადღაა გამოსავალი? რჩება მხოლოდ ერთი საშუალება — ჩვენმა შორეულმა კოლეგებმა თვითონვე, ჩვენი თხოვნის გარეშე, უნდა მოიფიქრონ დედამიწიდან წასულ სხივთა „დაბრუნება“. ეგებ კიდეც მოიფიქრონ! მაშინ რა მოხდება? თუ ბეთელჰეიზეს „მცხოვრებლებზე“ ვილაპარაკებთ, მათთან დღეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 650 წლის წინანდელი, მე-14 საუკუნის სურათები მიაღწევს, და თუ ისინი „დააბრუნებენ“ ამ სურათებს, დედამიწა მათ 27-ე საუკუნეში მიიღებს! ჩვენ თვითონვე რომ მივიღოთ ინფორმაცია, ბეთელჰეიზეს მე-14 საუკუნეშივე უნდა დაებრუნებინა დედამიწიდან მიღებული გამოსხივება, მაგრამ მაშინ ხომ იგი მე-7 საუკუნის პერიოდს ასახავდა!



რამდენად რეალურია ეს შესაძლებლობა? თუ ისეთ ცივილიზაციებს ვიგულისხმებთ, რომლებიც დაახლოებით დედამიწის ცივილიზაციის დონეზეა, ცხადია, ზემოთქმული მხოლოდ თეორიად დარჩება — დედამიწიდან სიცოცხლის ფორმების აღმოჩენა ჩვენ ხომ არა თუ შორეული ვარსკვლავების თანმხლებ პლანეტებზე, ჩვენს „მეზობელ“ მარსზეც კი არ შეგვიძლია. მაგრამ ხომ შეიძლება არსებობდეს გაცილებით უფრო განვითარებული და მძლავრი ცივილიზაციები? ოღონდ რა სიხშირით არიან ისინი გაფანტულნი კოსმოსში?

ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე მომდევნო წერილში ვისაუბრებთ.

# ყურადღება! ყურადღება!

# ვაცხადებთ ნორჩ შემოქმედთა კონკურსს!














## „მე, ჩემი პიონერული რაზმი და ჩემი რაზმის ხელმძღვანელი"

კონკურსის მიზანია ფართოდ წარმოაჩინოს პიონერული კოლექტივების მჩქეფარე ცხოვრება, თითოეული პიონერის ადგილი კოლექტივში, ის ახალი და საინტერესო, რაც პიონერულმა ორგანიზაციამ შეიძინა საკავშირო მარშის ამ ეტაპზე, რომელიც რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლის იუბილეს ეძღვნება.

უკვე რამდენიმე წელია შენი და შენი მეგობრების გვერდით მუშაობს, თქვენი პიონერული ინტერესებით ცხოვრობს კომკავშირელი სტუდენტი, ჯარისკაცი, მუშა, კოლმეურნე, ახალგაზრდა მეცნიერი, თუ ხელოვნების მუშაკი. ის თქვენთან მოვიდა თქვენდამი სიყვარულითა და ინტერესით აღვსილი და მეტი ცხოველმყოფელობა შესძინა თქვენს პიონერულ საქმეებს. აბა გაიხსენე, რამდენი საინტერესო შეკრება, ლაშქრობა, კონკურსი, ბევრი სხვა ღონისძიება ჩაატარეთ მისი ხელმძღვანელობით. გაიხსენე, რითი, რა ადამიანური თვისებებით მიიპყრო მან პირველ რიგში თქვენი ყურადღება, რით დაიმსახურა ნამდვილი უფროსი მეგობრის სახელი. თუ უკვე უფროსი ასაკის პიონერი ხარ, გაიხსენე ყველაზე ღირსსახსოვარი ამბავი შენი პიონერული ცხოვრებიდან, თვალი გადაავლე შენს პიონერულ წლებს და გააანალიზე, რა მოგცა ამ წლებმა, როგორ მოგამზადა უფრო მაღალი მიზნის მისაღწევად — ლენინური კომკავშირის რიგებში შესასვლელად. გაიხსენე ისიც, თუ რა როლი შეასრულეს ამ საქმეში შენმა პიონერულმა რაზმმა და რაზმის ხელმძღვანელმა.

აი მოკლედ ის, რაზეც უნდა გვიამბო საკონკურსოდ გამოგზავნილ ნახატში, ლექსში, მოთხრობაში თუ წერილში. კონკურსში მონაწილეობენ აგრეთვე ნორჩი მხატვრები და ფოტომოყვარულები. საკონკურსოდ წარმოდგენილი ნახატის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 25×35 სმ-ს და არ უნდა იყოს 21×29 სმ-ზე ნაკლები. ფოტო სურათის ზომა კი სასურველია იყოს 13×18 სმ-დან — 18×[illegible] სმ-მდე.

საკონკურსოდ გამოგზავნილ მასალას კონვერტზე რედაქციის მისამართის გარდა ასე უნდა დააწეროთ: (საკონკურსოდ).

ზუსტად უნდა აღნიშნო შენი გვარი, სახელი და მამის სახელი, სკოლა, კლასი და საცხოვრებელი ადგილი.

საკონკურსოდ მასალების გამოგზავნის ვადა იწურება 1980 წლის 30 ივლისს.

რედაქცია შეარჩევს და დაბეჭდავს იმ მასალებს, რომლებიც დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. შემდეგში კი გამოქვეყნებული მასალებიდან კონკურსის ჟიური გამოარჩევს საუკეთესოებს და გამოავლენს გამარჯვებულებს. კონკურსი შეჯამდება 1980 წ. ოქტომბერში. გამარჯვებულები მიწვეულნი იქნებიან საქ. ალკკ ცენტრალურ კომიტეტში, დაჯილდოვდებიან საპატიო სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

**კონკურსის ჟიური**

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავთანდილ მეგრელიშვილი

## რთველი მოსულა

ჰარი-ჰარალი, ჰარალი,
ლალისფრად ბრწყინავს თალარი...
დავაკრიალოთ მარანი,
რთველი მოსულა ალალი.
აბა, გავრეცხოთ ქვევრები,
საწნახელი და კასრები...

უხმოდ შრომობენ ქალები,
ღიღინ-ღიღინით — კაცები...
ალება უნდა მოსავალს,
დაკრეფა უნდა ვენახებს.
ვაზო, მტევნებდაუთვლელო,
ყოველ წელს ასე გვენახე.

მამულო, ასე გვენახე,
ავსილი დოვლათითაო.
დახვავდი, პურო, სიმინდო,
რქაწითელო და თითაო!..
მარანო, ბეღლით იხარე,
ბეღელო — მარანითაო!

## შემოდგომა

სოფელი სართვლოდ ამზადებს:
მარანს, ბეღელს და ხულას...
ვისაც ნამდვილი მშრომელის
ნამუსის ქუდი ჰხურავს —
კრეფს დიდი გარჯით მოყვანილ

ყურძენს, ვაშლსა და ხურმას...
მოსავალს დააბინავებს,
კარს სიხარულით ხურავს.
მიელის სასიყვარულოდ
ღვთისგან დალოცვილ სტუმარს.

გარშემო შრომით დაღლილნი
ბაღი და ზვრები სდუმან.
ქარი კი ძარცვავს ფოთლისგან
ტყეებს, იმ მთას და ამ მთას...
და ყველა ერთად, უშიშრად
ველით ქათქათა ზამთარს.

ჯიმშერ გოჯიაშვილი

## სექტემბრის დილა

ახმაურდება სექტემბრის დილა,
ახმაურდება ბავშვობა ჩემი,
მოიპარება ზარის ხმა ტკბილად
ყველა ხმებიდან გამოსარჩევი.
მოიპარება ხმასხივიანი,
თითქოს ორაგულს ეძებს ანკესი,

მოიპარება, როგორც ნიავი,
როგორც წარსული უსპეტაკესი.
აუწონელი მოაქვს სიკეთე —
ხელხვავრიელი აფრქვევს
სინათლეს
გულში ჩიტივით ბუდიანდება —

მშვიდობა, ძმობა,
სითბო, სიმართლე.
ახმაურდება სექტემბრის დილა,
ახმაურდება ბავშვობა ჩემი,
მოიპარება ზარის ხმა ფრთხილად
ყველა ხმებიდან გამოსარჩევი.

## იორი

იორი სატევარივით
მთებს დაუნდობლად ორად სჭრის,
ალბათ იმიტომ ატყვია,
კალმახს ნასისხლი ფორაჯი.

ყიჟინით ყვარას აწყდება,
მოსდევს ლემადე ამტყდარი
და ლობე-ყორეს ედება
ხილიანადან არტნამდის...

დედის რძესავით იწოვა
გზა და გზა შემონაკადი.

სიონთან მახე დაუგეს,
ვინლა დაეძებს არჩევანს,
ლალი და დაუდეგარი
გულალმა დასცა მარჯვენამ.

## სურათი

ქარს მოჰქონდა შემოდგომა
შეთვალული ვაზის ფრთითა,
თითქოს უჭირს ფეხზე დგომა,
ყოვლი ისე გადაფითრდა,
რომ ცრემლებად ჩამომძივდა,
ფერებს აფენს შარა-შარა,
ამოითქვა სული ძლივს და
წასასვლელად აეჩქარა.

## ნაწისქვილარი

ლარდამტვრეული,
ფრთაგამშრალი,
კარმორღვეული,
ცალი ხვიმირი,
სარეკელა,
უქმი დოლაბი,
ბერი წნორები,
ფოთოლცვენით გადარეული,
მათ გულისტკივილს
ზურმუხტებით ამოვქოლავდი.
არც მეწისქვილე,
არც მოზარე
და არც მქებელი,
ყველამ მიიღო
თავთავისი მისაგებელი.
. . . . . . . . . . .
მხოლოდ ხანდახან
ჩამოჯდება წნორთან კუჟანა,
გაფრენილ დღეებს
წისქვილივით გადაუჟანგავს.





# წერილი

**ნინო ბეზარაშვილი**

მხატვარი დ. ზარაფიშვილი

მოთხრობა

— მაინც ეს რა დამჩემდა ამ ბოლო დროს? შემოღამდება თუ არა, თითქოს ლოდი დაადესო, იგრე დამიმძიმდება გული, — ჩურჩულებდა უძილობით გაწამებული მელანო. ხან პირქვე დაწვებოდა, ხან გულაღმა, მაგრამ არა და არ ეკარებოდა ძილი. და აბა, რა უნდა ექნა, — ფიქრობდა. საფიქრალი კი ბევრი ჰქონდა, ძალიან ბევრი.

ჯერ იმას ფიქრობდა, რად მომივიდაო ეგრეო, საღამოობით „სნება“ (ასე ეძახდა თვითონ) რად ჩამიწვება ხოლმე გულშიო, ეს სიბერის ბრალია თუ შიშისაო. რა ვიცი, ყმაწვილქალობაში არ მეშინოდა და ეხლა ამოდენა დედაკაცს რაღად უნდა მეშინოდესო. ეს ხომ ჩემი სახლია, ჩემმა ქმარმა ამ ოთახში მომიყვანა და ჩემი დღე აქ გამიტარებია, აბა რა უნდა იყოს საშიშიო! მიიხედ-მოიხედავდა მელანო, შეათვალიერებდა ოთახს. ბნელოდა, მაგრამ შეჩვეული თვალი მაინც კარგად ხედავდა ყველაფერს. ისევ ის კედლები, ის ჭერი და ფანჯრები, სხვა არაფერი.

„არც სიბერე და არც შიში, ეს სხვა რაღაც არის, — დაასკვნა ბოლოს მელანომ, — მაგრამ ეს „სხვა“ რაღა უნდა იყოს?“ — ეკითხებოდა თავის თავს და პასუხი ვერ გაეცა.

ამ საღამოს კი მიხვდა, რომ ყველაფერი მარტოობის ბრალი იყო.

„ამ ქარახინა სახლში მარტო რომ იქნება ადამიანი, რატომ უფრო მეტი არ უნდა მოუვიდეს. რად გვინდოდა ამოდენა სახლი, თუკი ჩემი არც შვილი იქნებოდა აქა და არც ძირი, — ფიქრობდა მელანო. — ჩემმა ცხონებულმა მამამთილმა ორი ოთახი ხომ შეგვახვედრა წილში, ორი რიღასთვის მოვადგით, ის არ გვეყოფოდა? მაგრამ ღმერთი არ ასვენებდა ჩემს ქმარს, ცუდად რა გააჩერებდა, უსათუოდ უნდა ეკეთებინა რამე. არც ჯანი დაზოგა და არც ფული. მართალია, კოჭები თავისი ხელით დათალა, ქვა და ქვიშაც თვითონ ამოზიდა ხევიდან, მაგრამ მაინც ძვირი დაგვიჯდა. რაც ვიშოვნეთ ჯეელობით, სულ ამ სახლში ჩავაყარეთ. მთლად გავიღარსლენით, ფეხთ არ გვეცვა და ტანთ არ გვემოსა.

გავიღარსლებოდით, ქა, მა რა იქნებოდა, იმ ცხონებულმა არაფერი არ დააკლო, როგორც ძველ სახლსა ჰქონდა, ახალსაც იგეთი ჩუქურთმები შემოავლო, დარაბებიც იგეთივე დაუყენა ფანჯრებს. ქვეყანას თვალი ზედა რჩებოდა. ახლა მარანს არ იკითხავთ? სულ დიდრონ-დიდრონი ქვევრები ჩაყარა, ჩემს შვილებსაც ჰქონდეთო.

აბა, აბა სად არიან იმისი შვილები? ი გოგო, ჰო, გათხოვდა, წავიდა, პატრონს ჩაბარდა, თავისი სახლ-კარი აქვს, მაშ აქ ხო არ დამიჯდებოდა, მაგრამ ბიჭები? ისინი სადღა მირბოდნენ? ნეტავ უკეთესი სახლი მაინც ჰქონდეთ, ჭერი თავზე ადევთ. ახლა ოთახები? ოროღობესავით წაგრძელებულა, არც ფანჯარა უგავს ფანჯარას და არც კარი კარსა, თვითონ კი ძალიან მოსწონთ. ბინები რომ მიიღეს, სიხარულით ცას ეწივნენ. მაშ დავიჯეროო, ეს სახლი არა სჯობია იმათ სახლსა? მარტო ჩვენი აივანი ღირს ერთ რამედ, იმოდენაა, ცხენი გაჭენდება! ეხლა აქ რო ცხოვრობდნენ და მეორე ოთახში ბალღებს ეძინოთ, რაღა მინდოდა,



ნ. ბეზარაშვილის მოთხრობამ „წერილი“ „პიონერის“ კონკურსზე მესამე პრემია დაიმსახურა.

ქა! არც ეს „სნება“ გამიჩნდებოდა და აღარც უძილობა შემაბეზრებდა. მაგრამ რა ვქნა, თუკი იმათ იქ ურჩევნიათ, იყვნენ. მე ჩემი წილი კალო მოვლეწე, რაღა დამრჩენია, გავუძლებ ამ მარტოობასაც, „სნებასაც“, ყველაფერს, ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ ისინი მყავდნენ კარგად“.

ადგებოდა მელანო, რაღაც დასაძინებელ წვეთებს დალევდა და ისევ დაწვებოდა. ცოტა ხნით ბურანში წავიდოდა, მერე ისევ გააჭყეტდა თვალს. ჭრ, ჭრ... — რაღაც ხმაური გამოაფხიზლებდა, დააყურებდა და მიხვდებოდა, რომ ეს კამოდიდან მოდიოდა.

„ერთი უყურე, ისევ დაიწყო ჭიამ. იმ დღეს პარაფინის სანთელი ხომ ჩავაღვენთე ნასვრეტებში, სულ პირამდე ამოვავსე, ეტყობა, სხვა გზა უპოვნია. მშვენიერი კამოდი იყო და ჭია კი გაუჩნდა, აფსუსი არ არის! საწყალი დედაჩემი, მაგის მეტი არა ებადა რა და ეგეც მე გამომატანა მზითევში, არა თქვან, უქონელიაო“.

თვალებს დახუჭავდა მელანო, ფიქრს შეწყვეტდა, იქნებ დამეძინოსო, მაგრამ რაღაც ხმაურზე გააჭყეტდა თვალს.

წკატ, წკატ, წკატ...

„ეს რაღა იცის, ქა? როგორც ცეცხლი ჩაქრება და ჰაერი გაცივდება სახლში, წკატაწკუტი აუტყდება ხოლმე ჭერსა და იატაკს. რატო წინათ არ იცოდა ეგრე, მივწვებოდი და მიმეძინებოდა. იმ კაცს მაინც ეცოცხლა, ხმის გამცემი მეყოლებოდა. სამი წელიწადი გახდა, რაც დაიღუპა, სამოცდაოთხისა იყო, ეხლა სამოცდაშვიდისა იქნებოდა. სამოცდაოთხი რა არის, ქა, მეტი ვერ უნდა იცოცხლოს ადამიანმა?! ადრე წავიდა, ადრე“.

რაკი ქმარი მოაგონდებოდა მელანოს, ფიქრს ველარაფერი შეაწყვეტინებდა. ეხლაც იწვა და ფიქრობდა,

უფრო სწორად, ფიქრში ელაპარაკებოდა თავის ქმარს.

„რა იყო, კაცო, რა გეჩქარებოდა, ცოტა ხანს გეცქირა შენი შვილებისათვის, გაგეხარა. ამ ზაფხულს მინდორში ინდაურის მოსაძებნად წავედი, იქაურობა სულ მწვანედ ბიბინებდა. მომაგონდა, იქ რომ თიბავდი ხოლმე ბალახს. ნეტავ იმ დროსა, ხანდახან მეც გშველოდი ბალახის შეკუჩებაში.

მივიხედ-მოვიხედე და ყველაფერი ისევ იქ იყო, კაცო, ხეები, ბუჩქები, შენ რო ფეხით ქვებს მოაგორებდი ხოლმე ბილიკისაკენ, ბალახებში არა ჩანს და ცელს პირს გაუმრუდებსო, ისინიც კი ისევ იქ ეყარა. ქოჩორჩამოფართხული ბარდიც იქვეა, ერთხელ წვიმაში რო შევეფარენით; მთაზე წამომდგარი ეკლესიაც ხო არის და არის. გახსოვს, რო ჩხუბობდი, რა სამრეკლო ჰქონდა, ნეტავ ვის რას უშლიდა, რად მოანგრიესო, ეხლა ისევ ადგამენ, კაცო, ქალაქიდან ხელოსნები ჩამოიყვანეს და ისინი ადგამენ. კარიც შეაბეს მუხისა, ჩუქურთმიანი. მე აღარ მახსოვს, მაგრამ უფრო ხნიერმა ხალხმა კი თქვა, წინათაც ეგეთი კარი ჰქონდაო.

ყველაფერი, ყველაფერი ისევ არის, კაცო, შენ კი ვერსად ველარ დაგინახე. შემებრალე, გული ამომიჯდა და ტირილი დავიწყე. ალბათ ძალიან ხმამაღლა მოვთქვამდი, იქაურობა გაყუჩდა, გაირინდა: ხეები, ბუჩქები, ჩიტები რო ჩიტები არიან, იმათაც კი შეწყვიტეს ჭიკჭიკი, თითქოს ყურს მიგდებდნენ. ვინ იცის, იქნებ იმათაც აქვთ გრძნობა და ცოდო-ბრალი იციან, მა რად მისმენდნენ იგრე გასუსულები?

ვიტირე, გული მოვიოხე და წამოვედი, აღარც ინდაური მინდოდა, აღარც არაფერი. ვინ დასთვლის, რაც მე შენზე მიტირია და მიქულუხია, მაგრამ ყველაფერი ტყუილი ყოფილა, რას გიშველი, სადღა გიპოვნი. ბუხრის თავზე შენი სურათი დევს, კარს შევაღებ თუ არა, მაშინვე იმას შევაფეთებ თვალებს, ეს არის და ეს....

შარშან გოგო და ბიჭი ჩამომგვარეს ქალაქიდან, ბებია ენაცვალოთ, კარგები არიან. ბიჭი ალი-კვალი შენა ხარ, — დინჯია, ჩუმი. გოგოს პირი კი არ დგება, რასაც თვალს მოჰკრავს და ხელს მოავლებს, ყველაფერზე რაღაცას გეტყვის, ხან თავის სკოლის ამბებს მიამბობს. საქმეც ძალიან უყვარს, რა არ გამოდის იმის ხელიდან. შენს სურათს იგეთი ჩარჩო გაუკეთა, მართლაც ერთ რამედა ღირს. ჩარჩოების მეტი რა არის, მაღაზიებში ნაირნაირები აწყვია მრგვალები, ოთხკუთხედები, სულ ბდღვიალი გაუდით. ღვთის მადლით, ფულიცა მაქვს, არ გახსოვს, კოლმეურნეობამ პენსია რო მომცა: ეხლა კიდევ მომიმატეს, ხანდახან ბიჭებიც მიგზავნიან, მაგრამ სხვა ჩარჩოს მაინც არა ვყიდულობ, ესა სჯობია, კაცო, შენი შვილიშვილის ხელით გაკეთებული!

ეხლა როგორ გააკეთა, ისიც უნდა იცოდე. ჩვენებიანთ ელენე ხო გახსოვს? ჰოდა, ზაფხულში იმის დაბლითა სახლში ჩვენი სოფლის ქალებმა აბრეშუმის ჭია მოიყვანეს. მასწავლებლები, ექიმები, კოლმეურნეობის წევრები, ნასწავლი და უსწავლელი, ყველანი ერთად მუშაობდნენ. ზოგს მოჰქონდა ფურცელი, ზოგიც არჩევდა და ჭიას უყრიდა. სკოლის ბალღებს შინ რა გააძლებინებდათ, ისინიც დიდებთან ფუსფუსებდნენ. სულ წითელყელსახვევიანი ყმაწვილებით იყო ელენეს სახლი სავსე. რო იცოდე, კაცო, ი თითისტოლა ბალღები რა საქმეს აკეთებდნენ, თვალერთწამს არჩევდნენ იმოდენა ფურცელს. მოიტანდნენ ქალები ფურცლის ვეება კონებს, დაჰყრიდნენ, ეზოს აავსებდნენ, მაგრამ მოიხედავდი და ერთი ფოთოლიც აღარ იყო. მერე რა ლამაზები იყვნენ, ლოყები სულ წითლად უღუოდათ, თავიანთი ყელსახვევებისფრად.

ჩვენი გოგოც იმათთან იყო, შველოდათ. რას არ აკეთებდა: ფერცლის დაყრა გინდა, კოლოლების შედგმა თუ სხვა რამე. პარკის დარჩევაში ხომ შველოდა და შველოდა. დიდძალი პარკი ჩააბარეს დამზადებას, გაზეთში ჩვენი გოგოც ჩაწერეს. ჰოდა, ერთხელ ფურცელს რო არჩევდა, თუთის ტოტებიდან სწორი, სუფთა ჯოხები გამოჭრა, ბოლოები ერთმანეთზე დაამაგრა წვრილი ოქროსფერი მავთულით. განა გამოაჩინა მავთულები, იგეთი ჭდეები გაუკეთა, რო შიგ ჩამალა. უჩხიკინა, უჩხიკინა და მშვენიერი ოთკუთხედი ჩარჩო არ გამოუვიდა! შენი სურათი ჩასვა და ბუხრის თავზე დადო. წელანაც ხო გითხარი, კაცო, მჯობთა მჯობი არ დაილევა, უკეთეს ჩარჩოებზე მეტი რა არის, მაგრამ მე ეს მირჩევნია. გოგომ იწვალა! მერე როგორ გაუხარდა, კარგად რო მოერგო სურათი!..

ნეტავ მომავალ ზაფხულსაც ჩამომგვარონ ბიჭი და გოგო. როცა ისინი აქ არიან, ღამე არც იატაკის წკატაწკუტი ისმის და არც კამოდში შემძვრალი ჭიის ჭრიალი. კაცმა სიმართლე უნდა თქვას, მეხვეწებიან ბიჭები: ჩამოდი, ზამთარში მაინც იყავი ჩვენთან, მანდ რა უნდა აკეთოო, მაგრამ ამ დღეებში ქათამსა და ინდაურს რა ვუყო, კაცო. ეხლა კიდევ კრუხები დავსვი, იანვრისათვის გამოიჩეკებიან. გაზრდა არ უნდათ? ვის დავუტოვო? არ გავაჩეკინო და ზაფხულში თუ ჩამოვლენ, იმათ ვუყურო ხელებში, რას ჩამოიტანენ? მეც ხომ მინდა ვასიამოვნო რამე ჩემიანებს. აბა იქ რო დავჯდე, ვინ რას გამიკეთებს... ამის გარდა, კაცო, სხვაც ხომ მყავს მიმსვლელ-მომსვლელი.

იმ დღეს გაღმიდან შენი ყონაღი გადმოვიდა, არაყი უნდოდა. გავატანე ორი კვარტი. აქაც დავალევინე, საჭმელი მივუტანე, შენ როგორც იცოდი ხოლმე, ისე. არაყი ჩემთვისაც შევინახე ერთი ხუთი კვარტი. გაზაფხულზე ვენახს რო მოვახნევინებ, დამჭირდება. წლეულს კარგად დამიდგა არაყი. ორ ვედრომდე იქნებოდა, წინწანაქარი კიდევ სხვა იყო. აქვე ხევში ჩადგეს სახდელი. თვითონ მოვიდნენ კაცები, ამოიღეს ქვევრიდან ჭაჭა და წაიღეს, მე არ მიწვალია.

მართლა, კაცო, რაზე დამავიწყდებოდა! ყიტაანიდან შენი ძმაკაცი ოსი გიორგაც მოვიდა. იმას კიდევ ღვინო უნდოდა, ერთ ოც ვედროს წავიღებო, ეხლავე მოგცემ ფულსაო. მაგრამ ფული არ გამოვართვი. კარგი ძროხა მიშოვე, შენი სხვა არა მინდა რა მეთქი. შემპირდა: ერთი საფურე მყავს, რაკი ეგრე გულით გინდა, გაზაფხულზე მოიგებს და თავის ხბოიანად გადმოგიყვანო. უნდა ვიყოლიო, ერთი ძროხა რა არის, კაცო, იმას ვერ მოვუვლი? მენახირეს ჩავაბარებ, ორიოდე კვარტი არაყი და იმისი ჯანი, მეტს კი არ მოითხოვს. ხანდახან ხარჯსაც გავატან, დილით მე გავუყვან, საღამოს კი, საურმე გზაზე რო ჩამოატარებს საქონელს, ძროხა თვითონ მოვა სახლში. ჩვენ რო ჭრელი ძროხა გვყავდა, იმანაც ეგრე არ იცოდა? ეს — ზაფხულში; ზამთარში კიდევ ბოსელში მეყოლება. ბალახს ცოტას მაინც ვიშოვი. ჩემი მაზლიშვილები მომითიბავენ ბაღში ხეების ქვეშ. სიმინდის ფუჩეჩსაც შევინახავ, ლობიოს ხმელ ჩენჩოსაც, ზოგი ის, ზოგი ეს და იოლად წავალ, რა ვქნა, კაცო, ბალღები რო ჩამოვლენ, მინდა ნამდვილი რძე დავალევინო. ყველი და კარაქიც ხო ისეთი იქნება, რომ იმისი გემო აღარ დაავიწყდებათ. რა იცი, კაცო, ეგრე ყველაფერი გემრიელი რო ექნებათ, ეგება იმით მაინც შეუყვარდეთ აქაურობა“.

მელანომ იგრძნო, რომ დაიღალა. ფიქრი აღარ შეეძლო. ფანჯარას გახედა; ცას ნაცრისფერი დასდებოდა. დღის მოახლოება რომ იგრძნო, დამშვიდდა, აღარც „სნება“ აწუხებდა, აღარც არაფერი. გადაბრუნდა მეორე მხარეს, დახუჭა თვალები და დაიძინა.

გარეთ კი თანდათან ნათდებოდა. მოწმენდილ ცაზე დეკემბრის მზე ამოდიოდა.

კარგად იყო მოდღევებული, ხმაური რომ ჩაესმა მელანოს. თვალები გააჭყიტა, საწოლში წამოჯდა

— მელანო ბებია, მელანო ბებია, — იძახდა მეზობლის გოგო — პატარა მარინე.

მელანო ადგა, კაბა გადაიცვა. კარი გააღო თუ არა, მარინემაც მოირბინა. ხელში კონვერტი ეჭირა და რაც შეეძლო მაღლა სწევდა.

— მელანო ბებია, რაღა ეხლა გამოსჭიმე დილის ძილი, როცა წერილი მოგივიდა!..

— წერილი? აბა მოიტა, შვილო, ვინ მიგზავნის?..

— ვინ გიგზავნის და შენი შვილიშვილი ნუშო.

— ბებია ენაცვალოს, ნეტა რას იწერება?! — მელანომ წერილი გამოართვა გოგონას, ღიმილით დახედა, მერე ისევ მარინეს გადასცა და უთხრა:

— მოდი შენ წამიკითხე, შვილო.

მოხუცი და გოგონა აივნის კუთხეში მყუდროს მიუფიცხდნენ.

გოგონამ კითხვა დაიწყო.

„ჩემო საყვარელო ბები, როგორა ხარ? ჩვენ კარგადა ვართ. ყველამ მოგიკითხა: გიამ, დედამ და მამამ. მარო მამიდა იყო ჩვენთან და გვითხრა: ცოტა შეუძლოდ ყოფილხარ. წნევის წამალი გამოვატანეთ, და შენ რომ იტყვი ხოლმე, „სნება“ მაქვსო, იმისიც. ჯერ ეს დალიე, ბებო, მე და გია რომ ჩამოვალთ, კიდევ წამოგიღებთ. საღებავსაც გამოვაყოლებთ, პაპას სურათის ჩარჩოსთვის. თუმცა საღებავი კი არა, გასაპრიალებელია, თან ფერსაც უცვლის, ამუქებს. მაღაზიაში ნაყიდ ნაძვის ხესა და სათამაშოებს ხომ ჩამოვიტანთ და ჩამოვიტანთ, მანდ დავდგამთ, დიდ ოთახში, სადაც ბუხარია. მთელი არდადეგები შენთან ვიქნებით მე და გია. ჩვენ თვითონ ავზიდავთ აივანზე შეშას, შენ ხელსაც არ გახლებინებთ. ბუხარს ისე გავაგიზგიზებთ, სულ ღუღუნებდეს მანდაურობა!

კარგად იყავი, ჩემო ბები, არაფერზე არ იდარდო. მომიკითხე ჩვენი მეზობლები და მარინე პირზე კოცნით. ჩვენ მალე ჩამოვალთ, ახალი წლისათვის მანდ ვიქნებით.

შენი ნუშო“.

მარინე სიხარულისაგან ცქმუტავდა:

— მეც მომიკითხა, ბებო, მეც! — მერე წერილი დაკეცა, მოხუცს გადასცა და კიბე სირბილით ჩაიარა.

მელანო კი ისევ აივანზე იდგა და ჩურჩულებდა:

„ეს რა კარგი წერილი მომივიდა, ქა, მე და გია ჩამოვალთო, მთელი არდადეგები მანდ ვიქნებითო. ნეტა ვინ გადასწერათ პირჯვარი. სხვა დროს ბაკურიანში წაიყვანდნენ ხოლმე ბალღებსა, ეხლა კი აქ ჩამოდიან!“ მელანო იღიმებოდა, თან ცრემლები მოსდიოდა თვალებიდან. ეს სიხარულის ცრემლები იყო. სულ სხვანაირ გუნებაზე დადგა, ეჩვენებოდა, რომ დეკემბრის მზე საოცრად კაშკაშებდა და მის გარშემო ძალიან, ძალიან თბილოდა, გრძნობდა, ღამეც აღარ უნდა ყოფილიყო ისეთი მძიმე და სევდიანი. უბეში წარამარა შეიყოფდა ხოლმე ხელს, გამოიღებდა გამთბარ წერილს, დახედავდა, გულზე მიიდებდა და ისევ შეინახავდა.

წარმოიდგენდა, როგორი სიხარული მოელოდა იმათი ჩამოსვლით, როგორ აივსებოდა სახლი სითბოთი და ჟრიამულით. სიხარულისაგან თითქოს ახალგაზრდობა უბრუნდებოდა მელანოს, ხალისი ემატებოდა, მაგრამ უცბად გული ისევ დაეხურა, ქმარი მოაგონდა და შეშურდა თავის თავისთვის ამდენი სიხარული.

„ნეტავ შენც ცოცხალი იყო, კაცო, გაგეხარა. იქითა ოთახში ბუხარს დავანთებდით, აქეთ ღუმელს. მთელი უბნის ბალღებს სულ აქ მოვიყვანდით. მარტო არ უყვართ ყოფნა ჩვენ გოგოსა და ბიჭს. იცინებდი იმათ ცელქობაზე, მოილხენდი, მე ჩუმად მოგრთავდი ბამბებით, ნამდვილ თოვლის პაპას დაგამსგავსებდი. გადაგკიდებდი ათასნაირი ხილით სავსე ხურჯინს და, როგორც კი დადგებოდა ახალი წელიწადი, შეგგზავნიდი ნაძვის ხესთან მოგროვილ ბალღებთან. ჯერ სათითაოდ გოზინაყით „დააბერებდი“, მერე კი ხურჯინს იქვე წამოცლიდი, ნაძვის ხის ძირას. როგორ გაიხარებდნენ ბალღები“!

თუმცა ისინი ეხლაც გაიხარებენ და მეც ცოტა ხნით მაინც დამავიწყებენ ჩემ დარდსა და ნაღველს, მაგრამ შენა, კაცო, შენ?.. რა ვუყოთ, ეგრე ყოფილა თურმე. ბრალი იმისი, ვინც ამ ქვეყნიდან წავა, თორემ ცოცხალ ადამიანს რა უშავს, რაც გინდა იყოს, ღმერთი როდისმე მაინც არგუნებს თავის წილ სიხარულს.

ბრალი შენი, ბრალი შენი, თორემ...“






# ზნეობის ანბანი

## მიზანსწრაფულობა — დასახული მიზნისაკენ სწრაფვა

ყოველი ჩვენთაგანი, დიდი თუ პატარა. პირველი შეგნებულად, მეორე კი ხშირად გაუცნობიერებლად ისწრაფვის რაღაცის მისაღწევად. ჩვილს სათამაშოს აღება უნდა, მაგრამ ვერ წვდება და მაინც დაჟინებით ცდილობს ხელი მოჰკიდოს მას, წრიალებს, ექაჩება საბანს, რომელზეც ის დევს და, ბოლოს, რის ვაივაგლახით ხელთ იგდებს ამ სათამაშოს. მიზანი მიღწეულია.

საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს და იმუშაოს, თუ გარკვეულ მიზანს არ ხედავს, არ ისახავს გზებს მის მისაღწევად. უმიზნო, ფუჭი დროსტარების შედეგი უშინაარსოდ გატარებული სიცოცხლეა. დრო კი ისეთი რამ არის, რასაც ვერ დააბრუნებ. დასახული მიზნისკენ მიმავალ ადამიანს დროის განსაზღვრის სხვა პარამეტრები აქვს, მისთვის დრო შეუმჩნევლად, სწრაფად გადის.

მიზანი თავისი მნიშვნელობით შესაძლოა არ იყოს მასზე დახარჯული დროის ტოლფასოვანი. და ხშირად, მთელ სიცოცხლესაც წვრილმან, უმნიშვნელო რაიმეზე ხარჯავენ ისე, რომ ნამდვილად ღირებულსა და სერიოზულს ვერაფერს აღწევენ. ფორმალურად, ლოგიკურად კარტის თამაშიც კი მიზანსწრაფულია. ადამიანი ისწრაფვის მოიგოს, ძაბავს გონებას, ავლენს საზრიანობას, აწყობს თამაშის რაციონალურ სქემებს. მაგრამ განა მიღწეული მიზანი ღირს ძალების ამდენ დაძაბვად? ცხადია, არა.

ადამიანის ცხოვრებაში მიზანსწრაფვა პირველ სერიოზულ გამოცდას პროფესიის არჩევისას აბარებს. რა უნდა გამოხვიდე, რა საქმეს უნდა მოანდომო შენი სიცოცხლე?

...ქირურგიულ განყოფილებაში ნატაშა მას შემდეგ მივიდა, რაც სამედიცინო ინსტიტუტში კონკურსში ვერ გავიდა. ერთი ქულა დააკლდა. დედ-მამა ექიმები იყვნენ. მშობლების ნაამბობმა საექიმო ცხოვრების ავ-კარგზე, ოპერაციებზე, რომლებიც ადამიანებს მძიმე სატკივარისგან იხსნიდნენ, გააღვიძა მასში ექიმად გახდომის დაუძლეველი სურვილი. და ასეთი ჩავარდნა! შესახვევ კაბინეტში სანიტრად მუშაობა თავდაპირველად ეძნელა. თავბრუ ეხვეოდა ჩირქის, ეთერის და ათასგვარი მალამოების გულისამრევი სუნისაგან. მთელ ტანში ჟრუანტელი უვლიდა, როცა ექთანს ეხმარებოდა და ჭრილობის შეხვევისას ზედ მოუხვდებოდა ხელი. მაგრამ დრო გავიდა და ქალიშვილმა შიში დაძლია: მისი პატარა, მარჯვე ხელები ჯადოსნური სისწრაფით ხსნიდნენ ბანდს, და ასე განსაჯეთ, ტკივილსაც კი. ხოლო მისი ალერსიანი მზერა ავადმყოფებში გამოჯანმრთელების იმედს ბადებდა.

მძიმე შრომასა და მეცადინეობაში გავიდა მთელი წელიწადი. ნატაშა ბეჯითად ემზადებოდა ინსტიტუტში შესასვლელად. ისევ გამოცდა, და ისევ მარცხი. და ასე სამი წლის განმავლობაში, სკოლის დამთავრებიდან მხოლოდ მეოთხე წელს მოხვდა ნატაშა სამედიცინო ინსტიტუტში.

და აი, იგი უკვე დაუბრუნდა თავის განყოფილებას, დაბრუნდა ყურადღებიან, შრომისმოყვარე, არაჩვეულებრივად გულისხმიერ ექიმად. ღრმა მიზანსწრაფვა იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელმაც შეაძლებინა მას ეს გზა დაეძლია, შეიძლება ითქვას, ეს გმირობა ჩაედინა. განა არ შეიძლება ასე ვუწოდოთ იმ კოლოსალურ შრომას, რომელიც დასჭირდა მას დასახული მიზნის მისაღწევად?

მე დიდი ხანია ვიცნობ ნატაშას. ახლა ის უკვე გამოცდილი ექიმია. დილით სხვა ექიმებზე უფრო ადრე ავადმყოფებს მისი წყნარი, მშვიდი ხმა ესმით: „თავს როგორა გრძნობთ? როგორ გეძინათ? რა გაწუხებთ?“ „ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება“. ყოველთვის ლამაზად ,ზომიერად ჩაცმული, იგი ავადმყოფებს რწმენას, გამოჯანმრთელების იმედს უნერგავს, მაგრამ ამასთან თხოულობს მისი დანიშნულების შესრულებაში პუნქტუალურ სიზუსტეს. მან ჭეშმარიტად იპოვა თავისი მოწოდება.

მიზანსწრაფვა არის ყოველი შემოქმედებითი მუშაობის საფუძველი — იქნება ეს მეცნიერული ძიება, სწავლა, პედაგოგობა, ხელოვნების დარგში მოღვაწეობა, ჩვენი მოწინავე იდეების პროპაგანდა... ბრძოლა ადამიანის სიცოცხლისათვის თუ სხვა ათასი რამ.

მომღერალი ელენე ობრაზოვა ერთხელ ტელევიზიით გამოსვლისას ამბობდა: ბუნებას ჩემთვის ხმა და ნიჭი რომ არც მოემადლებინა, სულერთია რაიმე სხვა დარგში მაინც მივაღწევდი წარმატებასო. საქმე იმაშია, რომ წინააღმდეგობა მასში ბავშვობიდანვე ბადებდა შეუპოვრობას მიზნის მიღწევაში.

შეუპოვრობა და სიჯიუტე. ეს სხვადასხვა ცნებებია. თუ შეუპოვრობა მიზნის მიღწევის მეთოდია, სიჯიუტე უბრალოდ წინააღმდეგობის ბერკეტია, არც თუ იშვიათად იგი უგუნურია, საოცრად არარაციონალური, და რაც მთავარია, არავისთვის არ მოაქვს სიკეთე. და თუ მოწოდების მიხედვით ინსტიტუტში მოწყობისკენ სწრაფვა მიზანსწრაფვაა, მოწოდების გარეშე მოწყობა, მხოლოდ იმისათვის, რომ „ვიღაცას რაღაცა დაუმტკიცო“, ხშირად იმით მთავრდება, რომ ადამიანი ცუდად სწავლობს და სპეციალისტიც მისგან ვერაფერი შვილი დადგება.

ძალზე საშიშია ისეთი ადამიანი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ჭეშმარიტი მიზანსწრაფვა არ გააჩნია, ცდილობს, რადაც არ უნდა დაუჯდეს პირველი, გამორჩეული გახდეს. მას განდიდების სურვილი იპყრობს და ამას უმორჩილებს თავის ზნეობას, პრინციპებს. მაგალითად,

ასეთი ადამიანი სამსახურში კარიერისტი ხდება. (ყოველგვარი ხერხებით ცდილობს მოექცეს სამსახურებრივი კიბის უმაღლეს საფეხურზე), შინ კი ეგოისტია, თავმოთნე, ბრიყვულად ჯიუტი, ოღონდ თავისი გიტანოს, სხვა არავინ ედარდება.

ყველა ადამიანური თვისება განუწყვეტელ ურთიერთქმედებაში და ურთიერთკავშირშია. მაგალითად, მიზანსწრაფულობა აუცილებლად თხოულობს, შეგეძლოს წუთიერ სურვილებზე უარის თქმა, შეგეძლოს შენი „მინდა“ დაუმორჩილო „საჭირო“-ს. ძალზე კარგად უთქვამს ლევ ტოლსტოის: „ადამიანს, რომელიც წესად გაიხდის იმის კეთებას, რაც უნდა, დიდხანს არ გაჰყვება ამის კეთების სურვილი“.

განსაზღვრო შენი მიზანი და მას დაუმორჩილო მთელი სიცოცხლე, ჰპოვო მასში სიხარული — ეს ნიშნავს იმას, რომ იპოვო შენი ბედნიერება.

ა. ბალიცკი

ადამიანთან გამოთხოვება ყოველთვის სევდას იწვევს. განსაკუთრებით — თუ ეს ადამიანი სამუდამოდ მიდის...

ვინ არის ეს კაცი? ამ მწუხარების წუთებში ვის უძღვნეს თავიანთი სიყვარული ამ ჭაღაროსნებმა, შედარებით ახალგაზრდებმაც, ვინც ახლა არიან შემოქმედებითი გაფურჩქვნის ასაკში და ამ პატარებმაც, რომელთაც მკერდზე წითელი ყელსახვევები უფრიალებთ?

ჩვენი მასწავლებელი, კულტურის დამსახურებული მუშაკი პეტრე პეტრეს ძე სმოლინი.

მოგონებებს ოციან წლებში გადავყავარ. ჩვენი სკოლა მთლად ჩვეულებრივი არ იყო. აქ ისეთ ბავშვებს იღებდნენ, ვინც გატაცებული იყო ბუნების სიყვარულით და ისწრაფოდა ადამიანის სამსახურში ჩაეყენებინა იგი.

ეს სკოლა შექმნილი იყო სოკოლნიკებში, ნორჩი ნატურალისტების ბიოსადგურთან, რომელიც, თავის მხრივ, ოქტომბრის რევოლუციის სამი თვის თავზე დაარსდა. მისი ყოფილი მოსწავლეები დღეს ცნობილი მეცნიერები არიან.

— შენ, პეტრე პეტრეს ძევ, ჩვენ გადმოგვეცი არა მარტო ის, რაც იცოდი, არამედ შენი გატაცების უნარიც, — ეუბნება გამოსათხოვარ სიტყვაში თავის მასწავლებელს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ჰასან ქარიმის ძე ენიკეევი.

გატაცების უნარი. ვუკვირდები ამ სიტყვას და მახსენდება მწერალ ლეონოვის ნათქვამი მაქსიმ გორკიზე: „ის, ვინც ერთხელ მაინც მჯდარა მასთან და მეგობრულად უსაუბრია, მიდიოდა მისგან უფრო მდიდარი და უფრო ძლიერი, ვიდრე მანამდე იყო, რადგან თან მიჰქონდა გორკის გატაცების, შრომის, სიკეთისა და ცოდნის მისეული ჭკვიანი და გამჭვრეტი რწმენის ნაწილი...“

სწორედ ასეთი გატაცება, მიზანსწრაფვა განსაზღვრავდა სმოლინის მთელ მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

„დაე, იმღერონ ჩიტებმა“ — ასე ეწოდება დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მიეძღვნა პეტრე პეტრეს ძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აი იგი ტყეშია, აგერ მოსკოვის ახლო ნაკრძალის ვოლიერთან, სკოლის საცდელ ნაკვეთზე. მის ირგვლივ მუდამ ხალხი ტრიალებს. თვითონ ბუნებისადმი ღრმა სიყვარულით გამსჭვალული, სხვებსაც ასწავლის ბუნების გაგებას, ტყისა და მის ბინადართა მიმართ მზრუნველობას.

სმოლინმა 66 სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი დაწერა და როცა ჰკითხეს, რატომ დისერტაციას არ წერო, ასე უპასუხა: პირადად მე ეს არ მჭირდება. ჩემს ცოდნას მე ადამიანებს, პირველ რიგში ნორჩ ნატურალისტებს გადავცემო.

როგორც მედალს, ისე სიტყვა „გატაცებას“ აქვს ორი მხარე, თუ ჩვენი მასწავლებლის მაგალითი იგივეა, რაც მედლისთვის შუბლის მხარე, საპირისპირო მაგალითად გამოდგება კაცი, რომელიც შეპყრობილია საკუთარი კეთილდღეობის იდეით. სწორედ ასეთებისაგან იზრდებიან გამომძალველები, ადამიანები, რომლებიც თავიანთ პოპულარობას სხვათა ინტერესებს სწირავენ.

...და მე კვლავ ჩემს მასწავლებელზე ვფიქრობ. ომი რომ დაიწყო, პეტრე პეტრეს ძე სმოლინი დარვინის მუზეუმის დირექტორის მოადგილე იყო. ფრონტზე მოხალისედ წავიდა.

სადაზვერვო მანქანა, რომელშიც სმოლინი იყო, მოსკოვზე მოიერიშე ფაშისტების არმიის განლაგების რაიონში გერმანელ მეავტომატეებს გადაეყარა. ისე მოხდა, რომ შეტაკებისას სმოლინი თავის თანამებრძოლებს აცდა და მტრის ზურგში აღმოჩნდა. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი კაცის პირველი სურვილია, თავი დააღწიოს მარტოობას, მოძებნოს თავისიანები. მაგრამ პეტრე პეტრეს ძე არ ჩქარობდა. მას სწამდა, რომ მტრის გარემოცვას უსათუოდ დააღწევდა თავს. ახლა კი საჭირო იყო, შექმნილი მდგომარეობიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობა გამოეტანა. გერმანელები ერთი წუთით არ ტოვებდნენ გზას, მაგრამ მიუხედავად ამისა სმოლინმა შეძლო გერმანელთა რამდენიმე ნაწილის გადაადგილებისათვის ედევნებინა თვალყური.

თავისიანებისაკენ გაღწევას ის კიდევ ერთი მიზეზით არ ჩქარობდა: „იქნებ კიდევ ვინმე ჩამორჩა... იქნებ სწორედ ახალბედა მებრძოლი, ანდა დაჭრილი...“ არც შემცდარა. ფრონტის ხაზზე რომ გადმოვიდა, ოცი სხვა მებრძოლიც მოიყვანა. ადამიანზე ზრუნვით იყო შეპყრობილი ჩვენი მასწავლებელი, როცა ამ მებრძოლებს ეძებდა ტყეში და ჭაობნარში გამოჰყავდა ისინი.

ფრონტის სხვა უბანზე, ლენინგრადის მისადგომებთან ბრძოლაში დაიღუპა ოცეულის მეთაური. მაშინ მებრძოლების წინ მთელი ტანით აღიმართა სერჟანტი მინბაევი. „ოცეულს მე ვმეთაურობ, — გაისმა მისი ხმა — ოცეულო, მომყევი!“ წინ კი ხშირი მავთულხლართები იყო; მინბაევი ამ მავთულხლართებზე მკერდით გადაწვა, თავი მებრძოლებისკენ მოაბრუნა და ბრძანება გასცა: „ოცეულო, ჩემზე გადასვლით, სირბილით იარ!“

ამ ცოცხალი ხიდით 18 მებრძოლმა მავთულხლართი გადალახა და მტერი დაკავებული პოზიციიდან განდევნა. მინბაევი მხოლოდ ფეხში იყო დაჭრილი. მაგრამ მავთულხლართების ეკლებით დაჩხვლეტილი, სისხლისგან დაცლილი ბრძოლიდან ვერ გავიდა... საბჭოთა კავშირის გმირი მინბაევი შეპყრობილი იყო გამარჯვების დიადი რწმენით, მშვიდობის რწმენით, რომელსაც იგი მთელი კაცობრიობისათვის იცავდა.

რაც უფრო ღრმად ვეცნობით ჩვენი ხალხის ისტორიის მატიანეს, მით უფრო მეტს ვხედავთ ადამიანებს, რომლებისთვისაც მიზანსწრაფვა ხასიათის თვისებად, მათი სულის სიდიადის დასტურად ქცეულა.

ა. ბუდკევიჩი



# ბიჭი და წყალი

დავით ასკურავა

მოთხრობა

გარედან ბავშვის წკრიალა ხმა ისმოდა:

მზე დამანახვა, კაი მზე,
ნეტავი გამახარაო...

ლუკამ მუჭით ამოისრისა თვალები, ლოგინიდან გადმოხტა და გარეთ გავარდა.

სახლის წინ ნიკო იდგა, პირი აღმოსავლეთისაკენ მიებრუნებინა და შეწითლებულ ცის კიდეს ელექსებოდა:

ყვავილ-ბალახში გვაგორა,
პეპელა გვაჭერინაო....

ლუკას უცებ გადაუვიდა სიფიცხე. ვერცხლის წკრიალი ჩაესმა ძმის ხმაში. ლექსიც წყაროსავით მოწანწკარებდა, თამაშ-თამაშით, ხალისიანად. ნიკო თანდათან უმაღლებდა ხმას:

...მერე ქოლობას წაგვასხა,
ქოლ-მარწყვი გვაკრეფინაო.

— ბაჩო, ბიჭო! — ფრთხილად შეეხმიანა ლუკა.

გაოცებულმა ნიკომ თავი მოაბრუნა და დიდრონი, შუქიანი თვალები შეანათა ძმას.

—აკი ლექსებს არა ვთხზავო?

— მერედა ვინ გითხრა, რო ვშაირობდი? — მორცხვად თქვა ბაჩანამ. — ლამაზი დილაა, მომეწონა და...

— ჰოდა, ეგ არი განა! მოგეწონება რაიმე, სიტყვებიც თავისთავად გაჩნდებიან საიდანღაც და აეწყობა, ჩაექსოვება ერთი მეორესა, შაირიც ეგ არის. ისეც კარგი ხმა გაქვს შენა, საამო, ზარივითა რეკავს, წკრიალა.

— მიტომაც შემაწყვეტინე, განა?

— ჩუ, ბიჭო, ბალღები არ დაალვიძო-მეთქი. ხომ იცი, თედომ და სანდრომ თუ გაიღვიძეს, ტირილით აგვიკლებენ, ჩვენც წაგვიყვანეთ ტყეშიო. მერე ადექ და ატარე ზურგით, როგორც იმ წინეებზე, არ გახსოვს?

— მივდივართ მაშა? — იკითხა ნიკომ.

— მივდივართ. გახედე, ბეკური და ნათელა გამოსულან უკვე.

— ისინიც მოდიან?

— ისინიცა და სხვებიცა. ვიჩქაროთ!

— ასე ხემსგაუტეხავი წავიდეთ?

— რათა, შენ ხმიადი რამ გამოიტანე, მანამ მე ქვაბ-ტაგანს მოვნახავ და, ჰაიდა...

თავქვე ჩაუყვნენ ბილიკს, ზურგზე წამოკიდებული ქვაბ-ტაგანის რხევითა და ხმიადის ჭამით გართულნი. ფეხებს ნამიანი ბალახი ულოკავდათ, ყურთასმენას ნაკადულთა ხმა და ჩიტების ლაღი ჭიკჭიკი უტკბობდათ.

ჩაივაკეს თუ არა, ტოლ-მეგობრები შემოეხვივნენ. ითათბირეს, თუ რომელ მხარეს წასულიყვნენ. ლუკა გულდინჯად უსმენდა მეგობრებს. ვინ საით სთავაზობდა წასვლას, ვინ კიდევ საით. არჩევანი იმდენი იყო, რამდენიც ბავშვი. აბა, ამ დალოცვილ ფშავში ჟოლო-მარწყვისა და სოკოს ადგილები არ არის ასარჩევი?

— მე ბეკურის სიტყვას ვუჭერ მხარს! — თქვა შემდეგ, — ავიდეთ სარაყდრის გორაზე, თვალს წყალი დავალევინოთ, ფშავ-ხევსურეთის მთას და ბარს გადავხედოთ, მერე კიდევა, ვისაც მუხლი ერჩის და გულიც გაუწევს, ივლონთ გორზე ავიდეთ. აქაც და იქაც ისეთი ადგილები ვიცი...

ერთხმად აუყვლდნენ ბავშვები. სჯეროდათ, ლუკას კარგი ადგილები რომ ეგულებოდა. მუდამდღე ხევხევ და მთა-მთა დანავარდობს ეს მოუსვენარი ბიჭი, ჩამოვა თუ არა სასწავლებლიდან. ყველა ხე და ბუჩქი კი არა, ქვა რომ ქვა არის, ისიც კი იცის ჩარგლის შემოგარენში, რომელი სად დევს და რანაირად.

— ჰოდა, როცა მთაზე ავალთ და დავისვენებთ, იმ ამბავს უნდა მოგვიყვე, მოძალადე თათარი რომ გააბრიყვა ფშაველთა მზეთუნახავმა, — შეეხვეწა ნათელა.

— ეს მერამდენედ უნდა მოგვიყვეს, გოგო? — არჩევანი არ მოუწონა ბაიამ. — ლუკავ, თათრისა და მზეთუნახავისა კი არა, ის მოგვიყევ, აი, ერეკლე მეფისა, ან კიდევა სამასი არაგველისა, ჰა?

— დღეს ბაჩო მოგვიყვეს რამეს, განა მაგან ჩემზე ნაკლები იცის, თანაც ამ დილით, იცით...

ბაჩანამ ძმას საყვედურით გადახედა, უხმოდ შეეხვეწა, ნუ გამამხელო.

— კარგი, კარგი, — წყენას მიუხვდა ლუკა, — ავიდეთ სარაყდრის გორაზე და შემდეგ ვნახოთ.

ჩახუჭუჭებული ტყით, ტოტებით, ერთმანეთში გადახლართული ხეებით, ია-იებითა და მინდვრის ყვავილებით როგორ გააკვირვებ სოფელში, ისიც ფშავის სოფელში გაზრდილ ბავშვს, მაგრამ სარაყდრის გორა თავისი ლურჯი, ცისფერში გადამავალი და ზეცისკენ აზიდული ტყით და ჯადოსნური ფერებით მოფენილი მდელოთი მართლაც რომ დიდი თვალსასეირო და გულგასახარი სამზერია. ცაც რაღაცნაირია აქ, კამკამა ლურჯი, სიფრიფანა, გამჭვირვალე, განუზომლად შორი და უჩვეულოდ უახლო-

ესი. რაღაცნაირ სიმსუბუქეს, ზეამტაცსა და აღმამფრენ სიხალვათეს გრძნობს აქ სხეული, ვეღარც კი გრძნობ ფრთათა უქონლობას.

აქედან ხელისგულივით მოჩანს უმეტესი წილი ფშავ-ხევსურეთისა და განა მხლოდ მოჩანს? — აი, ვერცხლის დაკლაკნილი ქამანდივით გადმოტყორცნილი გიჟმაჟი არაგვი, ზათქითა და ზავთით რომ გამორბის კლდეთა ტყვეობიდან თავდაღწეული, და დაუოკებლობისა და დაუდგრომლობის ჟინს უცხოველებს მაცქერალს, შნოსა და ლაზათს ჰმატებს მისსავ ჰალებში გაბნეულ ტყესა თუ კორდს, ყანასა თუ სათიბს.

თითქოს ფენებად დაყოფილა სამზერი. ამ დიდ ველზე ჰაერიც მიდამოს ფერისაა და სურნელოვანი. ლაჟვარდოვანი, შუქ-მწვანე ლალშეფრქვეული ქარვა თუ მიმწუხრის ალისფერი ერთბაშად გათქვეფილან ერთმანეთში, თანაც იმგვარად, სიხასხასე და სილამაზე არ დაუთრგუნავს ერთს მეორისა.

„ნეტა სხვებიც თუ ასე ძალუმად ლამაზსა და ხატოვანს მიიჩნევენ ამ არემარეს?“ — გაიფიქრა ლუკამ და ბავშვებს გადახედა.

ერთბაშად მოეფონა გულზე. ბაჩანა, ბეკური, ჰრელა, კარახელა, ღეჯური — ყველანი მონუსხულივით შესცქეროდნენ ხეობას. ლელას და ნათელას ტყუპისცალი კრავებივით მიედოთ ერთმანეთისათვის თავები და თვალგაცისკროვნებულები, ოცნებამორეულნი გასცქეროდნენ ხასხასა ფერებით მოჩითულ მთაბარს, რომელიც ჯერ მუქდებოდა. შემდეგ ზემოთკენ ბინდდებოდა და სულ ბოლოს თეთრი სისპეტაკით მშვენდებოდა ზვიადად გადმომზირალი ცადატყორცნილი მყინვარების შუქით.

— როცა თელავში აქაურობა მომენატრება, ლამის არი დავკრა ფეხი და გამოვიქცე. დავხუჭავ თვალებს და აი, როგორც ახლა, ასევე ცხადლივ წარმოვიდგენ არაგვის ხეობას, ჩვენს ფშავ-ხევსურეთს. ფიციც კი დავდე, სწავლას რომ მოვრჩები, არასდროს არ მოვშორდე აქაურობას.

ბავშვები მწვანეზე ჩამოსხდნენ. ბეკურმა პირობა შეახსენა — ერეკლე მეფისა გვიამბეო.

— აქეთობისას იყოს, — თქვა ლუკამ. — ქვაბებს რომ დავავსებთ და დავბრუნდებით, ისევ აქ დავსხდებით.

— აკი ივლონთ გორზეც ავიდეთ, ხმელი წიფელიც ვნახოთო? — მოაგონა ნათელამ.

— რაღა თქმა უნდა, ავალთ, განა შორს არი. გახედე, როგორ თეთრი სვეტივით დგას, — ანაზდად შედგა ლუკა, ოცნების თვალით უფრო ახლოდან მოინახულა ხე, ნიაღვრის მიერ ძირგამორეცხილი, ეული ტოტის ამარა, ამაყი და უდრეკი, მიწის ზემოთ ამოჩენილი, დაღრაკნილი და სადღაც ქვესკნელში ჩაცურებული ფესვებით. — ბაჩო, მოდი ერთი, თქვი ისა... — ძმას მიუბრუნდა უცებ.

ბაჩანა წამოწითლდა, თვალები მოუწყლიანდა.

— რო არა ვიცი რა? — მტყუანივით თქვა და გაიბუსხა.

— მაშ კარგი! — ფიცხლავ წამოიძახა ლუკამ, — დავბრუნდებით და ერეკლე მეფის ამბებს მოგითხრობთ.

ბავშვები ქვაბების ხმაურით წამოიშალნენ, მომცრო ველი აირბინეს და ტყეს შეერივნენ ჟივილ-ხივილით.

— ბაჩო, მართლა არ გახსოვს ის ლექსი, ბიჭო? — ტყეში ძმა რომ დაიმარტოხელა, ჰკითხა ლუკამ.

— რომ მხსომებოდა, განა არ ვიტყოდი? — კითხვითვე მიუგო ძმამ.

— დავბრუნდებით თუ არა შინ, წერა უნდა გასწავლო. წერა რომ გეცოდინება, უცბად ჩაიწერ ლექსსა და აღარასდროს დაგავიწყდება.

— მართლა ეგრე მოგეწონა? — მორცხვად იკითხა ბაჩანამ

— მაშა, — თვალები გაუბრწყინდა ლუკას, — დავიხსომე კიდეცა ზოგი სიტყვა. აჰა:

მზე დამანახვა, კაი მზე,
ნეტავი გამახარაო!

თოვლი დააშრო, მთა-ბარი
საამოდ აამწვანაო... — წაეშველა ბაჩანა.

— ეგრე, ბიჭო ბაჩო, ეგრე. წერას რომ ისწავლი, ნახე, რა კარგი




ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოვა. განა, გავეჯიბრებით კიდეც ერთმანეთს.

— ნუ, ლუკავ, ხო იცი, ჯიბრი და ქიშპი არ მიყვარს, — იწყინა ბაჩანამ.

— კარგ საქმეში რათა, ბიჭო, კაფია, სიტყვებით ჯიბრია, მა რაღა არი? — გაუკვირდა ლუკას.

— ჰოდა, კარგი, — უცბად დაეთანხმა ძმა. — შენ მეტი იცი, როგორც აჯობებს, ისე მოვიქცეთ. ახლა მე ჩემი გზით, შენ შენითა, ვნახოთ, ვინ უფრო მალე აავსებს ქვაბსა.

ბაჩანა ხელმარჯვნივ გასხლტა ბუჩქებში და გაუჩინარდა. ლუკა ბუერის ბუჩქს დააცქერდა — ბუჩქს იქით, ხუთიოდ ნაბიჯზე მუხა იდგა მცირე, ხავსით შემოსილი — იქითკენ გაადევნა მზერა. მუხის ტოტებში წვრილი ჩიტები ფრთხიალებდნენ, ჩუმად ჟივჟივებდნენ. ფიქრმა გაიტაცა ბიჭი, ქვაბი გადმოაბრუნა, ჩამოჯდა და ახლა ასე დამჯდარი მისჩერებოდა მიდამოს. ქვაბის გახმაურებაზე ჩიტები დაფრთხნენ და ტყეში სიჩუმე ჩამოვარდა ერთბაშად. ახლა მზის სხივების თამაშს უყურებდა ლუკა. ფოთლებში ისე დასრიალებდნენ სხივები, თითქოს უამრავ სარკეს ახხლეტოდნენ სადღაც და მათი ათინათები გარბი-გამორბოდნენ ფოთლებსა და ბალახებზე.

„საოცარია ტყე, — ფიქრობდა ბიჭი, — თითქოს ჩამიჩუმიც არ ისმის და ათასი ხმით კი გუგუნებს ჩუმი, მარტო მისთვის გასაგები ხმაურით“. მის წინ გაშვერილ დეკის ფოთოლს უყურა ერთხანს, თითქოს საიდუმლო რამის თხრობას მოელოდა მისგან, მერე ფსიოტად ამართულ ბალახებს დააჩერდა, ნიავზე ნელა, შეუმჩნევლად ცეკვავდნენ ბალახის უმწიფარი თავთავები.

„არა, — გულისხმას შეეპასუხა ბიჭი, — ეს ბალახიც, აი ეს დეკაც, ფოთოლიცა და ეს მუხაც მეტყველებენ, ან კი რატომ არ უნდა ილაპარაკონ ვითომ, განა ისინიც ასევე არა ცოცხლობენ, როგორც ჩვენ. კაცნი: ვჩნდებით, ვიზრდებით, ვცხოვრობთ. ესენი განა ამავე წესსა და რიგს არ მისდევენ? ჯერ კვირტი გამოვა, მერე გაღივდება, გაიშლება. დარსა და უამინდობას, ქარსა და წვიმას ებრძვიან და ეჯახებიან, რათა მზის სხივებს დაეწაფონ, გათბნენ, მწვანით შეფერადდნენ, იშრიალონ. ჩვენ, კაცთ, არ ძალგვიძს მაგათი საიდუმლოების ახსნა...“

ბიჭი თავსატეხ ფიქრებს გაედევნა, მერე ხმელ წიფელსაც უწვდინა გუმანი. იმისი ფესვები წარმოიდგი-



ნა, სიცოცხლის წყურვილით ქვალორღიან მიწას შეჭიდებულნი.

ჩამომჯდარს ფეხი რომ დაუბუჟდა, მაშინ წამოდგა. ქვაბი ზურგზე წამოიკიდა და არც კი უფიქრია, ისე, გადასახედისაკენ გასწია, მაგრამ არა მდელოს მხრიდან, არამედ ტყის პირ-პირ. გადასახედთან იელის ბუჩქზე ჩაჯდა. აქეთ-იქით დაირწა ბუჩქი. წინ ის მუდამ სანატრელი და თვალგაუძლისად სამზერი ხეობა გადაეშალა და მიჰყვა ოცნებათა უსასრულო დინებას.

ჩქამი რამ უმნიშვნელო დაირხა უცბად. ოცნებაგამკრთალმა ლუკამ დინჯად მოაბრუნა თავი. ყური მიუგდო, მიმოიხედა, ვერა და ვერ შენიშნა მყუდროების დამრღვევი, და ერთბაშად კვლავ გაისმა წვრილი ფიჩხის მტვრევის ხმა. ბიჭმა იქით გაიხედა და ძლივს შეიკავა თავი, რომ არ წამოეყვირა სიხარულით — ათიოდე ნაბიჯზე დაინახა პატარა, მოწაბლისფერო-ნაცრისფერი აცქვეტილი ყურები, გრძელი წამწამებით შემორაგული, შავადმბზინავი თვალები და ბუსუსდაყრილი ლამაზი ნესტოები. ნუკრი!

არ შემკრთალა ტყის ბინადარი, ნებიერ მიუახლოვდა ბიჭს, მაგრამ არც ისე ახლო, ხელით მისწვდებოდა ბუჩქს გადამჯდარი ყმაწვილი. დადგა და უცქირა. არ განძრეულა ლუკა, არ შეტოკებულა. ნუკრი ყურებს დაცქვეტდა ხოლმე დრო და დრო, ალბათ მას ბიჭზე კარგად ესმოდა ტყის ჩურჩულისა. დაცქვეტდა თუ არა ყურებს, მიმოატარებდა თვალებს და ყელმოღერებული მიაჩერდებოდა ბიჭს. ზვერეს და ათვალიერეს ერთმანეთი, თითქოს ბჭობდნენ და ვერ გადაეწყვიტათ, ღირდა კი გაცნობა, დაახლოება, დამეგობრება, შეიძლება ნდობა და გულის საიდუმლოს გამხელა?

— მოდი, მოდი, პატარავ! — წაიჩურჩულა ლუკამ.

ნუკრი არ დამფრთხალა, ხმა თუ კეთილემცნო ბიჭისა, უკანა ფეხებზე ჩაიკეცა ოდნავ და ყურები წამოცქვიტა.

— ჰო, მოდი-მეთქი, ალბათ დედას დაეკარგე, არა?

პატარა ტყიურმა ამაყად მოიღერა ყელი, უფრო საზრიანი გაუხდა მზერა, თითქოს ჩაუკვირდა ბიჭის ნათქვამს, გაიორკეცა სიფხიზლე.

— ეგრე რო არ იყვეს, განა შენისთანა პაწიას მარტოკა დააგდებდა დედა?

ნუკრის ფხიზელ თვალს არ გამოპარვია ბიჭის ხელის მოძრაობა — წამოდგომას შეეცადა ლუკა — გასწორდა, გადაიღრიკა კისერი.

— იქნებ სულაც არა გყავს, ბეჩავო, დედა, ვინმე გულქვა მონადირემ მოგიკლა, ჰა?

ბიჭის ხმით თუ სანდომიანობით მოჯადოებულმა ნუკრმა ის იყო მეტისმეტად ფრთხილად, მაგრამ მაინც გადმოდგა ორიოდე ნაბიჯი, რომ მყუდროებაში ჩაძირული ტყის ნაპირს ჩხიკვი დაატყდა თავს.

ლუკამ ვერც კი დალანდა, რარიგ და საით გაუჩინარდა ნუკრი. ერთადერთი, რაც უკანასკნელად დაინახა, ნუკრის თვალები იყო, დიდრონი, შავი ელვიანი თვალები, რომლებიც სულ ბოლოჟამს ნაღვლიანი მოეჩვენა ბიჭს.

წამოდგა ლუკა, მოყვა ალმა-დალმა სირბილს, ათასი საალერსო სახელით ეძახდა პატარა ტყიურს, ტუქსავდა ჩხიკვს, მაგრამ არც ერთი და არც მეორე აღარ ჩანდა იმ არემარეზე.

ნაღველი ჩაეწვეთა ბიჭის სიხარულს, დაღლილ-დაქანცულს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა შუბლიდან, დაიკაწრა ტყე-ტყე სირბილში და, ისევ მდელოზე რომ გამობრუნდა და ქვაბი მოძებნა, მაშინღა გაახსენდა, მარცვალიც არაფრის შეეგროვებინა, ტყიდან კი ბავშვების შეძახილები ისმოდა.

მდელოზე გამოსულთ ნაღვლიანად თავჩაქინდრული დაუხვდათ ლუკა. გაიოცეს ბავშვებმა, გარს შემოეხ-

ვივნენ, ნაღველის მიზეზს ეკითხებოდნენ. ისიც გაუკვირდათ, ქვაბი ცარიელი რომ უნახეს.

— ავსულს ხო არ გადაჰყრიხარ, ლუკავ? — ღაწვის ხოკვით ჩაეძია ნათელა.

— ეგების მართლაც, ა? — ბანი დააწია ჭრელამ.

გაინაბნენ და გაყუჩდნენ ბალღები, რომ რაღაც არ მომხდარიყო, ლუკას ქვაბი ცარიელი როგორ დარჩებოდა.

— ბრიყვები ხართ თქვენა, ჭორიკანა დედაკაცებივით ყბედობას აყოლილი ბრიყვები. აბა, ავი სული რა სახსენებელია, — დინჯად თქვა ლუკამ. — ანგელოზი ვნახე მე, ფრთები არ ესხა მხოლოდ იმ კურთხეულს, ოთხ ფეხზე იდგა და უსპეტაკესი თვალებით შემომყურებდა.

ბავშვებმა განცვიფრებული თვალები მიაპყრეს ლუკას.

— სტყუი, ლუკავ, — ფიქრიანად თქვა ბაჩანამ. — ჩვენ რომ დავნაძლევდით, ვინ მეტს მოკრეფდა...

— დედას გეფიცები, არა, ბაჩო! — გულზე ხელი დაიკრა ლუკამ. — ყური დამიგდეთ. მე ხომ ამბავი რამ უნდა მომეთხრო თქვენთვის, ჰოდა, მოგიყვებით ახლა.

— ერეკლე მეფისას, არა? — შეახსენა ბეკურმა.

— არა, ოსმალოსა და ფშავი მზეთუნახავისა, ხომ? — თქვა ნათელამ.

— არც ერთსა და არც მეორეს. — ხელი აიქნია ლუკამ. — მისმინეთ.

და ბიჭი საოცარი გზნებით, წარმოუდგენელი სიცხოველით შეუდგა შვლის ნუკრის ნაამბობის თხრობას.

მიჰყვებოდნენ ბავშვები თხრობას, გულაფორიაქებულნი მოელოდნენ, რას უმზადებდა შველსა და მის შვილს მთხრობელი, თითოეულ სიტყვას იხსომებდნენ, შფოთავდნენ მომდევნოს მოლოდინში და თვალგაფაციცებულნი პირში მისჩერებოდნენ ლუკას.

...— დაკუნტრუშებდა დედა-შვილი ნამიან ბალახში, ჩრდილიან ტევრში, მწვანე ჯეჯილსა და იალაღზე, სტკბებოდნენ ბუნების მშვენიერებით და ერთმანეთის სიყვარულით, — ყვებოდა ლუკა. — უცებ, როგორც ცის ჭექამ, იგრიალა თოფმა, — ხმა შეუთრთოლდა პატარა მთხრობელს, — ექომ დაიარა მთები და კლდეები; ხის ფოთლებმა და მცენარეებმა კანკალი დაიწყეს, ბოლი განერთხა ნამიან ბალახზე. დედაშველმა ერთი კი ამოიკვნესა და წაიქცა...

— ვაიმე, დედა! — დაზაფრულმა წამოიძახა თამარმა და ნათელას მიეკრო. — ნუ, ლუკავ, ნუ, შენი ჭირიმე... — სლუკუნებდა ის.

ლუკამ მალვით შეიწმინდა ღაწვზე დაგორებული ცრემლი, სველი მუჭი გულისპირზე ჩამოისვა და ბავშვები შეათვალიერა, — გულაჩუყებულნი აღარ მალავდნენ ცრემლს.

ლუკამ დაბალი ხმით განაგრძო თხრობა.

მხატვარი გაიოზ ფოცხიშვილი

# მოარულ უზუსტობათა ლექსიკონი

ცდებიან ისინი, ვისაც ჰგონია, თითქოს ირანი სპარსეთის ახალი სახელწოდება იყოს. ირანის მკვიდრნი თავიანთ ქვეყანას ოდითგან ირანს უწოდებდნენ. უცხოელთა (ბერძნების) მიერ შერქმეული „სპარსეთი“ კი ერთ-ერთი პროვინციის სახელიდან არის წარმომდგარი. ირანელებს მობეზრდათ ეს და 1935 წელს ოფიციალურად ითხოვეს მათი ქვეყნისათვის ნამდვილი სახელი ეწოდებინათ.



ახლა ეგვიპტის დედოფალ კლეოპატრაზე. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის საწინააღ-



მდეგოდ, ამ სახელით ერთი კი არა, შვიდი ქალი დედოფლობდა. თუმცა, მხოლოდ მეშვიდემ, უკანასკნელმა დატოვა ისტორიაში კვალი. თანაც, კლეოპატრა არ ყოფილა ეგვიპტელი. პტოლომაიოსები, რომლებიც ეგვიპტეს 250 წლის მანძილზე მართავდნენ, მაკედონიელები იყვნენ. კლეოპატრაც მათი გვარისა იყო. ალექსანდრია კი უფრო ბერძნული ქალაქი იყო და ბერძნებისვე დაარსებული.




საყოველთაოდ გავრცელებულია აზრი, თითქოს ხიფათის მაუწყებელი სიგნალი „SOS“ ნიშნავს „იხსენით ჩვენი სულები“ ან „გადაარჩინეთ ჩვენი გემი“. ეს არ არის სწორი. სიგნალი SOS თავისთავად არაფერს ნიშნავს. იგი 1906 წელს რადიოტელეგრაფისტთა კონფერენციაზე იქნა რეკომენდებული და 1908 წლიდან დამკვიდრდა ხმარებაში. „SOS“ ხიფათის მაუწყებელ სიგნალად იმიტომ იქნა არჩეული, რომ დასამახსოვრებლადაც იოლია, გადასაცემადაც და გამოსაცნობადაც (სამი წერტილი, სამი ტირე, სამი წერტილი). ერთი სიტყვით, იგი არც შემოკლებაა და არც რაიმე სიტყვის პირველი ასოები, არამედ უბრალოდ საკოდო ნიშანია.

იულიუს კეისარზე ყველა წერს, თითქოს იგი კაპიტოლიუმში მოეკლათ. ეს არ არის სწორი: იულიუს კეისარი პომპეუსის ქანდაკებასთან, იმ დარბაზში მოკლეს, სადაც სხდომები იმართებოდა, ეს კი სულ სხვა ადგილია.



# რომელი არის ჩვენს შორის გმირი

### ალი ისაევ ავარსკი

მათამამებდნენ, მანებივრებდნენ,
ოცნება სად არ დამაქროლებდა...
პატარას თავი მომქონდა გმირად
ახლობლებთან და თანატოლებთან.
რომ არ ვიყავი ნამდვილი გმირი
და უშიშარი — მივხვდი მაშინლა,
ერთ უმთავრო და კუნაპეტ
ღამეს
თაგვის ხრიგინმა რომ შემაშინა.
უნდა გამოვტყდე, ისე მიჩხვლიტა
სულში ძრწოლის და შიშის ეკალმა,
რომ მთელი ღამე მაკანკალებდა
და თვალზე რული არ გამეკარა.
თაგვი გულდაგულ ღრღნიდა
რაღაცას,
ან კუნტრუშებდა, ან ხრიგინებდა.
დილით გამოვყავ სახლიდან თავი,
როცა მზე მოდგა სარკმლის
მინებთან.
ვხედავ, რას ვხედავ: ეშმაკ
თაგუნებს
გაუმართიათ დოღი, მარულა.
თვალი რომ მომკრეს, სოროს
მიაწყდნენ,
მაგრამ მაშინვე, ო, გალალულან,
ერთურთს უშლიდნენ ხვრელში
ჩაძვრომას,
მე ვიყოჩაღე,
წამოვხტი ზეზე
და დავიჭირე ერთი თაგუნა
კუდით —
მხდალი და მშიშარა ჩემზე.
ხელთ შემატოვა კუდი, გაიქცა,
მე კი ვიდექი უცვლელი ნირით.
ახლა, მკითხველო, თავად განსაჯეთ,
რომელი არის ჩვენს შორის გმირი.

თარგმნა ზაზუ მეზურიშვილმა

## აგვისტოს შემდეგ ისევ აგვისტო

ბუტანის სამეფოში მეფის კარის ასტროლოგები ყოველწლიურად ადგენენ მომავალი წლის ჰოროსკოპს — ვარსკვლავთა განლაგების ცხრილს. როცა გამოთვლების მიხედვით ამა თუ იმ თვეში ვარსკვლავთა არასასურველი განლაგებაა მოსალოდნელი, ასტროლოგები ამის შესახებ მეფეს აცნობებენ და მონარქი, რომელიც შეუზღუდავი ძალაუფლებით სარგებლობს, „ცუდ“ თვეს კალენდრიდან ამოაგდებს ხოლმე და მას სხვა, „უკეთესი“ თვით ცვლის. ასე რომ, შეიძლება წელიწადში ორი აგვისტო იყოს, სექტემბერი კი — სულაც არა.

„მავანი კაცი 28 აგვისტოს გარდაიცვალა. იგი 3 აგვისტოს დაკრძალეს“, — შესაძლოა ასე უთხრას ერთმა ბუტნელმა მეორეს, ამ უკანასკნელს სრულებითაც არ გაუკვირდება თითქოსდა უაზრო ნათქვამი.

## სირაქლემების მარულა

ამერიკაში სპორტის ერთ-ერთი პოპულარული სახეობაა სპეციალურად გაწვრთნილი სირაქლემების მარულა. ამ ფრთოსან „ცხენზე“ ამხედრება ძალზე ძნელია, რადგან მას ვერც უნაგირს დაადგამ და ვერც ალვირს ამოსდებ, თანაც ეს გოლი-



# ჭადრაკი

განყოფილებას
ხელმძღვანელობს
საქართველოს სსრ
დამსახურებული
მწვრთნელი
შოთა ინწკირველი

ვნახოთ სამი თემატური საკონსულტაციო პარტია, რომლებიც გათამაშდა თბილისის განათლების სამმართველოსთან არსებულ ბავშვთა საჭადრაკო სკოლაში (დირექტორი ნონა გაფრინდაშვილი). მონაწილეობდნენ ძირითადად 9-12 წლის პირველ-მეორე თანრიგოსნები.

თეთრებით: გ. როგავა, თ. ტაბატაძე, ქ. აბაშიძე, ქ. მარდალეიშვილი, ი. ცქვიტინიძე, ნ. შუბლაძე, მ. ბოჭორაძე, ბ. ბადაგაძე, ზ. გოცირიძე და ნ. ჩხიკვაძე.

შავებით: ი. ძნელაძე, კ. ჯაჭვაძე, პ. შელია, რ. ნოზაძე, რ. გეწაძე, გ. ბაჯელიძე და მ. ბერბიჭაშვილი.

### ტაქტიკური მიტელშპილი

(დებიუტში პაიკის შეწირვა ინიციატივისათვის)

პარტია № 2

სიცილიური დაცვა

(სოზინის შეტევა 6. კc4)

თბილისი, 1979 წ. ივნისი.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კc4 e6 7. 0—0 b5 8. კb3 b4 9. მa4 მ:e4

გათამაშდა სოზინის შეტევის გამბიტური ვარიანტი (იხ. „პიონერი“ № 5, 1975 წ.)

10. ეe1 d5 11. კf4 კd6 12. კ:d6 ლ:d6 13. მf5!

ამ სვლას გვთავაზობს „საჭადრაკო ენციკლოპედია“ (ტომი II), ნაცვლად ადრინდელი 13. f3-ისა.

13. ... ლf4

ნორჩი მოჭადრაკეები ახალ გზებს ეძებენ. თუ 13... ef, მაშინ 14. ლ:d5 ლ:d5 15. კ:d5

14. f3 ლ:f5 15. fe de 16. ლd6!

ლაზიერი დიდი ძალით ებმება ბრძოლაში. ესწრება უკანასკნელი რეზერვის — a1 ეტლის განვითარება, ხოლო მb6 მუქარა კიდევ უფრო კვეცავს შავების არჩევანს.

16... მd7 17. ეa—d1

თეთრების არმია ბრწყინვალედაა მობილიზებული. შავების განუვითარებელი, დაქსაქსული ძალები ვერ შესძლებენ სერიოზული წინაალმდეგობის გაწევას. ბრძოლის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილია.

17... ლe5 18. ლc6 ეb8 19. ე:e4 ლb5 20. კ:e6!

მეფის საფარის განადგურება. კომბინაცია ლოგიკურად გამომდინარეობს თეთრების პოზიციური უპირატესობიდან. თუ ახლა 20... ლ:c6, მაშინ 21. კ:d7 + +. ეს ვარიანტი 20. კ:e6-ის ტაქტიკური გამართლებაა.

20... fe 21. ლ:e6 + მფd8 22. ლe7 + მფc7 23. b3!

შეტევის ყველაზე მარტივი და უდავოდ უძლიერესი გაგრძელება!

კომბინაციური ბრძოლის გაწამაწიაში დიახაც რომ ძნელია ასეთი წყნარი სვლის მიგნება. ეს სვლა იმდენად დამაჯერებელი აღმოჩნდა, რომ შავები დანებდნენ.

პარტია № 2

თბილისი, 1979 წ. ივნისი.

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კc4 e6 7. 0—0 b5 8. კb3 b4 9. მa4 მ:e4 10. ეe1 d5 11. კf4 კd6

ამ პარტიაში თეთრები ახალ გაგრძელებას ამოწმებენ:

ათი ფრინველი სულ იმის ცდაშია, როგორმე გადმოაგდოს მხედარი. ამ უკანასკნელს დიდი ოსტატობა მართებს, რომ არც გადმოვარდეს და მარულაშიც გაიმარჯვოს. სირაქლემას შეუძლია საათში 50 კილომეტრი გაირბინოს.

### კატა — თავდადებული დედა

კატა რომ თავდადებული დედაა, ამას ეს ერთი ამბავიც ადასტურებს. ერთ-ერთ ქარხანაში კატამ კნუტები დაყარა ყუთში, რომელშიაც გასაგზავნად გამზადებული ავტონაწილები იყო ჩაწყობილი. დილით მუშებმა ყუთი დაჭედეს და გემზე აიტანეს. ოცდახუთი დღის შემდეგ, როცა გემმა ტვირთი დანიშნულების ადგილას მიიტანა და ყუთი გახსნეს, იქიდან ძვალტყავად ქცეული კატა და სამი საღ-სალამათი კნუტი გადმოვიდა.

### როგორც ბუნებრივ პირობებში

დედამიწაზე გავრცელებულ ცხოველთა ყველა სახეობის 94 პროცენტს უხერხემლონი შეადგენენ. რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონის ბუნების ისტორიის მუზეუმში ახალი განყოფილება გაიხსნა. გახსნის დღეს დამთვალიერებლებმა იხილეს ფეხსახსრიანთა 100 სახეობა: კუტკალიები, ფურნის ქიები, ფუტკრები, ხოჭოს მრავალი ეგზოტიკური სახეობა, პეპლები, ტერმიტები... ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლები აქ დასათვალიერებლად მოხერხებულ გამჭვირვალე შენობაში არიან მოთავსებულნი, სადაც მათთვის თითქმის ისეთივე პირობებია შექმნილი, როგორც ბუნების წიაღში. მაგალითად, ფუტკრებს შეუძლიათ ყვავილის მტვრისათვის მეზობლად მდებარე პარკში გაფრინდნენ.

ასოცმეტრიანი ტერარიუმის გუბურები, ხეები, ჩირგვები და ბალახი მრავალი სახის მწერებით არის დასახლებული.

### „ახლავე გადაცვივდით ზღვაში!“

ოდესღაც ადამიანს სწამდა, რომ მზესა და მთვარეს შეუძლიათ მავნე მწერების მოსპობა, ზოგჯერ ის საშველად კეთილ სულებსაც მოუხმობდა ხოლმე. პაპმა ბენედიქტე XIII-მ უბრძანა მავნე მწერებს, რომლებიც ნათესებს უმოწყალოდ ანადგურებდნენ, ზღვაში გადაცვენილიყვნენ. რასაკვირველია, მწერებს აინუნშიაც არ ჩაუგდიათ ეს ბრძანება.. მეცხრამეტე საუკუნემდე



ბევრ ქვეყანაში რეგულარულა იმართებოდა ნამდვილი სასამართლო პროცესები მავნე მწერების წინააღმდეგ. იყვნენ ბრალმდებლებიც, ადვოკატებიც, გამოჰქონდათ განაჩენები, რომლებითაც ბრალდებულებს — მანდვრის ხოჭოებს, კალიებს, მატლებს და სხვა მწერებს წინადადება ეძლეოდათ, დაუყოვნებლივ გადაკარგულიყვნენ იმ ქვეყნიდან. მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს, მაგალითად, კალიებს, წინანდებურად გაევერანებინათ ბაღჩა-ბაღები და ყანები.

---

12. ე:e4!

ხარისხის შეწირვის მიზანია როქის შეფერხება.

12... de 13. მ:e6 კ:e6 14. კ:d6

„მიუხედავად ზედმეტი ხარისხისა, შავებმა უნდა წააგონ მეფის ცუდი მდგომარეობის გამო“, — ასეთი კომენტარით ამთავრებს თეორია ამ ვარიანტს.

14... კ:b3 15. ab

ზოგად და კონკრეტულ მოსაზრებათა შეჯერების შემდეგ არჩევანი ამ სვლაზე შეჩერდა:

15... მc6 16. ლd5 მe7 17. ლ:e4 ეa7

შავები ახერხებენ როქის გაკეთებას, მაგრამ როგორც მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, მათი მდგომარეობა მაინც უიმედოა, რადგან შეუძლებელია შავი ფიგურების პოზიციის გაუმჯობესება.

18. კ:b4 0—0 19. ეe1 ეe8 20. c4 ეd7 21. მc3 და შავები დანებდნენ მომაკვდინებელი დაბმის გამო (ცუგცვანგი!).

მაგალითად, თუ 21... ლb6, მაშინ 22. მd5 ლe6 23. მ:e7 + (ან 23. ლb1) ე:e7 24. ლa8 + ეe8 25. ლ:e8 + !

მესამე პარტიას გთავაზობთ დამოუკიდებელი ანალიზისათვის. თქვენს საუკეთესო და საყურადღებო კომენტარებს გამოვაქვეყნებთ.

პარტია № 3

თბილისი, 1979 წ. ივნისი

1. e4 c5 2. მf3 d6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 a6 6. კc4 e6 7. კb3 b5 8. f4 b4 9. მa4 მ:e4 10. 0—0 კb7 11. f5 e5 12. მe6 fe 13. ლh5 + მფd7 14. კe3 d5 15. fe მფd6 16. ეf7 g6 17. ლf3 კe7 18. ეd1 მფ:e6 19. მb6 მg5 20. ე:e7 ლ:e7 21. ლg4 მფf7 22. მ:d5 კ:d5 23. კ:d5 მe6 24. კg5 ლc5 25. მფh1 ეe8 26. ეf1 მფg7 27. კf6 მფf8 28. კ:e6 ეa7 29. კ:e5 მფe7 30. ეf7 მფd8 31. ლd1 შავები დანებდნენ.

### ყურადღება, კომბინაცია!

1971 წელს თბილისის მოსწავლეთა ჩემპიონატის მეოთხედფინალში (მესამეთანრიგოსანთა პირველობა) ჩვენს აღსაზრდელ მესამეკლასელ ალექსანდრე უერთაშვილსა და მეოთხეკლასელ გია ბეგიაშვილს შორის შეიქმნა ასეთი პოზიცია:

ბეგიაშვილი



უერთაშვილი

თეთრების ფიგურები უკეთ არიან განლაგებული. შავი ფიგურების მოძრავუნარიანობა რამდენადმე შეზღუდულია. დასუსტებულია მათი მეფის პოზიცია.

18. კf4

იდევნება ლაზიერი, რათა შესუსტდეს „f6“ პუნქტის დაცვა.

18... ლd7

შავები ვერ გრძნობენ საშიშროებას. ახლა ხორციელდება მშვენიერი საშამათო კომბინაცია:

19. კh6 + მფg8 20. ე:e7!!

გადამწყვეტი დარტყმა, რომელიც საბოლოოდ ასუსტებს „f6“ პუნქტს! თუ ახლა 20... ე:e7, მაშინ 21. ლ:f6! ე:e1 22. კf1 ე:f1 23. მფ:f1 გარდუვალი შამათით.

20... ლd6 21. ლ:f6!

ბეგიაშვილი დანებდა.

# ეკლიანი მეგობარი

**მწერიჭამია** ძუძუმწოვრთაგან ზღარბი ყველაზე ცნობილია. ტყეში, ბაღებში, პარკებში, ბუჩქნარებში, ველებსა და თვით ქვიშიან ბარხანებში გვხვდება ამ ცხოველის სხვადასხვა სახეობა.

დღისით ზღარბი უმთავრესად ბუდეში იმყოფება. ბუდეს ის იკეთებს ბუჩქის ძირას, ფუღუროში, ზოგჯერ კი არცთუ ისე ღრმა სოროში. ნადირობს უმთავრესად ღამით, როცა გარეთ გამოსვლა ნაკლებ სახიფათოა.

ზღარბის მთავარი საკვებია მწერები და სხვადასხვა ლოკოკინა, განსაკუთრებით — ლოქორიები და ბაღის ლოკოკინა. ამიტომ ზღარბი ბაღების სასურველი სტუმარია. ბრიტანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის ლოკოკინების წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა. ზღარბი არც ჩიტებზე და მათ კვერცხებზე ამბობს უარს, მადიანად შეექცევა ხვლიკებს, თაგვებსა და გველებსაც.

საინტერესოა ზღარბის და შხამიანი გველების ორთაბრძოლები, ზღარბს გაბედულად მიაქვს იერიში ქვეწარმავალზე, ცდილობს მიუახლოვდეს მის ყველაზე მგრძნობიარე ადგილს — თავს. და თუ ეს მოახერხა, ქვეწარმავლის საქმე წასულია.

საინტერესოა, რომ მძინარე გველს ზღარბი არ ერჩის. პირიქით, ცდილობს გააღვიძოს, ცეკვავს, ხტის, ბუქნავს და ფრთხვინავს მის ირგვლივ, ხანდახან ყალყზეც კი შეიმართება. ცეკვა გველის გაღვიძებამდე გრძელდება. გაავებულ ქვეწარმავალსა და ეკლიან თავდამსხმელს შორის იმართება შეუპოვარი ბრძოლა. გამარჯვება, ჩვეულებრივ, ზღარბს რჩება ხოლმე. დაგესლილი ზღარბი შედარებით იოლად იტანს შხამს, თუმცა ზოგჯერ მაინც იღუპება.

თუ რატომ „ცეკვავს“ ზღარბი მძინარე გველის ირგვლივ, ეს ჯერ დადგენილი არ არის. ზოგი ფიქრობს, ზღარბს სურს დარწმუნდეს, ცოცხალია თუ არა მოწინააღმდეგეო; სხვების აზრით, ეს გამომუშავებული რეფლექსია — ზღარბი მხოლოდ მოძრავ მსხვერპლს უნდა დაესხას თავს; ზოგი ხუმრობს: ნადირი რაინდულ წესს იცავს — მძინარეს, უმწეოს ხელს არ ახლებსო.

დიდი სარგებლობა მოაქვთ ზღარბებს თაგვების განადგურებითაც. ზღარბს კარგად აქვს განვითარებული ზურგის ტყავის მუსკულატურა და მისი დახმარებით ადვილად ღებულობს ბურთის ფორმას. ამ დროს ფეხებსა და დინგს ის მოხერხებულად მალავს მუცლის ქვეშ. გარეთ რჩება მხოლოდ გაფშეკილი ეკლები.

ზღარბი წელიწადში ერთხელ მრავლდება. სამი-ექვსი ახალშობილი თავდაპირველად შიშველი და თვალაუხილავია, წამოზრდილები კი ერთობ სასაცილოები არიან და ძალიან ჰგვანან წაბლის ნაყოფებს.

ხმელეთის სხვა მწერიჭამიებისაგან განსხვავებით, ზღარბი შემოდგომობით ზამთრის ღრმა ძილს ეძლევა, მანამდე კი ბუდეში იმარაგებს უამრავ ხმელ ფოთოლს. იგი ფოთლებს ეკლებით კი არ აგროვებს, როგორც ამას ხშირად წერენ ხოლმე ზღაპრებსა და საბავშვო მოთხრობებში, არამედ პირით. ბუდეში ზღარბი ფოთლის „საბან-ლეიბში“ შეიფუთნება და იძინებს. მიუხედავად ასეთი თადარიგისა, ზამთრობით ბევრი ზღარბი იღუპება (განსაკუთრებით ახალგაზრდები).

ზღარბი ერთი შეხედვით ტლანქი ცხოველია, სინამდვილეში კი, მიუხედავად მოკლე კიდურებისა, საკმაოდ სწრაფია და ზაფხულობით, ღამეული ნადირობისას, საშუალოდ სამ კილომეტრს გადის ხოლმე.

ზღარბის ეკლები მისი თავდაცვის შესანიშნავი იარაღია, ამიტომ მას ცოტა მტერი ჰყავს. მისი მთავარი მტერია მელა, რომელიც თავის ფანდებს ზღარბის მიმართაც წარმატებით იყენებს. მელა დაუცავი, მუცლის მხრიდან ესხმის თავს მსხვერპლს. თუ ზღარბმა ბურთივით დამრგვალება მოასწრო, მელა არც მაშინ იბნევა, მიცუნცულდება და ფრთხილად რომელიმე ტბორში ჩააგორებს მას. წყალში ჩაყურყუმალავებული ზღარბი იძულებულია სხეული გაშალოს და მაშინვე მტრის გაუმაძღარ ხახაში ხვდება.

მტაცებელ ფრინველთაგან ზღარბზე ზარნაშო ნადირობს. მის წინააღმდეგ ნადირს თავისი საფარველიც არ შველის — ფრინველი პირდაპირ ეკლებიანად შეექცევა ხოლმე მსხვერპლს.



**არნოლდ გეგეჭკორი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ყველაზე დიდი ცხოველი



ატლანტისა და წყნარი ოკეანეების ცივსა და ზომიერ სარტყლებში სპეციალურ გემებზე დადგმული სათანადო ქვემეხებით კლავენ ცხოველთა სამყაროში ყველაზე დიდ ცხოველს, რომლის სიგრძე 35 მეტრს, ხოლო წონა 150 ტონას და კიდევ მეტს აღწევს. გარეგნობით ეს ცხოველი თევზსა ჰგავს, ამიტომაც ადამიანს ის კარგა ხანს თევზი ეგონა.

დღეს მეცნიერების მიერ დადგენილია, რომ სინამდვილეში ეს ძუძუმწოვარა ცხოველია და თავის ნაშიერს რძით კვებავს.

ამ გიგანტურ ცხოველს ლურჯ ვეშაპს ეძახიან.

დიდ ბუნებისმეტყველ ჩარლზ დარვინს, დედამიწის გარშემო, გემ „ბიგლით" მოგზაურობისას შეხვედრია ის და თავის წიგნში „ვეებერთელა ურჩხულს" უწოდებს მას.

ლურჯი ვეშაპი მუდამ წყალში ცხოვრობს და ხმელეთზე არ ამოდის. ცოცხლობს 200 წლამდე, თუ ადამიანის ხელში არ იმსხვერპლა. წელიწადში შობს ერთ ექვსტონიან, რვა მეტრი სიგრძის ნაშიერს, რომელიც ორ წელიწადში ამთავრებს ზრდას.

ზრდადასრულებულ ლურჯ ვეშაპს იმოდენა პირი აქვს, რომ მასში თავისუფლად ჩაეტევა ადამიანებითა და ბარგით დატვირთული მოზრდილი ნავი; მაგრამ, სამაგიეროდ, ყელი აქვს ვიწრო, რის გამოც პატარა ცხოველებით და მცენარეებით იკვებება. იგი უკბილოა, სასაზე რქოვანი ფირფიტები ჰკიდია, რომლებითაც ცხრილავს პირში ჩამდგარ წყალს და უკან არ უშვებს წყალთან ერთად პირში მოხვედრილ ცხოველებსა და მცენარეებს.

300 ძროხის ან 37 სპილოს წონის მქონე ამ ცხოველს სამი მეტრის სიგრძის კუჭი და 250 მეტრი სიგრძის ნაწლავები აქვს; მისი ღვიძლი და თირკმელები თითო ტონას იწონის, ხოლო ენა — ორ ტონას.

ლურჯი ვეშაპის კუნთების ძალა 1700 ცხენის ძალას აღემატება. ყოფილა შემთხვევა, რომ 300-350 ტონა წყალწყვის გემი მას საათში 14 კილომეტრის სიჩქარით წაუთრევია; ისე კი საათში საშუალოდ 40 კილომეტრის სისწრაფით მოძრაობს.

ამ ცხოველს დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს. ზრდადასრულებულ ვეშაპისაგან 50 ტონა ქონს ღებულობენ. ცხიმს იყენებენ ტყავის წარმოებაში, მანქანების დასაზეთად, საპნისა და ნიტროგლიცერინის დასამზადებლად, ეს უკანასკნელი ძირითადი მასალაა დინამიტის საწარმოებლად. ლურჯი ვეშაპის ხორცს საკვებად ხმარობენ, მისგან ამზადებენ კონსერვებს. ხორცისა და ძვლების ნარჩენები ფოსფორის დიდ რაოდენობას შეიცავს და ამის გამო მათ ნიადაგის სასუქად იყენებენ.

ლურჯ ვეშაპზე მთელი რიგი ქვეყნების ფლოტილიები ნადირობენ. ერთი სეზონის განმავლობაში დაახლოებით 30 000 ლურჯი ვეშაპი ნადგურდება, რის შედეგადაც ამ ცხოველის რიცხვი ძალზე შემცირდა. მაგრამ, ახლა ლურჯ ვეშაპზე ნადირობა ძალზე შეზღუდულია.

ანა ნემსაძე

## ახალი წიგნები

**ავთანდილ გურგენიძე**

### მარადიული ცეცხლი

ავთანდილ გურგენიძის ამ ახალ წიგნში, რომელიც „ნაკადულმა" გამოსცა, შეტანილია ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან თქვენთვის ცნობილი პოემა „პიონერულს ვუკრავ საყვირს", რომელსაც „პიონერის" კონკურსზე პრემია მიენიჭა. ეს პოემა თქვენს ცხოვრებასავით მღელვარე რიტმით არის დაწერილი და ყოველი პიონერისათვის, ყოველი მოსწავლისათვის ახლობელ პრობლემებზე გვესაუბრება. პოეტი მოითხოვს და მოგიწოდებთ: „ლელო — შენი გასატანი — თვითონ უნდა გაიტანო; ჩანგი — შენი დასაკრავი — თვითონ უნდა გაითალო. შენ იცი და შენმა გარჯამ, რაც ვერ შეძლეს წინაპრებმა, უნდა შესძლოს შენმა მაჯამ! შენ იცი და შენმა გულმა, მამულისთვის ანთებულმა!.."

„მარადიული ცეცხლი" გასწავლით მშობლიური მხარის სიყვარულს, მამულისათვის თავდადებული გმირების პატივისცემას, უმღერის მშვიდობას, კაცთმოყვარეობას, სიკეთეს, სამართლიანობას, ბუნების სილამაზეს. ამ წიგნში შესულ ბევრ ლექსს ალბათ ზეპირად დაისწავლით. ასეთებია: „მარადიული ცეცხლი", „კახას ნატვრა", „წყარო", „სასიკეთო საქმისათვის" და სხვ.






ეროვნული ბიბლიოთეკა




ცემენტის ხსნარის მოზარევად ნიჩაბს ხმარობენ. ნიჩბის ნაცვლად გირჩევ სამთითა ან ოთხთითა იხმარო (თივისათვის რომ ხმარობენ, — ისეთი). საქმეც გაგიადვილდება და ხსნარიც უფრო ხარისხიანი გამოვა.

ჯაგრისის ხის ტარს ზემოდან ღარები გაუკეთე, ძალიან დასვრილ ტანსაცმელს ჯერ ის ყუა გაუსვი, შემდეგ კი მას ჯაგრისის პირიც იოლად მოერევა.



დახედე აქ მოთავსებულ ნახატს და იმედი გვაქვს, იმის მიხედვით აივანზე იოლად მოაწყობ რბილ სავარძელს.



ერთი რჩევა ნორჩ მეაკვარიუმებს. გულდასმით დააკვირდით ამ ნახატს. ეს არის ავტომატური მოწყობილობა, რომელიც თქვენს ჩაურევლად გამოკვებავს თევზებს. იგი არ არის ძნელი გასაკეთებელი. ქანქარის ცალ ბოლოზე თევზის მშრალ საკვებს დააწყობთ, მეორეზე — სველ ბამბას. ამ მექანიზმის პრინციპი ასეთია — ბამბა თანდათან გაშრება, ქანქარის მეორე ბოლო დაბლა დაიწევს და საკვები ნელ-ნელა წყალში ჩაიყრება.



ველოსიპედს ხშირად ძვრება საბურავის საცობი (საიდანაც ჰაერის დატუმბვა ხდება). ამ „გასაჭირიდან" სახელდახელოდ შეიძლება თავი დაიხსნა — მოაძვრე პასტიან საწერ კალამს თავი და საცობის ნაცვლად სატუმბავს ის დაახრახნე.





# სარჩევი


ფაილოძე ნ. — თემურელები 5 000 000 ვართ! (ნარკვევი) . . 1
კობერიძე ქ. — ხათიბის მარწყვი (მოთხრობა) . . . . . . . 4
მაკარევიჩი ლ. — პატარა მონები (წერილი) . . . . . . 10
მებრელიშვილი ა. — რთველი მოსულა; შემოდგომა (ლექსები) . . . . . . . . . . 12
ბოჯიაშვილი ჯ. — სექტემბრის დილა; იორი; სურათი; ნაწისქვილარი (ლექსები) . . . . . . . . . 12
საბაშვილი შ. — დედამიწა და სამყარო (წერილი) . . . . 13
ჩვენი კონკურსი . . . . . . . . . . 16
აიხი . . . . . . . . . . . . 18
ბეზარაშვილი ნ. — წერილი (მოთხრობა) . . . . . . 19
ზნეობის ანბანი — მიზანსწრაფულობა . . . . . . . 22
ასკურავა დ. — ბიჭი და ნუკრი (მოთხრობა) . . . . . . 24
მოარულ უზუსტობათა ლექსიკონი . . . . 27
ისაევ-ავარსკი ა. — რომელი არის ჩვენს შორის გმირი (ლექსი) 28
ჯადოსნური სარკე . . . . . . . . . 28
მხედრიონი . . . . . . . . . 28
ბეგეჭკორი ა. — ეკლიანი მეგობარი (ბუნების კარი) . . . 30
ნემსაძე ა. — ყველაზე დიდი ცხოველი (ბუნების კარი) . . 31
ახალი წიგნები . . . . . . . . . 31
გამოგადგება . . . . . . . . . 32
თამაშობები . . . . . . . . . . . . გარეკანის 3
ცხრაკლიტული . . . . . . . . . . . გარეკანის 3


გარეკანზე „შემოდგომა", მხატვარი ედ. ამბოკაძე


მთავარი რედაქტორი გაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლეჟავაშელი (პ/მგ. მდივანი), ზურაბ ლომიძე, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14

«ПИОНЕРИ». на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.

გადაეცა ასაწყობად 27/VIII-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 28/IX-79 წ. ქაღალდის ფორმატი 60X90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 2220 ტირ. 150.700. უე 08456.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


 © „პიონერი", 1979 წ.

თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

## თავზე დადებული ტომსიკით

პატარა ტომსიკა ლობიოთი ან ქვიშით აავსე, თავი მოუკარი, თავზე დაიდე, ისე, რომ არ გადმოგივარდეს, და ეცადე რამდენიმე ვარჯიში გააკეთო.

1. ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში მიდი, შემოუარე სკამებს, მაგიდას, იატაკზე გაწყობილ კეგლებს, ანდა მეორე ოთახში გადი. ხელებით ჯერ დოინჯი შემოირტყი, შემდეგ განმკლავი გაშალე, ბოლოს ხელები მაღლა ასწიე.

შემდეგ იგივე გააკეთე, ოღონდ ახლა თითის წვერებზე იარე.

2. ჩაიცუცქე, იატაკზე დაჯექი, მუხლებზე დადექი და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდი.








შემდეგ ყველაფერი ეს თვალდახუჭულმა გააკეთე.

3. სკამზე შედექი და მერე ჩამოდი ისე, რომ ტომსიკას ხელი არ შეაშველო.

ვარჯიში შეგიძლიათ რამდენიმე მოთამაშემ ერთდროულად გააკეთოთ. გაიმარჯვებს ის, ვისაც ტომსიკა არც ერთხელ არ დაუვარდება.

## ვარჯიში ორისთვის

1. ერთმანეთთან ზურგით დადექით, იდაყვში მოხრილი მკლავები ურთიერთს გადააჭდეთ და თითო ნაბიჯი წინ წადგით. ასეთ მდგომარეობაში სცადეთ ერთდროულად ჩაჯდეთ და შემდეგ წამოდგეთ, იგივე გააკეთოთ ცალი ფეხით, მეორე ამ დროს წინ გექნებათ გაშვერილი.

2. თამაშის ერთი მონაწილე ძლიერი მოძრაობით წინ გადაიხრება და მეორეს ასწევს, შემდეგ მეორე იმეორებს ამ ილეთს. ვარჯიში რამდენჯერმე მეორდება.

## ცეკვა კარტოფილით

ყოველ მოცეკვავე წყვილს ეძლევა თითო ცალი კარტოფილი, რომელსაც ისინი შუბლით იჭერენ. უკრავს მუსიკა. წყვილები ცეკვას იწყებენ, შუბლებით ებჯინებიან კარტოფილს და ცდილობენ არ დაუვარდეთ. იმარჯვებს ის წყვილი, რომელიც ყველაზე დიდხანს შეძლებს ცეკვას ისე, რომ კარტოფილი არ დაუვარდეს.

## გამოსცადე საკუთარი თავი

კარგი ოსტატი ყოველთვის უშეცდომოდ, თვალით განსაზღვრავს ფიცრის სისქეს, ქანჩის, მილის დიამეტრს და სხვა. ეს თვისებები სჭირდება დურგალსაც, კოსმონავტსაც, ხუროსაც. აბა შეამოწმე, როგორ გაქვთ გავარჯიშებული თვალი შენ და შენს ამხანაგებს.

მოიწვიე ამხანაგები და მოაწყვე შეჯიბრება — ვინ უფრო ზუსტ პასუხებს გასცემს ამ კითხვებზე:

როგორია იმ ოთახის სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, სადაც თქვენ იმყოფებით?

როგორია იმ მაგიდის სიგრძე და განი, რომელსაც თქვენ უზიხართ?

ლარნაკზე თხილი, კამფეტები და შაქრის ნატეხები აწყვია. რამდენ-რამდენი ცალია თითოეული?

რამდენი ჭიქა წყალი ჩადის ამ გრაფინში (ქვაბში, ქილაში და ა. შ.)?

კიდევ ბევრი სხვა ასეთი შეკითხვა მოიფიქრე და შესთავაზე ამხანაგებს.

რაც უფრო ხშირად ავარჯიშებ თვალს, მით უკეთესი. სულ მალე დარწმუნდები, როგორი კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება სისტემატური ვარჯიშით.

## ხუთჭიდი მაგიდაზე

ეს ხუთჭიდი სახუმაროა. მასში მონაწილეობა შეუძლია ოთხ-ხუთ, დაახლოებით ერთი ასაკის ბავშვს. ყველანი დიდ მაგიდას შემოუსხდებიან, ირჩევენ მსაჯს. მსაჯი თითოეულის წინ აწყობს შემდეგ ნივთებს:

წვრილყურიან ნემსს და მოკლე ძაფს; ფანქარს და კონვერტს, რომელშიც გამოსაყვანი არითმეტიკული მაგალითია; ქაღალდის ფურცელს, რომელზეც დახატულია რომელიმე ცხოველი ან გეომეტრიული ფიგურა; ერთმეტრიან თოკს ან ზონარს; ქაღალდის ფურცელს, რომლის ზემოთა კუთხეშიც დაწერილია რომელიმე ასო.

მსაჯის ნიშანზე ყველა მოთამაშე ერთდროულად იწყებს შეჯიბრებას. თითოეული ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეასრულოს ასეთი დავალება:



ნემსში ძაფი გაუყაროს და ბოლო გაუნასკვოს, გამოიყვანოს არითმეტიკული მაგალითი, გამოჭრას ნახატი ზუსტად კონტურის მიხედვით, თოკზე გააკეთოს ათი უბრალო კვანძი, ქაღალდზე მოცემულ ასოზე დაწეროს ხუთი ქალაქის სახელი.

შეიძლება სხვა დავალებების მოფიქრებაც. მაგ., ამოიქარგოს ნაჭერზე გამოყვანილი ნახატი, დაკერდეს ღილი, წაითალოს ფანქარი, გადაეკრას წიგნს ქაღალდი და ა. შ.

### პასუხი № 9-ში გამოქვეყნებულ „ცხრაკლიტულზე“

#### კროსვორდი

**თარაზულად:** 3. დუნაი; 4. ოკა; 6. ფცა; 10. იაუნდე; 11. უგანდა; 13. ლიბია; 17. გლობუსი; 18. კლიმატი; 19. ტარტუ; 20. ირგვლივ; 22. როსტოვი; 24. ანივა; 29. ეროზია; 30. რაიონი; 31. ჩაი; 32. ლოო; 33. სრუტე.

**შვეულად:** 1. თურქეთი; 2. ტაიფუნი; 5. კიუსიუ; 7. ცუნამი; 8. ბია; 9. ძაუ; 12. ფლორა; 13. ლიტვა; 14. ბერნი; 15. აკურა; 16. ოტავა; 21. ლოპოტა; 23. საბორო; 25. ნიაგარა; 26. ვორკუტა; 27. გეო; 28. ნია.

#### გამოცანა

ყაბალახი

ნ 120/161
76157
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფრთხილად ავტომობილი!





განყოფილებას
ხელმძღვანელობს
თბილისის ავტოინსპექციის
პროპაგანდის
ქვეგანყოფილების
ინსპექტორი
კ. კანდელაკი



## ბავშვების გადაყვანა საბარგო ავტომობილებით





სოფლის გზებზე მოსწავლეები ხშირად საბარგო ავტომობილებით გადაჰყავთ, ბავშვების ღია ავტომანქანებით გადაყვანა მეტად სახიფათო საქმეა და საჭეს აუცილებლად გამოცდილი მძღოლი უნდა უჯდეს.

ავტომანქანა წინასწარ უნდა მოაწყონ, სათანადოდ დაამაგრონ სკამები ან სკამების შემცვლელი ფიცრები. უკანა სკამი აუცილებლად საზურგიანი უნდა იყოს... კარგია თუ მანქანა ტენტით იქნება გადახურული, ამასთან მანქანას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ძარაზე ასასვლელი პატარა კიბე.

მანქანას უნდა ეტყობოდეს, რომ მას ბავშვები გადაჰყავს. ამისათვის წინ საგანგებო გამოსაცნობი ნიშანი უკეთდება.

რა უნდა იცოდეთ საბარგო ავტომანქანით მოგზაურობისას?

ჯერ ერთი, მანქანა აუცილებლად გზისკიდურზე ან ტროტუართან უნდა იდგეს და შიგ ან გვერდიდან ან უკანა ბორტის მხრიდან უნდა ჩასხდეთ. ჩასხდებით თუ არა, მაშინვე თქვენ-თქვენი ადგილი უნდა დაიკავოთ.

მანქანის მოძრაობისას არავითარ შემთხვევაში ფეხზე არ უნდა იდგეთ.

უნდა გახსოვდეთ, რომ მოძრაობის დროს მძღოლს ათასნაირი მანევრის ჩატარება უხდება — დამუხრუჭება, მკვეთრი დაძვრა, მარჯვნივ თუ მარცხნივ მიხვევა და სხვა. ამიტომ თვალისდახამხამებაში შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი ხიფათი.

მანქანიდან ისევე უნდა ჩახვიდეთ, როგორც ამოხვედით. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადაახტეთ ბორტს, მით უმეტეს იმ მხარეს, საითაც მოძრაობაა. (იხ. ფოტო).

